



საქართველოს შრომის
ბუნებრივი და
სოციალური დაცვის
საინსტიტუტო

ახალგაზრდების დამოკიდებულებების,
მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების
შესწავლა

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
ტერმინთა განმარტება	4
კვლევის მიზანი და ამოცანები	5
მეთოდოლოგია	5
სიტუაციური ანალიზი.....	8
საექსპერტო კვლევის შედეგები	11
ძირითადი შედეგები.....	17
რაოდენობრივი კვლევის შედეგები	20
დასაქმება.....	20
საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება.....	22
Online მუშაობა	22
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა და სამომავლო ხედვა.....	23
უმუშევარი რესპონდენტები.....	26
უმუშევარი ახალგაზრდების მოლოდინები.....	29
დასაქმებული რესპონდენტები.....	32
დაქირავებით დასაქმება.....	32
თვითდასაქმება არასასოფლო სამეურნეო სფეროში.....	40
განათლება და პროფესიული განათლების შესაძლებლობები	43
ტრენინგები და მოკლევადიანი საკვალიფიკაციო კურსები.....	54
დასაქმების სტრატეგიები და ღირებულებები	60
ზოგადი დამოკიდებულებები დასაქმების საკითხის მიმართ.....	66
კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასება	75
საინფორმაციო არხები	77
თვისებრივი კვლევის შედეგები	81
დასაქმების მოტივაციები ახალგაზრდებში - დასაქმების სურვილები და არსებული ბარიერები	81
უმუშევარი კურსდამთავრებულები	81
დასაქმებული კურსდამთავრებულები	82
სტუდენტები.....	82
სკოლადამთავრებული უმუშევარი ახალგაზრდები	83

დამოკიდებულება სტაჟირების მიმართ.....	84
უმუშევარი კურსდამთავრებულები	85
დასაქმებული კურსდამთავრებულები	85
სტუდენტები.....	85
დასაქმების გამოცდილებები და სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებული სტრატეგიები.....	86
პროფესიის/ხელობის შეძენის მოტივაციები - დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების განწყობებს შორის არსებული განსხვავებები	88
პროფესიის არჩევა და კარიერული წარმატების მიღწევის ადეკვატური შესაძლებლობების აღქმა -პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროება, მნიშვნელობა და განხორციელების გზები.....	90
მოთხოვნადი პროფესიების შესახებ არსებული განწყობები	93
დასაქმების სერვისები და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.....	95
არაფორმალური განათლება და თვითგანათლების შესაძლებლობები	96
რეკომენდაციები	98
წყაროები.....	100

წინამდებარე კვლევა ჩატარდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 14.06.2016 წელს გამოცხადებული ტენდერის SPA160016964 ფარგლებში. კვლევის პერიოდი მოიცავდა ივლისი-დეკემბრის პერიოდს. საველე სამუშაოები ჩატარდა 2016 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში.

"გამოყენებითი კვლევების კომპანიაეი არ სი" გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის გუნდს და კვლევაში მონაწილე ყველა მხარეს გაწეული ტექნიკური და ინტელექტუალური დახმარებისთვის.

ტერმინთა განმარტება

UNICEF - - გაეროს ბავშვთა ფონდი

UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა

EUVEGE - ევროკავშირის დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტი

NACE - ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური სახეების კლასიფიკატორი

ISCO- დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია

NGO-არასამთავრობო/საზოგადოებრივი ორგანიზაცია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი:

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების შესწავლა. შრომის ბაზარზე მათი დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

კვლევის ამოცანები:

- თბილისსა და სხვა ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებია განთავსებული (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, თელავი, გორი) უმუშევარი ახალგაზრდების დამოკიდებულებების და დასაქმების მოტივაციის შესწავლა;
- შრომის ბაზარზე უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდების ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება დასაქმების შესაძლებლობების კუთხით;
- უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდების დასაქმების სტრატეგიების იდენტიფიცირება, რომლებსაც ისინი მიმართავენ ან მიმართეს დასაქმების მიზნით;

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ჩატარდა პირისპირ გამოკითხვა სტრუქტურირებული ანკეტის მეშვეობით.

შერჩევის ზომა: 400 რესპონდენტი შერჩევის ამ მოცულობისთვის შერჩევის ცდომილება 95% სანდოობის მაჩვენებელზე ტოლია 4.88%-ს¹.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა: 15-29 წლის უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდები.

რაოდენობრივი კვლევის გეოგრაფიული არეალს წარმოადგენდა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, თელავი, გორი.

შერჩევის ფორმირებისას გამოყენებული იქნა: სტრატეგიცირებული შერჩევა.

შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა სამიზნე ქალაქებს შორის მათში მოსახლეობის რაოდენობის კვადრატული ფესვის პროპორციულად, ქალაქში შესარჩევი საწყისი წერტილების რაოდენობა დადგენილი იქნა ამ ქალაქისათვის განსაზღვრული ინტერვიუების რაოდენობის 5-ზე გაყოფით, საწყის ეტაპზე ყოველ ქალაქში შერჩეული იქნა უბნები, უბნების შერჩევა განხორციელდა ზომის პროპორციული ალბათობის (PPS=Probability Proportion to Size) მეთოდის გამოყენებით, ყოველ შერჩეულ უბანში შემთხვევით შეირჩა საწყისი წერტილი დაკვირვებისათვის, საწყისი წერტილის მიდამოში ინტერვიუებმა 5 ოჯახი შეარჩია დაკვირვებისათვის. შერჩეულ ოჯახში რესპონდენტის მოძებნა მოხდა ოჯახის შესაბამისი ასაკის წევრებიდან ბოლო დაბადების დღის პრინციპით.

კონკრეტული ოჯახების შერჩევისთვის გამოყენებული იქნა „შემთხვევითი ხეტიალის პრინციპი“. ინტერვიუებებს ეძლეოდათ ინსტრუქცია, სადაც დეტალურად იყო აღწერილი რესპონდენტის

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

შერჩევის მეთოდი. კერძოდ, ანკეტაში მოცემული იყო ფილტრი კითხვა, რომელიც გამორიცხავდა კვლევაში ისეთი რესპონდენტების მოხვედრას, ვისაც დასაქმების სურვილი ახლა ან მომავალში არ გააჩნია.

რესპონდენტთა ჯგუფების² შედარებისთვის გამოყენებული იქნა როგორც აღწერითი, ასევე ახსნითი სტატისტიკის მეთოდები. დათვლილი იქნა კოეფიციენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ სტატისტიკური განსხვავებების მნიშვნელოვნება ორი ჯგუფის პასუხებს შორის (T-test, One way ANOVA).

ცხრილი 1. რესპონდენტთა განაწილება ქალაქების მიხედვით

ქალაქი	რესპონდენტთა რაოდენობა	%
თბილისი	80	20
ქუთაისი	64	16
ბათუმი	65	16.2
ზუგდიდი	48	12
ახალციხე	48	12
თელავი	48	12
გორი	48	12
სულ:	400	100

გეოგრაფიული არეალის გარდა, შერჩევის ფორმირებისას გამოყენებული იქნა ქვოტები სამიზნე ჯგუფებისთვის:

1. დასაქმებული კურსდამთავრებული ახალგაზრდები (ვინც დაასრულა სწავლა საშუალო სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ა.შ. და დასაქმებულია);
2. უმუშევარი კურსდამთავრებული (ვინც დაასრულა სწავლა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ა.შ. და ჯერ არ მუშაობს);
3. უმუშევარი კურსდამთავრებული (ვინც დაასრულა სწავლა სკოლა და არ მუშაობს);
4. უმუშევარი სტუდენტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ა.შ.).


აქვე გვინდა განვმარტოთ განსხვავება წინამდებარე კვლევისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიას შორის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით³ უმუშევარი არის 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არმუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის და საწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. წინამდებარე კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა 18-29 წლის ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდების უმუშევრობის დონის დადგენა, ამიტომ ტერმინი უმუშევარი, ჩვენს კვლევაში გულისხმობს 18-29 წლის რესპონდენტს, რომელიც ამ ეტაპზე არ მუშაობს, მაგრამ აქვს სურვილი დასაქმდეს მომავალში (უმუშევარი კურსდამთავრებული, უმუშევარი სკოლამთავრებული, უმუშევარი სტუდენტი).

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს 7 ქალაქში. ასაკობრივი ჯგუფები მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნა წარმოდგენილი. სულ გამოკითხული რესპონდენტებიდან 61.8% ქალი, ხოლო 38.2% - კაცია.

²დემოგრაფიული ჯგუფები, განათლების მიღწეული საფეხურის, დასაქმების სტატუსის, ეკონომიკური დონის, თვითშეფასების მიხედვით და ა.შ. დაყოფილი რესპონდენტთა ჯგუფები.

³http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/Labour%20Force%20Statistics.pdf

დიაგრამა1. რესპოდენტთა განაწილება სქესის მიხედვით



თვისებრივი კვლევა ჩატარდა : ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით.

ფოკუს-ჯგუფები

სულ ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი. აქედან 4 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა 18-29 წლის ახალგაზრდებთან, ხოლო ერთი ფოკუს-ჯგუფი 15-18 წლის ახალგაზრდებთან.

18-29 წლის ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ:

- № უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;
- № უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმუშევარი კურსდამთავრებულები;
- № უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაქმებული კურსდამთავრებულები;
- № ახალგაზრდები, რომლებმაც სკოლის დამთავრების შემდეგ არ გააგრძელეს სწავლა და არიან უმუშევრები.

15-18 წლის ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ:

- № სკოლის მოსწავლეები;
- № პროფესიული კოლეჯის/სასწავლებლის სტუდენტები.

თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა იყო 10-12 მონაწილე.

ცხრილი2. ფოკუს-ჯგუფების განაწილება

#	სამიზნე ჯგუფი	რაოდენობა
1.	უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;	1
2.	უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმუშევარი კურსდამთავრებულები	1
3.	უნივერსიტეტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაქმებული კურსდამთავრებულები;	1
4.	ახალგაზრდები, რომლებმაც სკოლის შემდეგ არ გააგრძელეს სწავლა და არიან უმუშევრები	1
5.	15-18 წლამდე ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები / პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეები	1
	სულ	5

სიღრმისეული ინტერვიუები

სიღრმისეული ინტერვიუების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა: ახალგაზრდების დასაქმების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, სფეროს ექსპერტები, დასაქმებისა და განათლების სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სულ ჩატარდა: 21 ინტერვიუ;

მონაცემების მოგროვებასთან დაკავშირებული სირთულეები

კვლევის პროცესში რესპონდენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პრობლემები არ წარმოქმნილა, კითხვარში ჩადებული იყო ფილტრი კითხვა, რომელიც გამორიცხავდა არარელევანტური რესპონდენტების მოხვედრას შერჩევაში. საველე სამუშაოებისას რესპონდენტთა გამოპასუხების პროცენტი იყო 86%, უარის თქმის მიზეზებად სახელდებოდა: ანკეტის ზომიდან გამომდინარე დროის უქონლობა და ასევე სხვა უმნიშვნელო პირადი მიზეზები. (არ მინდა აზრის დაფიქსირება, მაინც არაფერი შეიცვლება ჩემი პასუხების შემდეგ და ა.შ.)

სიტუაციური ანალიზი

2015 წლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემების მიხედვით, საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2021,5 ათასი კაცია, საიდანაც დასაქმებულია 1779,9 ათასი. დასაქმების მაჩვენებელი საქსტატის მონაცემების მიხედვით 59,7%-ია, საქართველოში უმუშევრობის დონე 12%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა კვლევების მიხედვით, პრობლემების ჩამონათვალში უმუშევრობა პირველი რიგის პრობლემად სახელდება.

განსხვავებულია სიტუაცია 15-29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებლებში. საქსტატის მონაცემების მიხედვით 15-29 წლამდე სამუშაო ძალა, მთლიანად ქვეყნის სამუშაო ძალის 18,2% შეადგენს (368,821.93 კაცი). მათ შორის უმუშევრობის მაჩვენებელი 25.6 %-ია, რაც 2,8-ჯერ მაღლია, ვიდრე 30 წლის და ზევით მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი (დაახლოებით 9,1%).⁴

UNICEF-ის მიერ 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში - საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზში“⁵ ასევე ვკითხულობთ, „საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში ფიქსირდება. ბუნებრივია, ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს ფორმალური განათლების მიღება, აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაოს, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ხვდებათ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარი, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო, შედარებით გართულებულია მათი შრომის ბაზარში ჩართვა. 15-29 წლის ახალგაზრდების აქტიურობის დონე 60,0%-ს აღწევს. ახალგაზრდა სამუშაო ძალის 30,7% უმუშევარია, მათი დიდი ნაწილი (33,2%) უმაღლესი განათლებითაა.

ასაკობრივი ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშია. ამა საკის აქტიური ახალგაზრდებიდან (სამუშაოდან) 36,3% უმუშევარია. შედარებით მაღალია დასაქმების დონე 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (55,6%), ხოლო 15-19 წლის ახალგაზრდები სუმრავლესობა (67,1%) ეკონომიკურად არააქტიურია. ქალაქში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2,5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, ხოლო კაცების დასაქმების დონე (53,3%) ბევრად აღემატება ქალების დასაქმების დონეს (30,4%).⁶

ამ მონაცემებზე და საექსპერტო მოსაზრებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ ახალგაზრდა ადამიანების დასაქმება ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს და სხვადასხვა სახის

⁴წყარო: geostat.ge 2015 წლის მონაცემები

⁵http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

⁶http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება დროულია დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიმართულებით.

ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებიდან ერთ-ერთი უმუშევრობის დაძლევაა. სამინისტროების უწყებების სტრატეგიული განვითარების გეგმებში არსებობს მიზნები, ამოცანები და კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უმუშევრობის შემცირებას. მართალია 2007 წლიდან 2015 წლის ჩათვლით უმუშევრობის მაჩვენებელი საქსტატის მონაცემების მიხედვით მცირდება, თუმცა წლიდან წლამდე შემცირება არ აღმატება 2%-ს.⁷

როგორც ავლნიშნეთ, დასაქმების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებებიან აქტივობები (მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და ა.შ.) სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების სტრატეგიულ გეგმებშია გაწერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით არის:

- საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება;
- შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განვითარება;
 - კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა;
 - შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება;
- პროფესიული განათლების სტრატეგიის განვითარება-განხორციელება;
- მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამების განვითარება.

საქართველოში ასევე მუშაობს საერთაშორისო პროექტები და პროგრამები, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობს დასაქმების პროცესის ხელშეწყობაში. ეს პროექტებია” **EUVEGE**⁸- ევროკავშირის პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტი; **UNDP**⁹-“ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის დაკავშირება დასაქმების ბაზართან”**UNDP**¹⁰- „პროფესიული განათლება და ექსტენცია სოფლის მეურნეობის სფეროში“.

შრომის ბაზრის გაუმჯობესებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში შექმნილია საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.¹¹ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგებზე, რომელთა მიხედვითაც უმუშევრობის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს:

1. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი;
2. შრომის ბაზრის მოქმედების შეზღუდული არეალი;
3. შრომის ბაზრის ნაკლები ელასტიურობა;
4. სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა;
5. სამუშაო ძალის დაბალი ფასი, შრომის მძიმე პირობები;
6. ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი;
7. შრომის ბაზრის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.

ქვემოთ მოცემული ფაქტორები კი განაპირობებენ უმუშევრობის ძირითად მიზეზებს:

- შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- შრომის დისკრიმინაციული პირობები;

⁷ http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

⁸ http://www.eu-ve.ge/index_GEO.html

⁹ http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/formal-non-formal-VET.html

¹⁰ http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/education-for-farmers.html

¹¹ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/73.pdf

- შრომის დაბალი ანაზღაურება;
- პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა;
- სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები“);
- დასაქმების სფეროში საშუალო სერვისის განუვითარებლობა/ ხელმიუწვდომლობა.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ინტერნეტ პორტალი www.worknet.gov.ge,¹² სადაც დამსაქმებელს შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი გვერდი, მოიძიოს სასურველი ადამიანური რესურსი ქვეყნის მასშტაბით კონკრეტული ვაკანსიის მიხედვით, მოიპოვოს სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრის შესახებ.

დასაქმების მაძიებელს შეუძლია დარეგისტრირდეს და ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი მონაცემები დამსაქმებლებისთვის. სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს პროგრამას, რომლის საშუალებით ხდება მსურველების გადამზადება სხვადასხვა მოთხოვნად პროფესიებში და დახმარება პროფორიენტაციის საკითხებში.

აღსანიშნავია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შექმნილი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა - „აირჩიე შენი პროფესია“, პორტალი www.myprofession.ge, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალგაზრდებს პროფესიის არჩევაში და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვაში. აღნიშნული პროექტის საშუალებით, მოზარდებს შეუძლიათ მათი პიროვნულ-ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენა. პორტალის საშუალებით ასევე შესაძლებელია პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიღება.

გარდა ამისა, ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა“

კონკურსის წესით შერჩეულმა 103-მა პროფკონსულტანტმა და 5-მა კოორდინატორმა ეტაპობრივად გაიარა გადამზადება შემდეგ მოდულებში:

1. მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები;
2. ეფექტური კომუნიკაცია;
3. მართვის უნარ-ჩვევები;
4. პროფორიენტაცია.

გადამზადებული პროფკონსულტანტები კლასის დამრიგებლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარებაში, უზრუნველყოფენ სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას, სკოლებისთვის შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდებას, სკოლებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირებას და თანამშრომლობას.¹³

სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს კარიერული განვითარების ცენტრები, რომელთა ფუნქციას წარმოადგენს სამუშაოს მაძიებელი სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

¹²http://ssa.gov.ge/index.php?lang_id&sec_id=1112

¹³<http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90&i d=4937&lang=geo>

საექსპერტო კვლევის შედეგები

ექსპერტების მოსაზრებით, ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები არის სამუშაო ადგილების დეფიციტი და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის და უნარების შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნასთან. როგორც ექსპერტთა უმეტესობამ აღნიშნა, საქართველოში სტრუქტურული უმუშევრობაა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: „სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს გააჩნიათ, არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო.“¹⁴

ექსპერტთა აზრით, ახალგაზრდა სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების ნაკლებობა განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით, ესენია:

1. განათლების დაბალი ხარისხი, რომელსაც იღებენ ახალგაზრდები სასწავლებლებში;
2. საზოგადოებაში გავრცელებული განათლების მიღების სტერეოტიპები;
3. თვითგანვითარებისთვის¹⁵ საჭირო უნარების დეფიციტი;
4. სამუშაოს მაძიებელთა ტრანსფერული (კომუნიკაცია, საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარი, გუნდურობა და ა.შ.) უნარების არასაკმარისი დონე;
5. პროფორიენტაციის სერვისების განუვითარებლობა და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;
6. ქვეყნის მასშტაბით დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო სერვისების დეფიციტი რეგიონებში;
7. შრომის ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა;
8. დასაქმების პროცესის და სამუშაოს ძიების ხერხების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
9. დასაქმების არსებულ სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობა;
10. დასაქმების გავრცელებული სტრატეგიები;
11. პასიურობა სამუშაოს ძიებისას.

ექსპერტთა მოსაზრებით, ახალგაზრდების დასაქმება მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ მიღებულ საშუალო, პროფესიულ, თუ უმაღლეს განათლებასთან. მათი აზრით, განათლების სისტემა ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს შრომის ბაზარს იმ კადრებით, რომელზედაც არის მოთხოვნა: 1) უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები არ ამზადებენ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობის, პროფესიების კადრებს; 2) მათ მიერ მომზადებული კურსდამთავრებულები არ არიან იმ კვალიფიკაციის (პროფესიული დონის), რომელსაც მოითხოვს შრომის ბაზარი.

ექსპერტთა აზრით ახალგაზრდას, რომელიც სწავლის დასრულების შემდეგ შედის შრომის ბაზარზე, სამუშაო ადგილზე უწევს პროფესიისთვის აუცილებელი უნარების შეძენა. დამსაქმებელი ხარჯავს დროსა და სახსრებს ახალი კადრის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც მისთვის ფინანსურად მომგებიანი არ არის. დამსაქმებელს ურჩევნია გამოცდილი კადრი აიყვანოს სამსახურში და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გამოცხადებულ ვაკანსიაში ხშირად მითითებულია იმაზე დიდი სამუშაო გამოცდილება, ვიდრე შესაძლებელია ჰქონდეს ახალგაზრდა სამუშაოს მაძიებელს.

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით ამ პრობლემის გადაჭრას ხელს შეუწყობს დუალური პროფესიული განათლების დანერგვა, რაც საპილოტე რეჟიმში უკვე ხორციელდება რამოდენიმე სასწავლებელში. დუალური პროფესიული განათლება გულისხმობს ცოდნისა და უნარების ორ პარალელურ სივრცეში მიღებას: პროფესიულ სასწავლებელში და საწარმოში. როგორც ექსპერტები აფასებენ, დღეს საქართველოში უფრო მაღალი მოთხოვნაა პროფესიული განათლების მქონე კადრებზე, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირებზე, ამიტომ დუალური განათლების ფართოდ დანერგვა გაზრდის დასაქმების მაჩვენებლებს.

„დუალური სწავლების სტუდენტი თავიდანვე ჩართული საქმიანობაში საწარმოში დასასწავლო პროცესში კოლეჯში -ის თან მუშაობს, თან სწავლობს. შესაბამისად, დამსაქმებელს ეძლევა

¹⁴<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14734>

¹⁵ კვლევის პროცესში ზოგიერთი ექსპერტი იყენებდა თვითგანათლების ტერმინსაც, რაც ნიშნავს: ადამიანის უნარს დამოუკიდებლად აიმაღლოს კომპეტენცია, მიიღოს განათლება, შეიძინოს საჭირო უნარი და ა.შ.

საშუალება, როგორც კადრიც უნდა, სწორედ ისეთი უნარები გამოუმუშაოს ადგილზე სტუდენტს. დამსაქმებელი სასწავლოპროცესში იღებს მონაწილეობას და შეუძლია შემოგვთავაზოს გარკვეული ცვლილება სასწავლო პროგრამებშიც.“

დუალური სწავლების განვითარების პარალელურად საჭიროა სტუდენტური დასაქმების პროგრამებისა და სტუდენტური სტაჟირების პროგრამების განვითარება. ამ ტიპის პროგრამების საშუალებით: 1) ახალგაზრდებს გამოუმუშავდებათ სამუშაო უნარ-ჩვევები; 2) დააგროვებენ გამოცდილებას; 3) მიიღებენ ანაზღაურებას; 4) მოსინჯავენ საკუთარ შესაძლებლობებს იმ პროფესიაში, რომელსაც ეუფლებიან; 5) დამსაქმებელს უშუალო შეხება ექმნება სამუშაოს მაძიებელთან, რაც გაზრდის ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობას.

სასწავლებლის დასრულების შემდგომ ახალგაზრდებს ესაჭიროებათ დიდი დრო მათთვის სასურველი სამუშაოს მოსაძებნად. თუ უმუშევრობის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა, ხდება კადრის დეკვალიფიკაცია, რაც უარყოფითად აისახება მათი დასაქმების შანსზე. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად ექსპერტები საუბრობენ დასაქმების ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაზე (გადამზადების კურსების განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება, ტრანსფერული უნარების გაძლიერება და ა.შ.).

ექსპერტები ახალგაზრდებს შორისგამოყოფენ განსაკუთრებული ზრუნვის ორ ჯგუფს:

1) ახალგაზრდები, რომლებმაც მიატოვეს სწავლა და არ დაასრულეს ზოგადი განათლების საფეხური, „რაც ყოველ 1000 მოსწავლეზე 15-ს შეადგენს.“¹⁶ საექსპერტო შეფასებით ეს რიცხვი ბევრად მეტია და შესაბამისად მათ აუცილებლად სჭირდებათ პროფესიული გადამზადება.

„ადამიანები მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში ეძიებენ თავს და შესაბამისად კარიერული კონსულტირება ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება იყოს აუცილებელი. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე 3-4 ჯერ იცვლის პროფესიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ის ინსტრუმენტები, რაც ადამიანს იმის საშუალებას მისცემს, რომ გადაემზადოს, მიიღოს ახალი პროფესია. ეს შეაჩერებს უმუშევრობის დონის ზრდას და მისცემს საშუალებას დამსაქმებელს, მიიღოს კვალიფიციური კადრი.“

2) მეორე ჯგუფს ის ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომლებმაც დაასრულეს სწავლა, მაგრამ ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში ვერ დაიწყეს სამსახური. ახალგაზრდების ეს ნაწილი დეკვალიფიკაციას განიცდის, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების სერვისების განვითარება. ექსპერტთა აზრით ამ მიმართულებით გადადგმულია პოზიტიური ნაბიჯები, თუმცა: 1) ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ინსტრუმენტები და 2) სამიზნე ჯგუფები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ამ შესაძლებლობების შესახებ.

ექსპერტთა აზრით, შრომის ბაზარზე მოთხოვნა უფრო მეტად პროფესიულ კადრებზეა, ამ დროს კი უმაღლესი განათლების კადრები ჭარბობენ. ახალგაზრდების უმეტესობა უმაღლეს განათლებას იღებს არა დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით, არამედ პრესტიჟისთვის. პროფესიული, სახელობო განათლების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და მისი პრესტიჟის ამაღლება ნაწილობრივ გამოასწორებს პრობლემას და შეამცირებს დისბალანსს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

„ადრე იყო შესაძლებელი, რომ მე-9 კლასიდან გამოსულიყავი, გესწავლა პროფესიულ სასწავლებელში და მერე უმაღლესი განათლებაც მიგელო, მაგრამ სახელმწიფომ გარკვეული კორუფციული სქემების თავიდან ასაცილებლად ზოგადი განათლების კომპონენტი მოაცილა პროფესიულ“

¹⁶http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

სასწავლებელს, რითაც პროფესიული განათლება გახადა არამიმზიდველი და დაარღვია განათლების უწყვეტობის პრინციპი. ამით დაზიანდა პროფესიული განათლების იმიჯი. დღეს ზოგადი განათლების კომპონენტი პროფესიულ კოლეჯში ისევ არსებობს“.

ექსპერტთა აზრით, დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია თვითგანათლებისთვის (სწავლის სწავლა) საჭირო უნარები და სხვა ტრანსფერული უნარები. ამ საკითხებზე ზრუნვა განათლების სივრცეში არ ხდება და არ ატარებს ინსტიტუციურ ხასიათს, რაც ამცირებს სამუშაოს მაძიებლის კონკურენტუნარიანობას.

იმ მოსაზრებას, რომ ე.წ ტრანსფერული უნარების განვითარება მნიშვნელოვანია, ემხრობა ექსპერტთა უმრავლესობა, თუმცა პირველი რიგის პრობლემად მხოლოდ ნაწილი თვლის.

კვლევის პროცესში მოძიებული ინფორმაციის თანახმად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს დასაქმების ხელშეწყობა წარმოადგენს, ახალგაზრდებს სთავაზობს ტრენინგების ციკლს ტრანსფერული უნარების განვითარების მიმართულებით. ექსპერტთა აზრით, ასეთი პროექტები ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნას ქვეყნის მასშტაბით, თუმცა მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება და წარმატებული პროექტები, შესაძლოა, სახელმწიფოსთვის იქცეს ახალგაზრდების ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის სერვისის მოდელებად.

„არაფორმალური განათლების შესაძლებლობას ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ისინი ამაში არ იღებენ ნიშნებს და მუდმივად წახალისებულნი არიან. მათ არ ჰყავთ მასწავლებელი და უშუალო გარემოში მუშაობა მათ უვითარებთ დამატებით უნარებს. ეს მიდგომა უნდა განვითარდეს, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში აღიჭურვოს მისთვის საჭირო უნარებით და კომპეტენციებით, რომელიც მას ცვალებად სიტუაციებთან უფრო ადაპტირებულს გახდის.“

ექსპერტთა ერთი ჯგუფი დასაქმების ხელშეწყობაში სამოქალაქო სექტორის როლს უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და მათი ინსტიტუციონალური შესაძლებლობები კარგად შეიძლება გამოიყენოს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების პროცესში. მათი აზრით, განსაკუთრებით მხარდასაჭერია ისეთი პროექტები, რომლებიც ახალგაზრდების ბიზნეს უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. სახელმწიფოს აქვს საშუალება საგრანტო კონკურსები გამოაცხადოს და ისეთი პროექტები დააფინანსოს, რომელიც ახალგაზრდების მეწარმეობას დაუჭერს მხარს.

კიდევ ერთი საკითხი რომელსაც ყველა ექსპერტი შეეხო, არის ინფორმაციის სიმწირე სამუშაო ადგილების შესახებ. ექსპერტთა აზრით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს, მაგალითად ტრენინგების სერვის პროვაიდერებს, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სტატისტიკური ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნის შესახებ. ექსპერტთა აზრით, ამ მიზნით სახელმწიფომ პროაქტიულად უნდა ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან, მოაგროვოს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ და უზრუნველყოს მისი გავრცელება. ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის სახელმწიფოსაც, აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეეძლება საკუთარი სასწავლო პროგრამები თუ ტრენინგ-მოდულები ააგოს უფრო ეფექტურად და მიზნობრივად. ექსპერტთა აზრით www.worknet.gov.ge-ს ერთ-ერთი ფუნქცია სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის გენერირებაა, ამიტომ მნიშვნელოვანია პორტალის უფრო მეტად გააქტიურება.

ექსპერტების მოსაზრებით, ახალგაზრდების ინფორმირებულობის და დასაქმების ხელშეწყობის კარგი ინიციატივაა კარიერის განვითარების ცენტრები, თუმცა ეს ინსტიტუტი ახალია და საჭიროებს შემდგომ განვითარებას. ექსპერტთა აზრით, კარიერის განვითარების ცენტრები ჩართული უნდა იყვნენ www.worknet.gov.ge- ის ერთიან საინფორმაციო სისტემაში.

კვლევისას გამოკითხული თითქმის ყველა ექსპერტისთვის განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა მათთვის საინფორმაციო ველის შექმნაზე, პროფესიული ორიენტაციის საკითხების მოგვარებისა და პროფესიული გადამზადების საკითხებზე გადის.

ექსპერტთა აზრით, ამ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მხრივ კმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, თუმცა ზემოთჩამოთვლილი პროგრამები და პროექტები იძლევა მყარ საფუძველს, რომ სერვისები მომავალში განვითარდება და მეტად კოორდინირებული გახდება.

„ამ ეტაპზე დასაქმების ან/და პროფესიული გადამზადების მსურველმა ყველა ახალგაზრდამ რომ მიმართოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებას, ასეთი მასშტაბის მომსახურების უზრუნველსაყოფად ამ ეტაპზე არც ადამიანური და არც ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს, თუმცა მაინც წინ მიიწევს სერვისების განვითარება დასაქმების მიმართულებით.“

ექსპერტთა მოსაზრებით, განსხვავებული პრობლემები და გამოწვევები აქვთ ახალგაზრდებს სოფლად და ქალაქად. ზოგი ექსპერტის აზრით, „ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე უკეთესადაა - სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ ნაკლები წვდომა სერვისებზე, სამაგიეროდ ურბანული სპეციფიკა იმით გამოირჩევა, რომ მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული და ახალგაზრდების დასაქმების კუთხით კონკურენციაც უფრო მაღალია“. ზოგი კი თვლის, რომ „რეგიონის ახალგაზრდებისთვის როგორც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაა დაბალი, ისე შრომის ბაზარიც მწირია და დასაქმების შესაძლებლობები - ნაკლები.“

ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით, ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებ დროს უთმობენ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, რაც მეტწილად განპირობებულია მუნიციპალიტეტების ბიუჯეტისა და სტრუქტურის თავისებურებით.¹⁷

“მუნიციპალიტეტების დონეზე არიან კადრები ახალგაზრდული მიმართულებით და შტატიც არის გამოყოფილი, მაგრამ ისინი ძირითად მიმართული არიან ერთჯერად გასართობ ღონისძიებებზე და არ გააჩნიათ არც ფინანსური და არც შესაბამისი კვალიფიციური კადრების რესურსი, რომ უზრუნველყონ ახალგაზრდული ფორმალური თუ არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება”.

მუნიციპალიტეტებში არ არის საკმარისი არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსი, რომ განხორციელონ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. ჩვენ შერჩევით შევისწავლეთ 10 მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, შემთხვევით შერჩეული 10 მუნიციპალიტეტიდან (თბილისი, ჭიათურა, ბაღდათი, წალენჯიხა, საგარეჯო, ბათუმი, თელავი, ამბროლაური, ოზურგეთი, ლაგოდეხი) არც ერთი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტში ახალგაზრდობა არ არის პირველი ან მეორე რიგის პრიორიტეტი.¹⁸

¹⁷ მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობის საკითხებით დაკავებულია სამსახურები, რომელიც ამავდროულად არის სპორტის, ძეგლთა დაცვის, კულტურის, განათლების, გენდერი ს სამსახურები და ახალგაზრდობის მიმართულებით უკეთეს შემთხვევაში ერთი კადრია გამოყოფილი.

¹⁸ http://chiatura.org.ge/uploads/2015_wlis_biujetis_prioritetebis_dokumenti.pdf
<https://docs.google.com/viewer?a=v&pid=sites&srcid=ZGVmYXVsdGRvbWFpbnpbGVRdmluYWRR6ZW9mZmljZXxneDoxYzQzNWY1MjA3M2Y0ZTEy>
<http://bagdati.gov.ge/?p=2358>
<http://sagarejo.ge/wp-content/uploads/2016/11/2017-2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>
batumicc.ge/uploads/banerebi/konmkursis_brzanebebi/...finali/2015-2018___.doc

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში კი დიდი ადგილი ეთმობა რეგიონის ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის საკითხებს:

„2.3. ეკონომიკური შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

რეგიონებსა და რთულად მისადგომ ადგილებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ისეთივე მომსახურებები და შესაძლებლობები სჭირდებათ, როგორც ქალაქში მცხოვრებ მათ თანატოლებს.

საქართველოს მთავრობის მიზანია რეგიონებში, მაღალმთიან ადგილებსა და საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს მთავრობის ამოცანებია:

2.3.1 ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას;

2.3.2 ხელი შეუწყოს რეგიონებში და საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საჭირო ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას;

2.3.3 მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას რეგიონებისთვის მოთხოვნად პროფესიებში;

2.3.4 ხელი შეუწყოს რეგიონების, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონებისა და საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებას, რაც შექმნის ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების შესაძლებლობებს;

2.3.5 ხელი შეუწყოს რეგიონებში კულტურულ-შემოქმედებითი კერების, ღონისძიებებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.¹⁹

დედაქალაქი და რეგიონები არათანაბრადაა განვითარებული, რეგიონებში არსებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებლობის შესაძლებლობებს. მართალია რამოდენიმე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახური/დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდული დასაქმების, მოხალისეობის ან ახალგაზრდების პროექტებში ჩართვის მიმართულებით, თუმცა ხშირ შემთხვევაში სამიზნე ჯგუფის გეოგრაფიული არეალი მაინც შემოიფარგლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრით ან მიმდებარე სოფლებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა აზრით:

- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე;
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაზე;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ინფორმირება იმ პროფესიების შესახებ, რომელიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე, რათა მათ გაითვალისწინონ სასწავლო პროგრამებში ბაზრის მოთხოვნები;

<http://telavi-temi.ge/wp-content/uploads/2014/12/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>
http://ambrolauri.ge/files/ambrolauri_23.12.2014_71_2015_wlis_prioritetebis_dokumenti_dokumenti.pdf
ozurgeti.gov.ge/wp-content/.../პრიორიტეტების-დოკუმენტი.doc

¹⁹<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717>

- სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს კონკრეტული სამიზნე ჯგუფები. მათი საჭიროებების და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების უფასო სერვისები. ექსპერტები გვთავაზობენ განსაკუთრებული ზრუნვის სამ ჯგუფს:
 - ახალგაზრდები, რომლებმაც მიატოვეს სწავლა და არ მიიღეს ზოგადი განათლება;
 - ახალგაზრდები, რომლებმაც დაასრულეს სწავლა და არიან უმუშევრები ერთი წლის და უფო მეტი დროის განმავლობაში;
 - სოციალურად დაუცველი ან/და შშმ ახალგაზრდები.
- სახელმწიფომ პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე შექმნას ქვეყანაში ახალგაზრდების პროფესიული გადამზადების ქსელი, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში შეიძინონ ახალი პროფესია;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების და კალიფიკაციის ამაღლების უფასო ან ფასიანი ცენტრები ქვეყნის მასშტაბით;
- სახელმწიფო უწყებებმა, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები, საგრანტო კონკურსების ფარგლებში დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდების არაფორმალური განათლების მიღებასა და მეწარმეობის ხელშეწყობაზე;
- სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს არასამთავრობო სექტორის ინსტიტუციონალური შესაძლებლობები და ექსპერტიზა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. მოაგროვოს მათ მიერ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული წარმატებული პროექტები, შეარჩიონ ყველაზე რელევანტური მოდელები და ხელი შეუწყოს მათ დანერგვას;
- სახელმწიფომ უნდა შექმნას დასაქმების საშუაშაშლო ქსელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც:
 - ჩართული იქნება საერთო საინფორმაციო სისტემაში და ახალგაზრდები შეძლებენ ერთნაირი ხარისხისა და რაოდენობის ინფორმაციის მოპოვებას შრომის ბაზრის შესახებ;
 - სამიზნე ჯგუფებს უზრუნველყოფს პროფორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, თანაბარი ხარისხის სერვისებით.

ძირითადი შედეგები

ახალგაზრდების უმეტესობა (55.3%) სამუშაოს საარსებო წყაროდ განიხილავს და არა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალებად. მიუხედავად ამისა, უმუშევარი რესპონდენტები სამუშაოს ძიებისას პასიურები არიან და მათ უმეტესობას (53.2%-ს) არც ერთხელ არ უცდიათ სამსახურის დაწყება (დამსაქმებლის მოძიება - მონაცემების გაგზავნა ვაკანტურ პოზიციაზე - დამსაქმებელთან გასაუბრებაზე მისვლა).

უმუშევარი ახალგაზრდების პასიურობა განპირობებულია დაბალი თვითშეფასებით. ახალგაზრდები საკუთარ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, მიღებული ცოდნის დონის მიხედვით, 5 ბალიან სკალაზე **საშუალოზე დაბალი, 2.9 ქულით** აფასებენ, ისევე, როგორც კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე ტრანსფერული უნარების მიხედვით - **2.5 ქულა**. უმუშევარი ახალგაზრდების თვითშეფასება უფრო დაბალია, ვიდრე დასაქმებულების (შესაბამისად 2.8 – 3.1 ქულა). რაც უფრო დაბალია უმუშევარი ახალგაზრდის თვითშეფასება, მით უფრო პასიურია ის სამუშაოს ძიების პროცესში. ახალგაზრდების პასიურმა ნაწილმარ იცის როგორ ეძებოს სამუშაო დასაზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი - „ვერ დასაქმდები თუ არ გყავს ნაცნობი“ - იწვევს მათ დემოტივაციას.

ახალგაზრდების აზრით, სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია სამუშაოს დასაწყებად არის: პროფესიული უნარები/კვალიფიკაცია (58.5%), საჭირო კონტაქტები (31.9%), და კომპიუტერული უნარ-ჩვევები. (28.9%). უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდების მოსაზრება ამ საკითხზე იდენტურია.

ახალგაზრდების მოსაზრებას, რომ სამუშაოს დაწყებისთვის აუცილებელი ფაქტორი საჭირო კონტაქტებია ადასტურებს ისიც, რომ დასაქმების ყველაზე გავრცელებული მოდელი კონკურსის გარეშე დასაქმებაა: დასაქმებულ რესპონდენტთა უმეტესობა სამუშაო ადგილზე კონკურსის გარეშე დასაქმდა (65.9%) და დასაქმებისთვის პირადი ნაცობობა ან კონტაქტები გამოიყენა.

დასაქმების შესაძლებლობა ქვეყანაში 5 ბალიან სკალაზე 2.07 ქულით შეფასდა. უმუშევრობის პირველ სამ მიზეზად სამუშაო ძალაზე შეზღუდული მოთხოვნა (27.7%), დამსაქმებლის მიერ ვაკანტურ პოზიციისთვის გამოცხადებული არაადექვატური მოთხოვნები (21.9%) და შრომის დაბალი ანაზღაურება (11.5%) დასახელდა. უმუშევრობის მიზეზად ახალგაზრდების პასიურობა რესპონდენტთა მხოლოდ 5.7%-მა დაასახელა.

რესპონდენტების უმეტესი ნაწილის მოსაზრებით, სასურველი სამსახურის დასაწყებად, პირველ რიგში, უმაღლესი განათლებაა საჭირო (41.5%). გამოკითხულთა მხოლოდ 17.4%-ს მიაჩნია, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლება საკმარისია დასაქმებისთვის. სკოლა > უმაღლესი განათლება > დასაქმება, ეს ჯაჭვი იმდენად ფესვგადგმულია საზოგადოებაში, რომ ახალგაზრდებს რთულად წარმოუდგენიათ უმაღლესი განათლების მიღების გარეშე დასაქმება.

კვლევის შედეგების მიხედვით პროფესიის შინაარსი არ განსაზღვრავს დასაქმების სტატუსს. კვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტების პროფესიების პირველი ათეული იდენტურია. მათ შორის, ვისაც საერთოდ არ აქვს პროფესია (31.2%) უმუშევარი ახალგაზრდები ჭარბობენ (79%).

რესპონდენტთა უმრავლესობამ (51.5%) პროფესია დასაქმების მაღალი შესაძლებლობის გამო აირჩია. უმუშევართა ნახევარი (50%), ხოლო დასაქმებულთა 30% ხელახალი არჩევანის არსებობის შემთხვევაში მზად არის შეიცვალოს პროფესია. ახალგაზრდების დიდი ნაწილი დამამთავრებელ კლასშიც კი არ არის ჩამოყალიბებული სამომავლო პროფესიის შესახებ. ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტში უწევთ გაარკვიონ რა პროფესიის შექმნას შეძლებენ ამა თუ იმ ფაკულტეტზე სწავლის დასრულების შემდეგ. სამომავლო პროფესიის შესახებ რჩევების მისაღებად ახალგაზრდები უმეტესად მშობლებსა და სხვა დაახლოებულ პირებს მიმართავენ და არ იციან სად შეიძლება მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია ამ საკითხზე.

ახალგაზრდები საუბრობენ პროფესიული ორიენტაციის აუცილებლობაზე სკოლებში, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ კუთხით დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა კონსულტირებისას არ იქნას დაშვებული შეცდომები.

პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობა ქვეყანაში ახალგაზრდებმა 5 ბალიან სკალაზე საშუალოზე მაღალი, 3.7 ქულით შეაფასეს. ხოლო სწავლების ხარისხის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა - 3.2 საშუალო ქულით²⁰. კიდევუფრო კრიტიკულები არიან ახალგაზრდები, როდესაც აფასებენ სწავლების ხარისხის შესაბამისობას ევროპის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან - ამ შემთხვევაში შეფასება 2.4 ქულაა.

უმუშევარი ახალგაზრდების პასიურობას მათ მიერ სამუშაოს ძიების არჩეული სტრატეგია ადასტურებს. უმუშევარი რესპონდენტების სამუშაოს ძიების ყველაზე გავრცელებული ქცევა დასაქმების თხოვნით ნაცნობებისა და მეგობრებისადმი მიმართვა და ლოდინია (პასუხების 41%). უმუშევარ რესპონდენტთა მხოლოდ 10% (31 რესპონდენტი) ადევნებს თვალს ყოველდღიურად გამოცხადებულ ვაკანსიებს ინტერნეტში და აგზავნის საკუთარ მონაცემებს. უმუშევართა 16%-ს სურს დასაქმება, თუმცა არაფერს აკეთებს ამისთვის და შეთავაზებას ელოდება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს აქვთ სურვილი ჰქონდეთ სამუშაო, უმუშევართა 80%-ს და დასაქმებულთა 79%-ს არა აქვს გავლილი არც ერთი პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსი.

რესპონდენტთა უმრავლესობა (91.3%) არ არის დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა რომელიმე ბაზაში. იმ 35 რესპონდენტიდან (8.7%), ვინც დარეგისტრირებულია სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში, მეტწილად უმუშევრები არიან. რესპონდენტთა 97%-ს არ მიუღია მონაწილეობა დასაქმების რომელიმე პროგრამაში.

უმუშევართა 38%-ს და დასაქმებულთა 30%-ს არასოდეს უთქვამს უარი შეთავაზებულ სამსახურზე. შეთავაზებულ სამუშაოზე უარის თქმის მიზეზი უმთავრესად დაბალი ანაზღაურებაა.

დასაქმებულ რესპონდენტთა უმუშევრობის გამოცდილება საშუალოდ 18 თვეს შეადგენს, ხოლო უმუშევართა - 35 თვეს. ახალგაზრდების მხოლოდ მეხუთედს (20%) აქვს დასაქმების მდიდარი გამოცდილება, (2-5-მდე დროებითი ან მუდმივი სამუშაო ადგილი). 39.1% არასდროს ყოფილა დასაქმებული, ხოლო 30% - მხოლოდ ერთხელ. დასაქმებული ახალგაზრდები უმუშევრებთან შედარებით მეტი სამუშაო გამოცდილებით გამოირჩევიან: მათ 43.3%-ს 2-5-მდე მუდმივი ან დროებითი სამუშაო ადგილი ჰქონია. ამ შედეგების მიხედვით, ახალგაზრდები დიდი დროის განმავლობაში არიან უმუშევრები და მათი სამუშაო გამოცდილება მწირია. შესაბამისად, შრომის ბაზარზე ახალგაზრდებს შორის დიდია დეკვალიფიცირებული სამუშაო ძალა.

უმუშევარი რესპონდენტების 57.6% აღნიშნავს, რომ თუ ვერ დასაქმდებიან იმ ვადაში, რომელიც წარმოუდგენიათ, ისინი შეცვლიან სამუშაოს ძებნის ქცევას. უმუშევართა 23.2% აიმაღლებს კვალიფიკაციას, ნაწილი კი (23.2%) გაიუმჯობესებს ტრანსფერულ უნარებს. 7.7%-მა აღნიშნა, რომ წავლენ შრომით მიგრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს ძებნის ინტენსივობა დაბალია, უმუშევარ რესპონდენტთა 70.3% -ს დასაქმებასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები აქვთ.

დასაქმებული ახალგაზრდები (როგორც დაქირავებულები, ასევე თვითდასაქმებულები არასასოფლო-სამეურნეო სექტორში) საკუთარი სამუშაოს სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით 5 ბალიან სკალაზე 3.5 საშუალო ქულით აფასებენ, რაც საშუალოზე ოდნავ მაღალი ქულაა. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საქართველოში დასაქმებულის უფლებები არასათანადოდაა დაცული. დასაქმებულები უკმაყოფილონი არიან იმ სამუშაო პირობებით, რომელსაც სთავაზობს მათ დამსაქმებელი. განსაკუთრებით უკმაყოფილოები არიან ანაზღაურებით და სოციალური გარანტიებით. ვინც დასაქმებულია კონკურსის ან სტაჟირების გავლის შედეგად, ნაკლებად აქვს სამსახურის შეცვლის სურვილი და სამუშაოსაც უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ, ვიდრე კონკურსის გარეშე დასაქმებულები.

უმუშევარი ახალგაზრდებისთვის ყველაზე მიმზიდველი სამუშაო შეთავაზება არის: სამუშაო სასურველი პროფესიით/ხელობით, სტაბილური ანაზღაურება, 8-10 საათიანი სამუშაო გრაფიკი და განვითარების შესაძლებლობა. მათი ნაწილის პასუხების მიხედვით, მინიმალური ანაზღაურება უნდა შეადგენდეს 600-700 ლარს. უმეტესობა (60%) თანახმაა მხოლოდ მისი უნარებისა და კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურზე, დანარჩენი რესპონდენტები კი სხვა შეთავაზებებსაც განიხილავენ.

²⁰ დეტალურად იხ. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რესპონდენტები, რომელთა უმუშევრობის პერიოდი მეტია, ვიდრე 24 თვე, მეტად არიან თანახმა ნებისმიერ სამსახურზე, ვიდრე 1-24 თვემდე უმუშევრობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები.

ახალგაზრდების უმეტესობა (44.5%), ყველაზე კარგ დამსაქმებლად სახელმწიფო ორგანიზაციას მიიჩნევს, სტაბილურობისა და მაღალი პროფესიული და კარიერული ზრდის შესაძლებლობის გამო. მეორე ადგილზე დასახელდა კერძო ორგანიზაცია (38%), მისი ძირითადი უპირატესობა მაღალი ანაზღაურება და დასაქმების მეტი შესაძლებლობაა. გამოკითხულთა 68.7% თვლის, რომ პირადად მას კერძო ორგანიზაციაში დასაქმების მეტი შესაძლებლობა აქვს და უმეტესობა საკუთარ სამუშაოს კერძო ორგანიზაციაში უფრო ხედავს, ვიდრე სახელმწიფოში.

ახალგაზრდების უმეტესობა (69.2%) თვლის, რომ სამუშაო ძალისა და დამსაქმებლის დაკავშირებას სახელმწიფო უნდა ახდენდეს. თუმცა, მხოლოდ 43.2% იცის, რომ დასაქმების ხელშეწყობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაშია.

დასაქმების პორტალის www.worknet.gov.ge-ს შესახებ რესპონდენტთა 39.2%-მა იცის, ხოლო ვებ-პორტალის www.myprofession.gov.ge-ს შესახებ - რესპონდენტთა 36.9%-მა. ინფორმაცია ამ შესაძლებლობების შესახებ მათ ინტერნეტიდან და სოციალური ქსელებიდან აქვთ.


რაოდენობრივი კვლევის შედეგები

დასაქმება

გამოკითხულთა მეოთხედი (25.9%) დასაქმებულია, ხოლო 74.1% - უმუშევარი. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება სქესის მიხედვით - ქალები მეტად არიან უმუშევრები, ვიდრე კაცები. მამაკაცებისმეტი წილია დასაქმებული კერძო სექტორში, ვიდრე ქალების (22.2% და 11.3%) ($P_value < 0.05$). თვითდასაქმებულებს შორისაც მამაკაცები ჭარბობენ (მამაკაცები -5.2%, ქალები - 2.8%).


რესპონდენტებს შორის 24.2% უმუშევარი სტუდენტია. 15.5% მუდმივად დასაქმებულია კერძო სექტორში, 5.5% - საჯარო სექტორში. საკმაოდ მცირეა საკუთარ ბიზნესში ან პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობაში თვითდასაქმებულთა და დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა (3.7% და 1.2% შესაბამისად).

დიაგრამა2. რესპონდენტთა დასაქმების სტატუსი



სწავლის (მიღწეული უმაღლესი საფეხური) დასრულებიდან დღემდე, უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობა 31.5 თვეა, რაც 2 წელსა და 5 თვეს შეადგენს. დასაქმებული რესპონდენტებისთვის უმუშევრობის ხანგრძლივობა 18 თვეა, ხოლო უმუშევრების - 35 თვე.

დიაგრამა3. უმუშევრობის პერიოდი²¹



²¹ მონაცემები დათვლილია დასაქმებული და უმუშევარი ახალგაზრდების პასუხებიდან უმუშევარი სტუდენტების გამოკლებით.

ცხრილი3. უმუშევრობის პერიოდი. განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

	დასაქმებული		უმუშევარი	
	Valid %	N	Valid %	N
0-24 თვე	35,4	35	43,4	89
25-60 თვე	16,2	16	27,8	57
61-84 თვე	6,1	6	9,8	20
85-132 თვე	1,0	1	5,4	11
ასეთი პერიოდი არ ყოფილა ჩემს გამოცდილებაში	41,4	41	----	----
მ.პ.გ.	----	----	13,7	28


რეგიონების მიხედვით ანალიზისას იკვეთება, რომ თბილისში, რეგიონებისგან განსხვავებით, ჭარბობენ მუდმივად დასაქმებულები კერძო ან საჯარო სექტორში, ხოლო რეგიონებში - თვითდასაქმებულები საკუთარ ბიზნესში ან პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ცხრილი4. დასაქმების სტატუსი რეგიონების მიხედვით

	დასაქმების სტატუსი						სულ
	მუდმივად დასაქმებული საჯარო სექტორში	მუდმივად დასაქმებული კერძო სექტორში	დასაქმებული სტუდენტი	თვითდასაქმებული საკუთარ ბიზნესში ან პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობაში	უმუშევარი სტუდენტი	უმუშევარი კურსდამთავრებული	
თბილისი	6,3%	17,5%	0,0%	1,3%	23,8%	51,3%	100%
რეგიონები	5,3%	15,0%	1,6% ²²	4,4%	24,3%	49,5%	100%

რესპონდენტების 39.1%-ს არც ერთი მუდმივი ან დროებითი სამუშაო ადგილი არ ჰქონია. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს(30%) კი მხოლოდ ერთი სამუშაო ადგილი ჰქონდა.

დიაგრამა4. სამუშაო ადგილების რაოდენობა



²² დასაქმებული სტუდენტები დასაქმებული არიან კერძო სექტორში

უმუშევართა შორის არასდროს ჰქონია სამუშაო ადგილი 53.2%-ს. ერთი სამუშაო ადგილი 23.9%-ს ჰქონია, ხოლო 2-ზე მეტი მხოლოდ 22%-ს.

ცხრილი 5. სამუშაო ადგილების რაოდენობა - დასაქმებულების და უმუშევრების შედარება

	დასაქმებული		უმუშევარი	
	Valid %	N	Vaid %	N
არცერთი	----	----	53.2	156
მხოლოდერთი	47.1	49	23.9	70
2-5-მდე	43.3	45	21.8	64
5-ზემეტი	9.6	10	1	3
		104		293

საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება


გამოკითხული ახალგაზრდებიდან საზღვარგარეთ სულ 15 რესპონდენტს უმუშავია. მათ მიერ დასახელდა ისეთი ქვეყნები როგორცაა რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. რესპონდენტების ნაწილმა თავი შეიკავა ქვეყნების დასახელებისგან.

13 შემთხვევაში რესპონდენტი ლეგალურად მუშაობდა საზღვარგარეთ, ხოლო 3 შემთხვევაში არალეგალურად²³. რესპონდენტები ასახელებდნენ საზღვარგარეთ მუშაობის სხვადასხვა პერიოდს, 1 თვიდან 3 წლამდე, საშუალო პერიოდმა შეადგინა 10.7 თვე.

Online მუშაობა

Online მუშაობის გამოცდილება გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 3.4%-ს აქვს (18 რესპონდენტი). უმეტეს შემთხვევაში ეს არის Online გაყიდვები (9 პასუხი). ასევე სახელდება საკუთარი ბლოგის/ვებ გვერდის მეშვეობით თანხის გამომუშავება (5 რესპონდენტი), 2-2ჯერ დასახელდა Youtube -ს არხის საშუალებით მუშაობა და Online თარგმანი, ხოლო ერთხელ საშუამავლო საქმიანობა.


დიაგრამა 5. Online მუშაობის გამოცდილება



იმ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი, ვისაც აქვს Online მუშაობის გამოცდილება, საშუალოდ თვეში გამოიმუშავებს 300 ლარამდე თანხას, თუმცა დასახელდა უფრო მაღალი ანაზღაურებაც.

²³ ერთი რესპონდენტი იყო ორ ქვეყანაში, ერთგან მუშაობდა არალეგალურად, ხოლო მეორეგან ლეგალურად.


დიაგრამა6. Onlineანაზღაურება



ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა და სამომავლო ხედვა

რესპონდენტები აფასებდნენ საკუთარი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავლებს ქვემოთ მოცემული დებულებების საშუალებით. ახალგაზრდების 45.6% ფინანსურ მდგომარეობას აფასებს როგორც ცუდს, ხოლო 44.1% - დამაკმაყოფილებლად. როგორც მოსალოდნელი იყო, დასაქმებული ახალგაზრდები ოდნავ უკეთ ახასიათებენ ოჯახის შემოსავლებს (საშუალო ქულა 5 ბალიან სკალაზე 2,8), ვიდრე უმუშევარი ახალგაზრდები (საშუალო ქულა 5 ბალიან სკალაზე 2,5), საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა (Pvalue<0.05).

დიაგრამა7. ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა




ცხრილი 6. ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა - დასაქმების სტატუსტის მიხედვით

	დასაქმებული	უმუშევარი
	%	%
ძალიან ცუდი – არსებული შემოსავლით ვერ უზრუნველყოფთ მინიმალურ მოთხოვნილებას კვებაზე/შემოსავალი/მოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	---	3,4
ცუდი – შემოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის	33,0	50,2
დამაკმაყოფილებელი – ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება	58,3	39,1
საშუალო – შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება	7,8	5,7
კარგი - შეგვიძლია ფულის დახარჯვათა ვისუფლად	1,0	1,7


რესპონდენტების 64.6%-ის შეფასებით მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გასული 12 თვის განმავლობაში იგივე დარჩა, ხოლო 26.7% აღნიშნავს, რომ მცირედით გაუმჯობესდა.

დიაგრამა 8. ფინანსური მდგომარეობის ცვლილება ბოლო 12 თვეში



გამოკითხული ახალგაზრდების 73.1% მიიჩნევს, რომ მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მომავალი 12 თვის განმავლობაში არ შეიცვლება, 14.7% მცირედ გაუმჯობესებას მოელოს, ხოლო 10.7% - მცირედ გაუარესებას.


დიაგრამა 9. ეკონომიკური ოპტიმიზმი



უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდების სამომავლო ხედვები არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მათი ეკონომიკური ოპტიმიზმის ინდექსი დაახლოებით თანაბარია და 5 ბაიან შეფასების სკალაზე 3.1 საშუალო ქულას შეადგენს.


გამოკითხული ახალგაზრდების 9% აღნიშნავს, რომ მათ ოჯახს მიუღია სოციალური დახმარება გასული 12 თვის განმავლობაში. მათ შორის, ვისაც მიუღია სოციალური დახმარება (36 ოჯახი), უმუშევარი ახალგაზრდების ოჯახები ჭარბობენ (30 ოჯახი).

დიაგრამა 10. სოციალური დახმარება




რესპონდენტთა ნახევარი (49.4%) პასუხობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მათ ან მათი ოჯახის რომელიმე წევრს უსარგებლია საყოველთაო სამედიცინო დაზღვევით. გამოკითხული ახალგაზრდების მიერ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის მნიშვნელოვნება 3.1 (საშუალოზე მაღალი) ქულით შეფასდა 4 ბალიან სკალაზე.

დიაგრამა 11. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა



რესპონდენტების 42.4%-ს ამჟამად აქვს მიმდინარე სესხი (ბანკიდან, Online სესხი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კერძო მევალე). მათგან 28.8% აღნიშნავს, რომ აქვთ პრობლემები სესხის დაფარვასთან დაკავშირებით. როგორც კვლევამ აჩვენა, უმუშევარი ახალგაზრდები უფრო ფრთხილები არიან სესხის აღებასთან დაკავშირებით. შედეგების მიხედვით დასაქმებულების 60%-ს აქვს აღებული სესხი, ხოლო უმუშევართა მხოლოდ 36%-ს. სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემები დასაქმებულებსაც და უმუშევრებსაც დაახლოებით თანაბრად აქვთ (16.5% და 13.9% შესაბამისად).


დიაგრამა 12 საკრედიტო სტატუსი (აქვთ თუ არა ამჟამად სესხი)



უმუშევარი რესპონდენტები

უმუშევარი რესპონდენტების ძირითადი საარსებო წყარო საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრების შემოსავლებია (90.1%). გამოკითხულთა 6.7% შემწეობით ირჩენს თავს, 3.5%-სთვის კი საარსებო წყაროს წარმოადგენს ოჯახის იმ წევრების შემოსავლები, რომლებიც ცხოვრობენ უცხოეთში. მნიშვნელოვანი განსხვავება თბილისსა და რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების პასუხთა შორის არ იკვეთება.

დიაგრამა13. უმუშევართა საარსებო წყარო



კითხვაზე, თუ რა არის ამ ეტაპზე უმუშევრობის მიზეზი, უმუშევარ რესპონდენტებს (მათ შორის უმუშევარ სტუდენტებს) ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცათ რამოდენიმე პასუხი. ყველაზე ხშირად (პასუხთა 33.3%) დასახელდა, რომ რთულია იპოვო ისეთი სამსახური, რომელიც რესპონდენტს სურს. პასუხთა 23.2% შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზად ოჯახური გარემოებები დასახელდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიზეზი ყველა შემთხვევაში დასახელებულია მხოლოდ ქალი რესპონდენტების მიერ (65 პასუხი). ამასთან საინტერესოა, რომ უმუშევრობის მიზეზად სქესი (რომელიც მოცემული იყო შესაძლებელ პასუხებში) არც ერთხელ არ დასახელებულა.

დასაქმებისთვის ხელისშემშლელ გარემოებად ასევე ხშირად სახელდება „ვერ ვიპოვე სამსახური ისეთი ანაზღაურებით, როგორც მსურს“ – 19.5%. საინტერესოა, რომ თბილისში მეტად ასახელებენ უმუშევრობის მიზეზად „ვერ ვიპოვე ჩემი ცოდნის, უნარების შესაბამისი სამსახური“ (თბილისი - 15%, რეგიონები 8.4%). რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების მიერ მეტად სახელდება „ვერ ვიპოვე სამსახური ისეთი ანაზღაურებით, როგორც მსურს“ (თბილისი 13.3%, რეგიონები 21.1%) და „ოჯახური ვალდებულებები მიშლის ხელს“ (თბილისი 16.7%, რეგიონები 24.9%).

უმუშევარი ახალგაზრდებისა და უმუშევარი სტუდენტების პასუხები მათი უმუშევრობის მიზეზებზე განსხვავდება ერთმანეთისგან, თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგინეთ ორივე ჯგუფის პასუხები ცალკე-ცალკე.


ცხრილი7. რატომ არ ხართ დასაქმებული ამ ეტაპზე

უმუშევრობის მიზეზები	უმუშევარი კურსდამთავრებულები და სკოლადამთავრებულები	უმუშევარი სტუდენტები
რთულია იპოვო ისეთი სამსახური, რომელიც მე მსურს,მომწონს	38.50%	27.80%
ოჯახური ვალდებულებები მიშლის ხელს	36.40%	1.00%
ვერ ვიპოვე სამსახური ისეთი ანაზღაურებით, როგორც მსურს	28.30%	5.20%
არ მაქვს პროფესია/ხელობა	11.20%	4.10%
ზოგადად, ქვეყანაში არ არის სამუშაო ადგილები	10.70%	5.20%
ვერ ვიპოვე ჩემი ცოდნის/უნარების შესაბამისი	9.10%	12.40%

სამსახური		
დამსაქმებლების იმაზე დიდ სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ, ვიდრე მემაქვს	9.10%	7.20%
არ მყავს გავლენიანი ნაცნობები ნათესავები, რომლებიც მომეხმარებოდნენ სამუშაოს დაწყებაში	7.50%	
არ მაქვსსათანადო კვალიფიკაცია, იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც მე მომეწონებოდა	6.40%	12.40%
ოჯახის წევრებს მეგობრებს არ სურთ, რომ ვიმუშავო	3.20%	
არ მაქვს ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ	2.70%	2.10%
დამსაქმებლები ვაკანტური პოზიციისთვის არაადეკვატურად მაღალ კვალიფიკაციას ითხოვენ, რაც ჩემი აზრით არ არის საჭირო	2.70%	1.00%
ჩემს ქალაქში არ არის დასაქმების სააგენტო, ან ორგანიზაცია, რომელიც დამეხმარებოდა სამუშაოს ძებნაში	2.10%	
არ ვიცი როგორ წარვადგინო ჩემი მონაცემები პოტენციურ დამსაქმებელთან	0.50%	
ვშიშობ, დავკარგო შემწეობა	0.50%	
რთულია ისეთი სამსახურის შოვნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების საჭიროებებზე მორგებული გარემოა	0.50%	
ვარ სტუდენტი და ვერ ვათავსებ სწავლას და დასაქმებას		64.90%

უმუშევარ რესპონდენტთა 59.1% თანახმაა დასაქმდეს მხოლოდ მისი კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამის სამუშაოზე, ხოლო 40.9% - ნებისმიერ სამუშაოზე. უმუშევარი კურსდამთავრებულებისა და უმუშევარი სტუდენტების პასუხებს შორის განსხვავება ამ კითხვაზე სტატისტიკურად არ არის განსხვავებული (P value >0.05).


დიაგრამა14. დასაქმების მზაობა



აღსანიშნავია, რომ ის რესპონდენტები, რომელთა უმუშევრობის პერიოდი მეტია ვიდრე 24 თვე, მეტად არიან თანახმა ნებისმიერ სამსახურზე, ვიდრე 1-24 თვემდე უმუშევრობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები. ამ უკანასკნელთა პასუხებში ჭარბობს პასუხი „თანახმა ვარ მხოლოდ ჩემი კვალიფიკაციის და უნარების შესაბამის სამუშაოზე“.

უმუშევარი რესპონდენტების დაახლოებით ნახევარს (49.3%) ორჯერ და მეტჯერ უცდიათ სამსახურის დაწყება(ეძებეს შესაბამისი ორგანიზაცია/დამსაქმებელი, გააგზავნეს მონაცემები, გაესაუბრენ დამსაქმებელს), თუმცა უმედეგოდ, 10.8%-ს მხოლოდ ერთხელ, 39.9%-ს კი არც ერთხელ.

დიაგრამა15. უმუშევრების მიერ სამუშაოს დაწყების მცდელობა (რაოდენობა)



უმუშევარ კურსდამთავრებულებსა და უმუშევარ სკოლადამთავრებულებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია სამუშაოს ძიების აქტიურობის მიხედვით. უმუშევარი სკოლადამთავრებულები მეტად პასიურები არიან სამუშაოს ძიების პროცესში

ცხრილი8. განსხვავება უმუშევარ კურსდამთავრებულებსა და უმუშევარ სკოლადამთავრებულებს შორის სამუშაოს ძიების ინტენსივობის მიხედვით.

	უმუშევარი კურსდამთავრებულები	უმუშევარი სკოლადამთავრებულები
არც ერთხელ	41.6	52.0
მხოლოდ ერთხელ	26.7	31.0
ორჯერ და მეტად	29.7	16.0
5-ზე მეტად	2.0	1.0

ანკეტაში გამოყენებული იყო ორი კითხვა, რომელიც აღწერდა რა ოფიციალური მიზეზით ეუბნებოდა უარს დამსაქმებელი სამუშაოს მაძიებელს და რას თვლიან უმუშევრები, სინამდვილეში რატომ უთხრა უარი მათ დამსაქმებელმა.

უარის თქმის ოფიციალური მიზეზად სახელდება: იმაზე დიდი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, ვიდრე სამუშაოს მაძიებელს აქვს (54%), პროფესიული უნარების/კვალიფიკაციის შეუსაბამობა გამოცხადებულ ვაკანსიასთან (41.7%), კომპიუტერულ უნარ-ჩვევების არქონა/ნაკლებობა (20.2%), საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარისა (16.6%) და უცხო ენის ფლობის დაბალი დონე(13.5%).

დასაქმებაზე უარის თქმის რეალური მიზეზი კი რესპონდენტების აზრით არის: იმაზე დიდი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, ვიდრე მათ აქვთ (45%). ოჯახური მდგომარეობა(16.3%), პროფესიული უნარები, კვალიფიკაცია(18%), მოთხოვნილი ანაზღაურება (13.1%) და ნეპოტიზმი (12.4%).

ცხრილი9. სამუშაოზე უარის თქმის მიზეზები და თვითშეფასება

დამსაქმებლის მხრიდან ოფიციალური მიზეზი	უარის თქმის მიზეზი	%	სამუშაოს თვითაღქმა, თუ დასაქმდა	მაძიებლის რატომ ვერ დასაქმდა	%
იმზე დიდი სამუშაო გამოცდილების	იმზე დიდი სამუშაო გამოცდილების	54.0%	იმზე დიდი სამუშაო	იმზე დიდი სამუშაო	45.0%

მოთხოვნა, ვიდრე მე მქონდა		გამოცდილების მოთხოვნა, ვიდრე მე მქონდა	
პროფესიული უნარები/კვალიფიკაცია	41.7%	პროფესიული უნარები/კვალიფიკაცია	18%
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	20.2%	შესაბამისი ტრანსფერული უნარებისარქონა,სიმწირე	2.5%
საკუთარი თავისპრეზენტაციის უნარი	16.6%		
უცხო ენის ცოდნა	13.5%		
ეფექტური კომუნიკაციის უნარი	8.0%		
მართვის მოწმობა	3.1%		
CV-ს შედგენის უნარი	.6%		
მათემატიკური უნარები	1.2%		
		ჩემი ოჯახური მდგომარეობა	16.3%
		ჩემი განსხვავებული ხედვა	4.6%
		ნეპოტიზმი	12.4%
		ჩემს მიერ მოთხოვნილი ანაზღაურება	13.1%
		ჩემი სქესი	.4%
ასაკი	1.2%	ჩემი ასაკი	1.4%


როგორც ცხრილიდან ჩანს, რესპონდენტთა უმეტესობა, მხოლოდ სამუშაო გამოცდილების საკითხში ეთანხმება დამსაქმებლის პოზიციას და ნაწილობრივ პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის ნაწილში. სხვა შემთხვევაში თვლის, რომ მათ მიერ უარის თქმის მიზეზები არ არის რელევანტური.

უმუშევარი ახალგაზრდების მოლოდინები

უმუშევარ რესპონდენტთა 70.3% აღნიშნავს, რომ დასაქმებასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები აქვთ.


საინტერესოა, რომ თბილისში უფრო იმედინად არიან განწყობილნი დასაქმების საკითხის მიმართ, ვიდრე რეგიონებში. პასუხი - „ვარ იმედინად“ თბილისში უმუშევართა 78.3%-მა დააფიქსირა, ხოლო რეგიონებში 68.2%-მა.

დიაგრამა16. დასაქმების მოლოდინი




უმუშევარ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი 53.4% ფიქრობს, რომ საშუალოდ 1 წლის ვადაში დასაქმდება. 21.8% - 4-6 თვე, 14.6% - 1-3 თვე. გამოკითხულთა მხოლოდ 5.8% მიიჩნევს, რომ ვერასდროს დასაქმდებიან.

დიაგრამა17. დასაქმების მოლოდინი



თუკი ვერ დასაქმდებიან იმ ვადაში, რომელსაც ვარაუდობენ, უმუშევარი რესპონდენტების 57.6% შეიცვლის სამუშაოს ძებნის ქცევას, 23.2% გაიუმჯობესებს ტრანსფერულ უნარებს, 7.7% წავა შრომით მიგრაციაში.


დიაგრამა18. რა ზომებისთვის მიმართვას აპირებენ უმუშევარი ახალგაზრდები დასაქმების შესაძლებლობის გაზრდისთვის



ის გარემოება, რომ უმუშევართა 57.6% თანახმაა შეცვალოს ძებნის ინტენსივობა, ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ უმუშევარი ახალგაზრდები პასიურები არიან სამუშაოს ძებნაში.


აღსანიშნავია, რომ სტუდენტები მეტად გეგმავენ გაიუმჯობესონ ტრანსფერული უნარები, უმუშევარი კურსდამთავრებულები გეგმავენ გაზარდონ სამუშაოს ძებნის ინტენსივობა.

დიაგრამა 19. რა ზომებისთვის მიმართავს აპირებენ ახალგაზრდები დასაქმების შესაძლებლობის გაზრდისთვის. უმუშევარი სტუდენტებისა და სხვა უმუშევარი ახალგაზრდების შედარება



იმ უმუშევარმა რესპონდენტებმა, რომლებმაც გამოსავლად დასახელეს შრომით მიგრაციაში წასვლა, (სულ 23 რესპონდენტი), დასახელეს ის ქვეყნები, სადაც ისურვებდნენ მუშაობას. ყველაზე ხშირად დასახელდა გერმანია (21.7%, N=5), აშშ (13%, N=3), თურქეთი და რუსეთი (8.7%, N=2).

დიაგრამა 20. შრომითი მიგრაციის პოტენციური ქვეყანა




რესპონდენტებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა დაესახელებინათ, თუ რა ტიპის სამსახურის დაწყებას გეგმავენ დასახელებულ ქვეყანაში. 8 რესპონდენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, 5 გეგმავს ოჯახში ბავშვის მომვლელად, ხოლო 6 მომსახურების სფეროში მუშაობას (მიმტანი, მძღოლი, დამლაგებელი). თითოჯერ დასახელდა სოფლის მეურნეობა, ფეხსაცმლის კერვა, კაფელ-მეტლახის დაგება. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაასახელა, რომ გეგმავს იმუშაოს იმ პროფესიით, რაშიც აქვს მიღებული უმაღლესი განათლება (იურისტი).

არჩეულ ქვეყნებში დასაქმების შემთხვევაში სასურველ მინიმალურ ანაზღაურებად დასახელდა 500-დან 5000 ლარამდე, რაც საშუალოდ 1311 ლარს შეადგენს.

რესპონდენტებმა, რომლებიც განიხილავენ შრომით ემიგრაციაში წასვლას, შეაფასეს თუ რამდენად დაცულია საქართველოდან სამუშაოდ წასული ადამიანი მათ მიერ დასახელებულ ქვეყნებში ტრეფიკინგის საფრთხისგან. ხუთ ბალიან სკალაზე (1-არ არის დაცული, 5 - დაცულია) დაცულობა შეფასდა 3.4 ქულით, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია (უფრო დაცულია, ვიდრე დაუცველი).

შრომითი მიგრაციისთვის ქვეყნის შერჩევის მოტივაციის დასახელებისას, უმუშევარი ახალგაზრდები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ პასუხს "ჩემი ახლობელი ნათესავი მუშაობს ამ ქვეყანაში და მპირდება დახმარებას სამუშაოს მოძიებაში" (9 რესპონდენტი 23-დან).

დიაგრამა 21. შრომითი მიგრაციისთვის ქვეყნის შერჩევის მოტივაცია დაუსაქმებელ ახალგაზრდებში



დასაქმებული რესპონდენტები

დაქირავებით დასაქმება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპონდენტთა 25.9%-ია დასაქმებული. აქედან დაქირავებით დასაქმებულები (სულ 88 რესპონდენტი) შემდეგი საქმიანობებით არიან დაკავებულნი:

ცხრილი 10. ეკონომიკური საქმიანობის სახე - დაქირავებით დასაქმებულები

რა საქმიანობას ეწევიან ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე?			
დარგი	კოდი NACE კლასიფიკაციის მიხედვით ²⁴	კლასიფიკაციის	%
ინდივიდუალური მომსახურება		93	2.3
საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება		93.02	2.3
საქმიანობა დასვენების გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზების დარგში		92	2.2
აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობა		92.71	1.1


²⁴NACE კლასიფიკატორი, 2004 წელი

მუზეუმების საქმიანობა და ისტორიული ადგილებისა და შენობების დაცვა	9252	1.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	85	5.6
საექიმო პრაქტიკა	8512	4.5
საავადმყოფოების საქმიანობა	8511	1.1
განათლება	80	8
უმაღლესი განათლება	8030	2.3
ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლება	8022	1.1
ზოგადი საშუალო განათლება	8021	2.3
დაწყებითი განათლება	8010	2.3
სახელმწიფო მმართველობა	75	12.5
საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა	7524	1.1
თავდაცვა	7522	2.3
სოციალური პროგრამების მართვა	7512	2.3
ზოგადი ხასიათის სახელმწიფო მმართველობა	7511	6.8
მომხმარებელზე გაწეული მომსახურების სხვა სახეები	74	2.2
სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მომსახურების გაწევა მომხმარებლებისათვის	7487	1.1
გამოძიების ჩატარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა	7460	1.1
კვლევები და დამუშავებები	73	2.3
კვლევები და დამუშავებები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში	7310	2.3
კომპიუტერთან დაკავშირებული საქმიანობა	72	1.1
პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და კონსულტირება ამ სფეროში	7222	1.1
საფინანსო შუამავლობა	65	5.7
სხვა ფულადი შუამავლობა	6512	5.7
კავშირგაბმულობა	64	3.4
ელექტროკავშირი	6420	1.1
ეროვნული ფოსტის საქმიანობა	6411	2.3
დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	63	1.1
ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	6330	1.1
სახმელეთო ტრანსპორტი	60	1.1
მგზავრთა რეგულარული გადაყვანა	6021	1.1
სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება	55	6.8
რესტორნების მომსახურება	5530	2.3
სასტუმროები რესტორნებით	5511	4.5
საცალო ვაჭრობა ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა: საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	52	22.5
სხვა საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში	5248	2.3
საცალო ვაჭრობა ფეხსაცმლითა და ტყავის ნაწარმით	5243	1.1
საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით	5242	4.5
საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და პარფიუმერული საქონლით	5233	1.1
სხვა საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით	5227	3.4

სპეციალიზებულ მაღაზიებში		
საცალო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით	5226	1.1
საცალო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით	5225	4.5
საცალო ვაჭრობა ხორციითა და ხორცის პროდუქტებით	5222	1.1
საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, ძირითადად საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით	5211	3.4
საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით ავრომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	51	4.5
საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყის მასალით, სამშენებლო მასალითა და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობებით	5153	2.3
საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერული და კოსმეტიკური საქონლით	5145	1.1
საბითუმო ვაჭრობა შაქრით, შოკოლადითა და შაქროანი საკონდიტრო ნაწარმით	5136	1.1
ავრომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობა მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი	50	2.3
ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	5020	2.3
მშენებლობა	45	6.8
ელექტროსამონტაჟო სამუშაოები	4531	1.1
სამშენებლო სამუშაოები	4521	5.7
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლიდა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება	40	1.1
აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა	4022	1.1
ნარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება	26	1.1
მშენებლობაში გამოსაყენებელი ბეტონის ნაკეთობების წარმოება	2661	1.1
რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	25	2.3
პლასტმასის ტარის წარმოება	2522	2.3
ქიმიური წარმოება	24	1.1
ფარმაცევტული პრეპარატებისა და მასალების წარმოება	2442	1.1
საკვები პროდუქტების წარმოება სასმელების ჩათვლით	15	2.3
პურის წარმოება, არახანგრძლივი შენახვის ცომეულის, საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	1581	2.3
ქვის კარიერების დამუშავება	14	1.1
კირქვის, თაბაშირისა და ცარცის მოპოვება	1412	1.1

დაქირავებით დასაქმებული ახალგაზრდები მეტწილად 1-დან 2 წლამდე ან 2-დან 5 წლამდე პერიოდის განმავლობაში არიან ზემოთ აღნიშნული საქმიანობით დაკავებული.

დიაგრამა 22. დასაქმების ხანგრძლივობა




დაქირავებით დასაქმებული ახალგაზრდები კვირაში საშუალოდ 5.4 დღეს მუშაობენ, დღეში საშუალოდ 8.7 საათს.

იმ რესპონდენტებს შორის, ვინც მუშაობს დღეში 8 საათზე მეტს (სულ 30 ახალგაზრდა), 4 არის მუდმივად დასაქმებული საჯარო სექტორში, 24 - მუდმივად დასაქმებული კერძო სექტორში, ხოლო 2 რესპონდენტი - დასაქმებული სტუდენტი. აღნიშნულ შემთხვევებში რესპონდენტებისსამუშაო დღის ხანგრძლივობა უმეტესწილად შეადგენს 10 და 12 საათს²⁵.

დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტების 90.9% ყოველთვიურად იღებს ხელფასს, მხოლოდ 4.5% იღებს ხელფასს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და დღიურად.


დიაგრამა 23. ანაზღაურების პერიოდულობა



დაქირავებით დასაქმებულების უმეტესობის ანაზღაურება თვეში 201-დან 300 ლარამდეა და 18.2% შემთხვევაში 401-დან 500 ლარამდე. 500 ლარამდე ანაზღაურება ჯამში დასაქმებულ რესპონდენტთა 63.2%-ს აქვს. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურებას შორის: დაბალი ანაზღაურება (101-200 და 201-300) მეტად სახელდება ქალების მიერ, ხოლო ანაზღაურება 400 ლარს ზემოთ - მამაკაცების მიერ (P_value<0.05).

²⁵ ოფიციალურად სთხოვენ თუ არა დამსაქმებლები 8 საათზე მეტ სამუშაო დროის დათმობას სამსახურისთვის იხ. თვისებრივი კვლევის შედეგებში

დიაგრამა 24. ანაზღაურება თვეში დაქირავებული რესპონდენტები




დაქირავებით დასაქმებულ რესპონდენტთა 80.7%-ს აქვს დამსაქმებელთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, 19.3%-ს - არა.

რესპონდენტების 94.3%-ს მუდმივი სამსახური აქვს, 3.4% განსაზღვრული ვადითაა დასაქმებული, 2.3% კი სეზონურად.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს, თუ რამდენად კმაყოფილები არიან სამსახურით მთლიანობაში. 5 ბალიან სკალაზე (1 - ძალიან უკმაყოფილო, 5 - ძალიან კმაყოფილი), სამსახურით კმაყოფილება შეფასდა 3.5 ქულით, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია.

სამუშაო ადგილის ცალ-ცალკე კომპონენტების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები ზოგადად, ყველა კომპონენტს საშუალოზე მაღალი ქულით აფასებენ, თუმცა შედარებით მაღალი შეფასება აქვს სამუშაო გარემოს - 4.17 (ურთიერთობები თანამშრომლებთან და დაქირავებულთან), ხოლო ყველაზე დაბალი ანაზღაურებას (3.32) და სოციალურ დაცვასა და სხვა დანამატებს (3.16). ყველა კომპონენტის გაერთიანებით, სამუშაო ადგილის შეფასებამ შეადგინა 3.7. საინტერესოა, რომ თბილისისთვის აღნიშნული შედეგი შედარებით დაბალი, 3.3 ქულაა, ხოლო რეგიონებისთვის - 3.8 ქულა, რაც გულისხმობს, რომ რეგიონებში სამუშაო ადგილის სხვადასხვა კომპონენტებით კმაყოფილება თბილისთან შედარებით უფრო მაღალია. (იხ ცხრილი #11)

დიაგრამა 25. სამუშაო ადგილით კმაყოფილება-დაქირავებით დასაქმებულები




ცხრილი 11. სამუშაო ადგილით კმაყოფილება-დაქირავებით დასაქმებულები თბილისისა და რეგიონების შედარება

	თბილისი	რეგიონები
	შეფასების ქულა	
სამუშაო პირობები (შენობა, ოთახი, ტექნიკა და ა.შ.)	3.2	4.0
სამუშაო გარემო (ურთიერთობები თანამშრომლებთან და დაქირავებულთან)	3.8	4.3
მანძილი სამსახურამდე	3.2	3.9
სამუშაო დროის ხანგრძლივობა/გრაფიკი	3.4	3.9
სამუშაო დღეები	3.6	3.9
ანაზღაურება	3.0	3.4
სოციალური გარანტიები	2.6	3.3
სამუშაოს ტიპი (თუ რა სახის სამუშაოს ასრულებთ)	3.4	3.9
დაკავებული პოზიცია (რა თანამდებობა გიკავიათ)	3.3	3.9


რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე კონკურსის გარეშე დასაქმდა (65.9%).

დიაგრამა26. დასაქმების გზა -დაქირავებით დასაქმებულები



მათ შორის, ვინც კონკურსის გარეშე დასაქმდა, დასაქმების გზად პასუხების 53.4% შემთხვევაში დაასახელა ნაცნობის/ნათესავის რეკომენდაცია, ხოლო მესამედ შემთხვევაში პირადი ნაცნობობა დამსაქმებელთან.

დიაგრამა27. კონკურსის გარეშე დასაქმების გზები- დაქირავებით დასაქმებულები



მათ შორის, ვინც კონკურსის გარეშე დასაქმდა, თბილისში უფრო ხშირად ასახელებენ მხოლოდ ნაცნობის/ნათესავის რეკომენდაციას (66.7%), ვიდრე რეგიონებში (50%)


ცხრილი12. კონკურსის გარეშე დასაქმების გზები - დაქირავებით დასაქმებულები, თბილისი-რეგიონი

დასაქმების გზა	თბილისი	რეგიონები
წინა დამსაქმებლის ხელმძღვანელის რეკომენდაციით	0%	4.3%
თანამშრომლის კოლეგის რეკომენდაციით	0%	6.5%
ნაცნობის ნათესავის რეკომენდაციით	66.7%	50%
ჩემი პირადი ნაცნობობით დამსაქმებელთან	16.7%	32.6%
დამსაქმებელი ეძებდა თანამშრომელს და მე შევთავაზე საკუთარი კანდიდატურა	16.7%	19.6%

იმ რესპონდენტებმა, ვინც კონკურსის ან სტაჟირების შემდეგ დასაქმდნენ, 38.9%-მა ინფორმაციის წყაროდ დასაქმების ვებ. გვერდი (Jobs.ge, Hr.gov.ge, Hr.ge და ა.შ) დაასახელეს. ასევე ხშირად დასახელდა ინფორმაციის წყაროდ პირადი ნაცნობები: ნათესავები და ოჯახის წევრები (პასუხების 22.2%) და მეგობრები/კურსელები (19.4%).


მონაცემების ანალიზისას რეგიონალურ ჭრილში იკვეთება, რომ თბილისში მეტად სახელდება ინფორმაციის წყაროდ დასაქმების ვებ-გვერდები (71.4%), ვიდრე რეგიონებში (31%), ხოლო რეგიონებში მეგობრები/კურსელები (თბილისი 0%, რეგიონები 24.1%), და ნათესავები/ოჯახის წევრები (თბილისი 0%, რეგიონები 27.6%).

დიაგრამა28. კონკურსის შესახებ ინფორმაციის წყარო - რესპონდენტები, ვინც კონკურსის/სტაჟირების გავლით მიიღო სამსახური




დაქირავებით დასაქმებული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (52.3%) არ გეგმავს უახლოეს მომავალში სამსახურის შეცვლას. 35.2%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 12.5% გეგმავს სამსახურის შეცვლას. სამუშაოს შეცვლის ძირითად მიზეზად ანაზღაურება სახელდება (80%).

დიაგრამა29. სამსახურის შეცვლის განზრახვა - დაქირავებით დასაქმებულები



იმ რესპონდენტთა შორის, ვინც დაქირავებითაა დასაქმებული და უახლოეს ერთ წელიწადში არ გეგმავს სამსახურის შეცვლას, უმეტესობა კმაყოფილია სამსახურით (39.5%), 36.8% აცხადებს რომარ აქვს სხვა არჩევანი, ხოლო 28.9% - შეჩვეულია სამუშაო ადგილს.

დიაგრამა30. სამუშაოზე დარჩენის მიზეზები



გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია, ვინც დასაქმებულია კონკურსით ან სტაჟირების გავლის შემდეგ, სამსახურს არ შეიცვლის, რადგან კმაყოფილია (68.8%) სამსახურით, როცა კონკურსის გარეშე დასაქმებულთა მხოლოდ 25% არ შეიცვლის სამსახურს სამუშაოთი კმაყოფილების გამო. კონკურსით ან სტაჟირების შედეგად დასაქმებულების მხოლოდ 20% ამბობს, რომ არ შეიცვლის სამსახურს რადგან „არ აქვს არჩევანი“, ხოლო კონკურსის გარეშე დასაქმებულებიდან 43.1%.

თვითდასაქმება არასასოფლო სამეურნეო სფეროში

გამოკითხულთაგან არასასოფლო სამეურნეო სფეროში მხოლოდ 14 ახალგაზრდაა თვითდასაქმებული. დარგების მიხედვით მათი საქმიანობის განაწილება მოცემულია ცხრილში N13


ცხრილი13. საქმიანობის სფერო -არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულები

რა საქმიანობას ეწევით ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე?		
დარგი	კოდიNACE კლასიფიკაციის მიხედვით	რაოდენობა
საკვები პროდუქტების წარმოება სასმელების ჩათვლით	15	2
პურის წარმოება, არახანგრძლივი შენახვის ცომეულის, საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	1581	2
მშენებლობა	45	1
სამშენებლო სამუშაოები	4521	1
ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობა მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი	50	1

საცალო ვაჭრობა ძრავას სათბობით	5050	1
საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით ავრომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	51	2
საბითუმო ვაჭრობა ხილითა დაბოსტნეულით	5153	1
სხვა საბითუმო ვაჭრობა	5190	1
საცალო ვაჭრობა ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა: საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	52	3
სხვა საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში	5227	1
საცალო ვაჭრობა ავეჯითა დასაოჯახო საქონლით	5244	1
საცალო ვაჭრობა სავაჭრო ფარდულებში, ბაზრებსა და ბაზრობებზე	5262	1
სახმელეთო ტრანსპორტი	60	1
ტაქსით მომსახურება	6022	1
დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	63	1
ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	6330	1
ოპერაციები უძრავი ქონებით	70	1
საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა	7012	1
საქმიანობა დასვენების გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზების დარგში	92	1
საქმიანობა ხელოვნების დარგში	9231	1
ინდივიდუალური მომსახურება	93	2
საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება	9302	2


რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (46.7%) აღნიშნული საქმიანობით დაკავებულია 2-დან 5 წლამდე პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა 31. დასაქმების ხანგრძლივობა - არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულები




არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებული რესპონდენტები საქმიანობის წარმოებისთვის/დაწყებისთვის საჭირო ფულის წყაროდ ყველაზე ხშირად ასახელებენ მშობლებს (პასუხთა 36.4%), საკუთარდანაზოგს (27.3%). რესპონდენტების 27.3% კი აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობის დაწყებისთვის ფული არ იყო საჭირო.

დიაგრამა 32. თვითდასაქმებისთვის საჭირო თანხა - არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულები



რესპონდენტთა 33.3%-ის შემოსავალს თვეში საშუალოდ 501-დან 700 ლარამდე შეადგენს, ხოლო 20%-ისთვის ეს თანხა 1001-1500 ლარია. (რესპონდენტთა რაოდენობა 15)

დიაგრამა 33. შემოსავალი თვეში - არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულები




არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (11 რესპონდენტი) აღნიშნავს, რომ საკუთარი საქმე დაიწყეს მეგობრებისა და მეზობლების გამოცდილების გაზიარებით. 4 მათგანი მიჰყვება ოჯახის ტრადიციას, ხოლო 2-ისთვის საქმიანობა მათი პროფესიაა.

მთლიანობაში, თვითდასაქმებით კმაყოფილებას რესპონდენტები 5 ბალიან სკალაზე (1-ძალიან უკმაყოფილო, 5-ძალიან კმაყოფილი) აფასებენ 3.7 ქულით, რაც საშუალოზე მაღალ კმაყოფილებას აღწერს.

რესპონდენტთა 80%-ს რეგისტრირებული აქვს საკუთარი საწარმო/ბიზნესი.

არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ რესპონდენტთა 53.3% აღნიშნავს, რომ დაანებებდნენ თავს საკუთარ საქმეს იმ შემთხვევაში, თუ უფრო მომგებიან საქმეს წამოიწყებენ, 46.7% კი აღნიშნავს - „არც ერთ შემთხვევაში, ეს ჩემი საქმეა“.

დიაგრამა 34. საკუთარ საქმეზე უარის თქმის პირობები-არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულები




სასოფლო-სამეურნეო სფეროში თვითდასაქმებულები წინამდებარე კვლევაში არ აღმოჩნდნენ, რაც გამოწვეულია შერჩევის დიზაინის თავისებურებით²⁶.

განათლება და პროფესიული განათლების შესაძლებლობები

გამოკითხული ახალგაზრდების 31.9%-ს აქვს საშუალო განათლება. ჯამში ბაკალავრიატის სტუდენტი და ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, შეადგენს რესპონდენტების 47.8%-ს.


დიაგრამა 35. რესპონდენტთა აკადემიური ხარისხი



რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი სასწავლებელი აკრედიტებულია სახელმწიფოს მიერ.


²⁶ შერჩევაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები საუნივერსიტეტო ქალაქებიდან

დიაგრამა 36. რესპონდენტთა სასწავლებლების სტატუსი




გამოკითხული ახალგაზრდების 37% აღნიშნავს, რომ სწავლის საფასური სახელმწიფოსგან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით დაფარეს, 63%-მა კი თავად, ან ოჯახის დახმარებით.

დიაგრამა 37. სასწავლებლის გადასახადის დაფარვის გზა



რესპონდენტთა 79.2% განათლებას იღებს/მიიღო იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობს. დედაქალაქში განათლება მიიღო გამოკითხულთა 15.2%-მა, ხოლო სხვა რეგიონულ ქალაქში მხოლოდ 3.6%-მა.

დიაგრამა 38. სასწავლებლების გეოგრაფიული არეალი



გამოკითხული ახალგაზრდების 31.3%-ს არ აქვს პროფესია. (საიდანაც 79% უმუშევარი, ხოლო 21% დასაქმებულია). რესპონდენტებს შორის ჭარბობენ ეკონომისტები (12.8%), იურისტები (8.5%),

ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები (5.3%). მთლიანობაში დასახელდა 49 სხვადასხვა პროფესია.

ცხრილი 14. რესპონდენტთა პროფესიები - განაწილება მათ შორის ვისაც აქვს პროფესია

თქვენი ძირითადი პროფესია/ხელობა, რომელიც მიიღეთ ან იღებთ		
პროფესია	პროფესიის კოდი (ISCO 88)	%
გენერალური მენეჯერები	13	0.4
გენერალური მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1319	0.4
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	21	10.5
ქიმიკოსები	2113	0.4
გეოლოგები და გეოფიზიკოსები	2114	0.4
კომპიუტერული პროგრამისტები	2132	1.5
კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	2139	2.6
არქიტექტორები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტ-პროფესიონალები	2141	2.8
სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები	2142	0.4
ინჟინერ-ელექტრიკოსები	2143	0.6
ინჟინერ-მექანიკოსები	2145	1.8
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები	22	10.5
ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები	2211	1.1
აგრონომები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები	2213	0.4
ექიმები	2221	2.2
სტომატოლოგები	2222	0.6
ფარმაცევტები	2224	6.2
სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	23	1.9
საშუალო განათლების პედაგოგები	2320	0.4
დაწყებითი განათლების პედაგოგები	2331	1.5
სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	24	54.9
ბუღალტრები	2411	5.1
იურისტები	2421	12.4
ეკონომისტები	2441	18.2
სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები	2442	1.1
ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები	2443	2.6
ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები	2444	7.7
ფსიქოლოგები	2445	2.2
მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები	2451	3.3
მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები	2452	1.5
ქორეოგრაფები და მოცეკვავეები	2454	0.4

ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროების მსახიობები და რეჟისორები	2455	0.4
ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები	31	3.2
სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები	3112	0.6
ელექტროტექნიკოსები	3113	0.4
ელექტროტენიკისა და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები	3114	0.4
მექანიკური მოწყობილობების ტექნიკოსები	3115	0.4
ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები	3116	0.4
კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები	3122	0.6
კაპიტნის ვახტის თანამშრომლები და ლოცმანები	3142	0.4
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი	32	9.6
სტომატოლოგის ასისტენტები	3225	0.6
ფარმაცევტის ასისტენტები	3228	4
თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3229	0.6
საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი	3231	4.4
განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი	33	0.4
დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი	3310	0.4
სხვა დამხმარე პერსონალი	34	7
საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3419	2.8
იურიდიული და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი	3432	1.5
ბულალტერ-მოანგარიშეები	3433	1.5
საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები	3441	0.4
დეკორატორები და კომერციული დიზაინერები	3471	0.4
ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები	3473	0.4
ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები	51	0.8
მზარეულები	5122	0.4
ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	5141	0.4
მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები	71	0.4
ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები	7123	0.4
მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	74	0.4
მცხოვლები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	7412	0.4


ცხრილში მოცემულია დასაქმებული და უმუშევარი ახალგაზრდების პროფესიების პირველი ათეულის განაწილება.

ცხრილი 15. დასაქმებული და უმუშევარი ახალგაზრდების პროფესიების პირველი ათეული-პასუხების განაწილება რესპონდენტებიდან

დასაქმებულების პირველი ათეული პროფესიების	%	უმუშევარი ახალგაზრდების პირველი ათეული პროფესიების	%
1. ეკონომისტი	15.5	1. ეკონომისტები	11.8
2. ბუღალტრები	6.8	2. იურისტები	9.1
3. იურისტები	6.8	3. ფარმაცევტები	5.4
4. ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები	5.8	4. ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები	5.1
5. მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები	3.9	5. საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი	3.4
6. საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი	3.9	6. ფარმაცევტის ასისტენტები	2.7
7. ექიმები	2.9	7. არქიტექტორები, ქალაქისა და ატრანსპორტო კვანძების და გეგმარების სპეციალისტ-პროფესიონალები	2.4
8. ფარმაცევტის ასისტენტები	2.9	8. ბუღალტრები	2.4
9. კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები	1.9	9. ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები	2.4
10. სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები	1.9	10. კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	1.7


გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 11.3% ფლობს დამატებით სხვა პროფესიას ან ხელობას. 30 რესპონდენტის მიერ დასახელდა 17 სხვადასხვა პროფესია. მათ შორის დასაქმებული რესპონდენტები ჭარბობენ. (დასაქმებულები -19.5%, უმუშევრები 8.1%)

დიაგრამა 39. რა პროფესიებს ფლობენ ძირითადი პროფესიის გარდა




საინტერესოა ის მოტივაცია, რის გამოც რესპონდენტებმა აირჩიეს ძირითადი პროფესია/ხელობა. ახალგაზრდების მიერ გაცემულ პასუხების ნახევარზე მეტის მიხედვით არის დასაქმების მაღალი შესაძლებლობა (პასუხების 51.5%). შემდეგია შინაგანი მოწოდება (38,5%). აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო მეტად ასახელებენ პროფესიის არჩევის მოტივაციად შინაგან მოწოდებას, ვიდრე მამაკაცები (პასუხების 42.1% - ქალები, 31.9% - მამაკაცები), მამაკაცები უფრო ხშირად ასახელებენ პასუხს - „მისაღებ გამოცდაზე მიღებული ქულების მიხედვით მოვხვდი ამ სპეციალობაზე“ (პასუხების 19.8% - მამაკაცები, 9.4% - ქალები). ასევე მამაკაცების მიერ მეტად დახელდება დასაქმების მაღალი შესაძლებლობა (პასუხების 54.9% - მამაკაცები, 49.7% - ქალები).

დიაგრამა 40. პროფესიის არჩევის მოტივაცია




რესპონდენტთა 60% ფიქრობს, რომ სასწავლებლად იგივე სასწავლებელს აირჩევდა, სადაც მიიღეს/იღებენ უმაღლეს განათლებას.

დიაგრამა 41. დამოკიდებულება სასწავლებლის არჩევანის მიმართ



დასაქმებული რესპონდენტების 40.6% აღნიშნავს, რომ სწავლის დასრულებიდან 6 თვემდე პერიოდში დასაქმდა.

დიაგრამა 42. დრო სასწავლებლის დასრულებიდან დასაქმებამდე - დასაქმებული რესპონდენტები



რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54.6%) აღნიშნავს, რომ ხელახალი არჩევანის შემთხვევაში იგივე პროფესიას აირჩევდნენ. ხოლო ალტერნატიულ პროფესიებად ყველაზე ხშირად დასახელდა იურისტი (6%) და ეკონომისტი (5.7%).²⁷

კვლევის ფარგლებში რესპონდენტები აფასებდნენ შრომის ბაზარზე საკუთარ კონკურენტუნარიანობას ცოდნის დონის მიხედვით. საერთო შეფასებით კონკურენტუნარიანობა 5 ბალიან სკალაზე (1-ძალიან დაბალი, 5-ძალიან მაღალი) შეფასდა **2.9 ქულით**, რაც საშუალოზე დაბალი შეფასებაა.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულები საშუალოდ უფრო პოზიტიურად აფასებენ საკუთარ კონკურენტუნარიანობას უმუშევრებთან შედარებით. განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P_value < 0.05$).

ასევე საინტერესოა, რომ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($P_value < 0.05$) განსხვავება ჯგუფებს შორის აკადემიური ხარისხის მიხედვით. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები საკუთარ კონკურენტუნარიანობას უფრო დაბალ შეფასებას აძლევენ, ვიდრე სახელობო სასწავლებლის/კოლეჯის კურსდამთავრებულები და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები. ასევე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებმა პოზიტიურად შეაფასეს კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე ცოდნის დონის მიხედვით სახელობო სასწავლებლის/კოლეჯის კურსდამთავრებულებთან შედარებით.

ახალგაზრდები 5 ბალიან სკალაზე (5-მაღალი, 1-დაბალი) აფასებდნენ საკუთარ ქალაქში პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობას. საშუალოდ ყველაზე მაღალი შეფასება დაფიქსირდა თბილისის (3.6), თელავისა (3.5) და ქუთაისის (3.3) შემთხვევაში, ხოლო ყველაზე დაბალი - გორში (2.6). საინტერესოა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დედაქალაქში პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობასა და თელავსა და ქუთაისს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. ყველა სხვა შემთხვევაში თბილისში პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად მაღალია ($P_value < 0.05$) სხვა ქალაქებთან შედარებით. ასევე გორის შემთხვევაში გაკეთებული შეფასება მნიშვნელოვნად დაბალია ნებისმიერ სხვა ქალაქთან შედარებით ($P_value < 0.05$).

რესპონდენტები აფასებდნენ პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობას ქვეყანაში. ეს მაჩვენებელი პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობა 5 ბალიან სკალაზე შეფასდა საშუალოზე მაღალი 3.7 ქულით.

²⁷მათ შორის ვინც არ არის იურისტი და ეკონომისტი

ცხრილი16. პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობა ქალაქების მიხედვით

გთხოვთ შეაფასოთ ქვენს ქალაქში პროფესიის/ხელობის დაუფლების შესაძლებლობა	
ქალაქი	საშუალო
თბილისი	3.6
თელავი	3.5
ქუთაისი	3.3
ზუგდიდი	3.3
ახალციხე	3.3
ბათუმი	3.2
გორი	2.6

რესპონდენტებმა 5 ბალიან სკალაზე (5-სრულიად შეესაბამება, 1-სრულიად არ შეესაბამება) შეაფასეს რამდენად შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს სწავლების ის ხარისხი, რომელსაც სთავაზობს მათი სასწავლებელი. შედარებით დაბალი ქულით (3) შეფასდა პროფესიული სასწავლებელი/კოლეჯი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი 3.3 ქულით.

ცხრილი17. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სასწავლებელში მიღებული ცოდნის შესაბამისობა

გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს სწავლების ის ხარისხი, რომელიც მოგაწოდებდათ/გაწვდით თქვენი სასწავლებელი?	
სასწავლებელი	საშუალო
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	3.3
პროფესიული სასწავლებელი/კოლეჯი	3.0
უმაღლესი სასწავლებელი	3.3

ახალგაზრდები საშუალოზე დაბალი ქულით აფასებენ სწავლების ხარისხის შესაბამისობას ევროპის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ცხრილი18. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სასწავლებელში მიღებული ცოდნის შესაბამისობა - ქართული და ევროპული შრომის ბაზის მიმართ

სასწავლებელი	რამდენად შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს სწავლების ის ხარისხი, რომელიც მოგაწოდებდათ/გაწვდით თქვენი სასწავლებელი ? (საშუალო ქულა)	რამდენად შეესაბამება სწავლების ის ხარისხი, რომელიც მოგაწოდებდათ/გაწვდით თქვენი სასწავლებელი მოთხოვნებს შრომის ბაზარზე ევროპაში? (საშუალო ქულა)
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	3.3	2.5
პროფესიული სასწავლებელი/კოლეჯი	3.0	2.4
უმაღლესი სასწავლებელი	3.3	2.5

რესპონდენტებმა დაასახელეს ის პროფესიები, რომელიც ყველაზე მოთხოვნადად მიიჩნევა საქართველოს შრომის ბაზარზე.

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომლებსაც სჭირდებათ უმაღლესი განათლება ახალგაზდების უმეტესობის პასუხების მიხედვით შემდეგია: ეკონომისტები, იურისტები და ექიმები.

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული განათლება - ბუღალტერ-მონაგარიშეები, ფარმაცევტის ასისტენტები და კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები.

ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური განათლება დასახელდა ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები; მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები; ოფიცინტები, ბარმენები და მეზუფეტები.²⁸

ცხრილი 19. ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომლის დაუფლებისთვის საჭიროა უმაღლესი განათლება

გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი პროფესია მიგაჩნიათ ყველაზე მოთხოვნადად საქართველოს შრომის ბაზარზე, რომელიც მოითხოვს უმაღლეს განათლებას?		
პროფესია	პროფესიის კოდი (ISCO 88)	%
მიჭირს პასუხის გაცემა		13.3
შეიარაღებული ძალები	01	
შეიარაღებული ძალები	011	0.3
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	21	7.1
ფიზიკოსები და ასტრონომები	2111	0.5
კომპიუტერული პროგრამისტები	2132	3.5
კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა და ჯგუფებებში ჩაურთველი	2139	0.8
არქიტექტორები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტ-პროფესიონალები	2141	2.0
ინჟინერ-ელექტრიკოსები	2143	0.3
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები	22	18.9
ექიმები	2221	13.8
სტომატოლოგები	2222	2.3
ფარმაცევტები	2224	2.8
სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	23	3.5
საშუალო განათლების პედაგოგები	2320	3.0
დაწყებითი განათლების პედაგოგები	2331	0.5
ხვასპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	24	57
ბუღალტრები	2411	4.8
იურისტები	2421	21.1
ეკონომისტები	2441	23.9
სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები	2442	0.3

²⁸ კლასიფიკატორი ISCO 88

ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები	2444	5.3
ფსიქოლოგები	2445	1.0
მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები	2451	0.8

საინტერესოა, რომ იმ პროფესიების დასახელება უფრო გაუჭირდათ ახალგაზრდებს, რომელსაც პროფესიული განათლება სჭირდება (გამოკითხულთა 43,3%-მა ვერ დაასახელა ეს პროფესიები), ვიდრე უმაღლესი განათლების შემდეგ მიღებული პროფესიების (მხოლოდ 13,3%-ს გაუჭირდა დასახელება).

ცხრილი 20. ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები/ხელობა, რომლის დაუფლებისთვის საჭიროა პროფესიული განათლება

გთხოვთ, გვიპასუხოთ, რომელი პროფესია მიგაჩნიათ ყველაზე მოთხოვნადად საქართველოს შრომის ბაზარზე, რომელიც მოითხოვს პროფესიულ განათლებას?	პროფესიის კოდი (ISCO 88)	%
	----	43.3
მიჭირ სპასუხი სგაცემა		
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	21	0.8
კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	2139	0.5
ინჟინერ-მექანიკოსები	2145	0.3
სიცოცხლისშემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები	22	1.3
ფარმაცევტები	2224	1.3
სხვასპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	24	0.6
ბუღალტრები	2411	0.3
ეკონომისტები	2441	0.3
ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები	31	14.7
სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები	3112	3.3
ელექტროტექნიკოსები	3113	0.8
მექნიკური მოწყობილობების ტექნიკოსები	3115	2.5
ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები	3116	1.3
ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3119	0.5
კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები	3122	6.0
კაპიტნის ვახტის თანამშრომლები და ლოჯისტიკის მენეჯერები	3142	0.3
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი	32	14.3
დიეტოლოგები და რაციონალური კვების სპეციალისტები	3223	1.0
სტომატოლოგის ასისტენტები	3225	0.8
ფარმაცევტის ასისტენტები	3228	6.5
თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	3229	0.5
საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი	3231	5.5
განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი	33	2.1
დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი	3310	0.3
სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი	3320	1.8
სხვა დამხმარე პერსონალი	34	12.4
საფინანსო დაგაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა	3419	0.5

დაჯგუფებებში ჩაურთველი		
კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები, ექვედიტორები	3422	0.5
მდივან-ადმინისტრატორები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი	3431	0.3
ბუღალტერ-მოანგარიშეები	3433	10.8
დეკორატორები და კომერციული ზაინერები	3471	0.3
ოფისის მოსამსახურეები	41	0.3
საწყობში აღრიცხვით დაკავებული მოსამსახურეები	4131	0.3
ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები	51	6.9
გიდები	5113	0.3
მზარეულები	5122	1.0
ოფიციატები, ბარმენები და მეზუფეტეები	5123	0.3
ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	5141	4.8
ინდივიდუალური კერვით და ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შეკეთებით დაკავებული მუშაკები	5146	0.5
მოდელეები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები	52	1.8
მალაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები	5220	1.8
მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები	71	2.3
ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები	7136	0.5
მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები	7141	0.5
კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა	72	1.3
ავტომობილის მექანიკოსები და ამწყობები	7231	1.3
მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები	83	0.3
მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	8322	0.3

ცხრილი 21. ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომლის დაუფლებისთვის არ არის საჭირო სპეციალური განათლება

გთხოვთ, გვიპასუხოთ, რომელი პროფესია მიგაჩნიათ ყველაზე მოთხოვნადად საქართველოს შრომის ბაზარზე, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური განათლება?	პროფესიის კოდი (ISCO 88)	%
		19.0
მიჭირს პასუხის გაცემა		
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	21	0.3
კომპიუტერული პროგრამისტები	2132	0.3
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები	22	0.3
ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	2229	0.3
სხვასპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	24	0.3
მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები	2452	0.3
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი	32	0.3
უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები	3252	0.3
სხვა დამხმარე პერსონალი	34	0.3
ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები	3473	0.3
ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები	51	35.6
დამხმარე პერსონალი ოჯახებში, სასტუმროებში და ეკონომები	5121	0.3


მზარეულები	5122	3.3
ოფიციანტები, ბარმენები და მებუფეტეები	5123	10.6
ბავშვების მომვლელი	5131	5.8
ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	5141	13.0
ინდივიდუალური კერვით და ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შეკეთებით დაკავებული მუშაკები	5146	2.3
დაცვის სამსახურის მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	5169	0.3
მოდელი, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები	52	14.3
მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები	5210	3.0
მალაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები	5220	11.3
მებაღეები და ნაყოფსანერგების სხვა მუშაკები	6113	0.3
მოპოვებასა და მშენებლობაზე და საქმეზული მუშები	71	8.4
ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი დამონათესავე პროფესიების მუშაკები	7123	0.5
მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	7129	0.3
იატაკისა და ფილების დამგებები	7132	0.8
ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები	7136	1.5
შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები	7137	0.8
მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები	7141	4.5
ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	72	6.6
შემდუღებლები და აირით მჭრელები	7212	0.3
ავტომობილის მექანიკოსები და ამწყობები	7231	6.3
მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	74	4.2
მცხოვრებლები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	7412	3.6
მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	7422	0.3
ფეხსაცმლისა და მსგავსი ნაწარმის მწარმოებელი მუშები	7442	0.3
სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები	82	2.8
პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	8232	0.3
მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	8322	2.5
ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები	91	3.6
შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები	9131	0.8
მოსამსახურეები და დამლაგებლები ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში	9132	2.8
სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროს არაკვალიფიციური მუშები	92	2.0
სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები	9211	2.0
მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის არაკვალიფიციური მუშები	93	2.5
მტვირთავები	9333	2.5

ტრენინგები და მოკლევადიანი საკვალიფიკაციო კურსები

რესპონდენტების მიერ გავლილი პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსები, გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში გავლილი კურსებისა (უნივერსიტეტი, კოლეჯი, სახელობო სასწავლებელი და ა.შ), დასახელდა 109-ჯერ (პასუხების 27.8%).


გავლილ კურსებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხელობის/პროფესიის დაუფლების უფასო კურსები.

დიაგრამა 43. პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსები




რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ უმეტესწილად ახალგაზრდებმა ზემოთ აღნიშნული კურსები კონკრეტული სამსახურის დაწყების შესაძლებლობის გამო გაიარეს (პასუხების 50%).

დიაგრამა 44. პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსების გავლის მოტივაცია



რესპონდენტებს მეტწილად ერთი (66.3%) ან ორი (24.1%) პროფესიული განვითარების კურსი აქვთ გავლილი.

დიაგრამა45. პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსების რაოდენობა



გავლილ კურსებს შორის ყველაზე ხშირად რესპონდენტების მიერ სახელდება ბუღალტერიის კურსები (14.5%), ასევე სტილისტის კურსები (9.6%), სერვისის პლიუსი/ეფექტური მომსახურება (6%) და IT/კომპიუტერული ტექნოლოგიები (6%).


ცხრილი22. პროფესიული განათლების მოკლევადიანი კურსების შინაარსი

კურსის შინაარსი/დასახელება	%
ბუღალტერიის კურსები	14.5
სტილის ტისკურსები	9.6
სერვის + ეფექტური მომსახურება	6.0
IT/კომპიუტერული ტექნოლოგიები	6.0
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	4.8
უცხოენა	3.6
ფსიქოლოგია	3.6
მარკეტინგი	2.4
სამოქალაქო განათლება	2.4
ეფექტური კომუნიკაცია	2.4
საბანკო საქმე	2.4
ბიზნესის მართვა/განვითარება	2.4
მასაჟის კურსები	2.4
სამართალი	2.4
ჟურნალისტიკა	2.4
კოსმეტოლოგია	2.4
ზოგადი უნარები	1.2
სოციალური მედია	1.2
ადვოკატორება	1.2
ტრენინგთა ტრენინგი	1.2
გენდერი	1.2
სადაზღვევო საქმე	1.2

სასტუმრო საქმის მართვა	1.2
ბარმენის კურსები	1.2
კულინარია	1.2
ბინების პროექტირება	1.2
არავერბალური კომუნიკაცია	1.2
საკონდიტრო საქმე	1.2
კურსები საბაჟო დეკლარაციების შედგენაში	1.2
საკვები პროდუქტების შენახვა	1.2
PR	1.2
პედაგოგთა მოსამზადებელი კურსები	1.2
კერვის კურსები	1.2
რენტგენოლოგია	1.2
ცხოვის კურსები	1.2
არ მახსოვს დასახელება/შინაარსი	7.2

კურსების უმეტესობა, რომელშიც მიუღიათ მონაწილეობა რესპონდენტებს, სახელმწიფოს მიერაა ორგანიზებული. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (29,6%) კერძო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ კურსებს დასწრებია, მეხუთედი კი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულს. თანაბრად სახელდება კერძო პირისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მოკლევადიანი კურსები.

დიაგრამა 46. მოკლევადიანი კურსების ორგანიზატორები




ყველაზე მეტად, კურსები ახალგაზრდებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დაეხმარა (დიახ - 69.6%, არა - 30.4%). ნაკლებად სახელდება დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაზე კურსების პოზიტიური ზეგავლენა.

თბილისში მეტად აღნიშნავენ, რომ მოკლევადიანი პროფესიული განათლების კურსები დაეხმარა მათ დასაქმებაში, ვიდრე რეგიონებში (დიახ - თბილისი - 37.5%, რეგიონები 17.6%). თუმცა ყველა სხვა ბენეფიტი: კარიერული წინსვლა (დიახ - (თბილისი - 14.3%, რეგიონები 33.3%), სამუშაოს უკეთ შესრულება (დიახ - თბილისი - 33.3%, რეგიონები 45.3%), კონკურენტუნარიანობის ამაღლება (დიახ - თბილისი - 28.6%, რეგიონები 74.2%)) მეტად სახელდება რეგიონებში.

ასევე, დასაქმებული რესპონდენტები მეტად აღნიშნავენ, რომ კურსები დაეხმარა მათ სამსახურის დაწყებაში (დიახ - დასაქმებულები 34.3%, უმუშევრები - 11.7%), კარიერულ წინსვლაში (დიახ - დასაქმებულები 51.9%, უმუშევრები - 18.6%), სამუშაოს უკეთ შესრულებაში (დიახ - დასაქმებულები

76.9%, უმუშევრები -25%), ხოლო პასუხს „დამეხმარა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში“ მეტად ეთანხმებოდნენ უმუშევარი რესპონდენტები (დიახ - დასაქმებულები 63%, უმუშევრები -73,8%)


დიაგრამა47. მოკლევადიანი კურსების სარგებელი



იმ რესპონდენტთაგან, რომელთაც გავლილი აქვთ მოკლევადიანი პროფესიული განვითარების კურსები, მხოლოდ 32.9% აღნიშნავს, რომ აღნიშნული კურსები არაფერში დახმარებია. Online კურსები სულ 9 რესპონდენტს აქვს გავლილი (ქართულ ენაზე).

ისეთ რეგიონალურ ქალაქებში, როგორცაა გორი, ბათუმი, ქუთაისი და თელავი, პროფესიული გადამზადების ან დასაქმებისთვის საჭირო უნარების ტრენინგების გავლის შესაძლებლობა უფრო მაღალი ქულით ფასდება, ვიდრე დედაქალაქში.

დიაგრამა48. პროფესიული გადამზადების ან დასაქმებისთვის საჭირო უნარების ტრენინგების გავლის შესაძლებლობები - ქალაქების მიხედვით



მთლიანობაში, რესპონდენტებმა საკუთარი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე დამატებითი უნარების მიხედვით 5 ბალიან სკალაზე (1 - ძალიან დაბალი, 5 - ძალიან მაღალი) შეაფასეს საშუალოზე დაბალი, 2.5 ქულით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა მთლიანობაში იმ ახალგაზრდებს შორის, ვისაც გაუვლიათ ან არ გაუვლიათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი

მოკლევადიანი კურსები. ვისაც გავლილი აქვს ისინი უფრო მაღალ შეფასებას უკეთებენ საკუთარ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე მათთან შედარებით, ვისაც საერთოდ არ გაუვლია არც ერთი კურსი/ტრენინგი ($P_value < 0.05$).


ენების ფლობის თვალსაზრისით საკუთარ ცოდნას აფასებდა ყველა რესპონდენტი. 5 ბალიან სკალაზე საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით შეფასდა რუსულის (2.7) და ინგლისურის (2.6) ცოდნა, ხოლო ქართული ენის ცოდნა 4.4 ქულით.

თუკი შევადარებთ თბილისსა და რეგიონებში მიღებულ შედეგებს, იკვეთება, რომ ენების ცოდნა რეგიონებში ფასდება უფრო დაბალი საშუალო ქულით (ქართული - 4.3, ინგლისური - 2.6, რუსული - 2.6), ვიდრე თბილისში (ქართული - 4.6, ინგლისური - 2.9, რუსული - 3.2). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P_value < 0.05$). დასაქმებული რესპონდენტები უფრო მაღალი ქულით აფასებენ ინგლისური ენის ცოდნას (2.9), ვიდრე უმუშევრები (2.6) ($P_value < 0.05$).

შეფასების სკალა

არ მაქვს საუბრის უნარები	ელემენტარული დონე (შემიძლია მინიმალური კომუნიკაცია უცხოეთში მოგზაურობისას)	საშუალო (შემიძლია ყოველდღიური მარტივი კომუნიკაცია როგორც სამსახურებრივ, ისე პირად ურთიერთობებში)	კარგი (შემიძლია გამართული საუბარი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სიტუაციაში)	პროფესიული დონე (შემიძლია სრულყოფილად და პროფესიულ დონეზე საუბარი)
1	2	3	4	5

დიაგრამა 49. ენების ცოდნის თვითშეფასება



გამოკითხულმა ახალგაზრდებმა კვლევის ფარგლებში ასევე დაასახელეს უნარები და ფაქტორები, რომელიც აუცილებელია სამუშაოს დასაწყებად. პასუხების 58.5% შემთხვევაში დასახელდა პროფესიული უნარები/კვალიფიკაცია.

ცხრილი 23. დასაქმებისთვის აუცილებელი უნარები და ფაქტორები

უნარები	
პროფესიული უნარები კვალიფიკაცია	58.5%
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	28.9%


უცხო ენის ცოდნა	21.9%
ეფექტური კომუნიკაციის უნარი	17.6%
საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარი	10.6%
გარეგნობა	5.5%
მათემატიკური უნარები	1.0%
საქმიანი მიმოწერის უნარი	1.0%
CV-ის შედგენის უნარი	0.8%
ფაქტორები	
პირადი კონტაქტები	31.9%
საქართველოში მიღებული განათლება კვალიფიკაცია	26.1%
უცხოეთში მიღებული განათლება კვალიფიკაცია	4.0%
უცხოეთში მიღებული სამუშაო გამოცდილება	2.8%

დასაქმების სტრატეგიები და ღირებულებები

რესპონდენტთა უმრავლესობა (91.3%) არ არის დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლად რომელიმე ბაზაში. იმ 35 რესპონდენტიდან (8.7%), ვინც დარეგისტრირებულია სამუშაოს მაძიებლად, მეტწილად არიან უმუშევრები და უმუშევარი სტუდენტები. რეგიონების მიხედვით შედეგები მეტ-ნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული.

სამუშაოს მაძიებელთა ბაზად, რესპონდენტების მიერ დასახელდა www.hr.gov.ge და www.worknet.gov.ge. 5 რესპონდენტი დარეგისტრირებულია ორივე ბაზაში, 5 მხოლოდ www.worknet.gov.ge-ზე, ხოლო 25 - www.hr.gov.ge-ზე. მთლიანობაში, რესპონდენტთა 39.2%-მა იცის www.worknet.gov.ge-ს შესახებ.

დიაგრამა 50. სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში რეგისტრაცია




რესპონდენტთა 97%-ს არ მიუღია მონაწილეობა რაიმე ტიპის დასაქმების პროგრამაში. 10 რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მიიღო დასაქმების პროგრამაში მონაწილეობა, თუმცა ვერ მოახდინა პროგრამის იდენტიფიცირება.

რესპონდენტების 70.2%-მა არ იცის, არის თუ არა ორგანიზაცია ან კერძო პირი მათ ქალაქში, რომელიც ეწევა შუამავლის როლს მათსა და დამსაქმებლებს შორის. 20.5% ამბობს, რომ არის ასეთი შუამავალი, ხოლო 8.8% - პასუხობს შეკითხვაზე, რომ მათ ქალაქში არ არის დასაქმების შუამავალი ორგანიზაცია.


ამ ტიპის შუამავლის შესახებ ინფორმაცია ყველაზე მეტად თელავში აქვთ (35.4%), ასევე იციან ქუთაისში (28.1%), ბათუმსა (25%) და თბილისში (23.8%).

დიაგრამა51. დასაქმების შუამავლების შესახებ ინფორმაცია -ქალაქების მიხედვით




რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ორგანიზაცია სამუშაოს ძებნისა და დასაქმების პროცესს გაუადვილებდათ.

დიაგრამა52. დამოკიდებულება დასაქმების შუამავალი ორგანიზაციების მიმართ




რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები, 43.2% აღნიშნავს, რომ დასაქმების ხელშეწყობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაშია. ასევე ხშირად სახელდება ადგილობრივი თვითმმართველობა (18.1%).

დიაგრამა53. რომელი სახელმწიფო უწყების კომპეტენციაში შედის დასაქმების ხელშეწყობა




რესპონდენტთა პასუხების 69.2% შემთხვევაში ფიქსირდება მოსაზრება, რომ სამუშაო ძალისა და დამსაქმებლის დაკავშირებას სახელმწიფო უნდა ახდენდეს.

დიაგრამა54. ვინ უნდა ახდენდეს სამუშაო ძალისა და დამსაქმებლის დაკავშირებას



რესპონდენტებს ეძლეოდათ შესარჩევად სამი ფრაზა სამუშაოს მიმართ მათი დამოკიდებულების გამოსავლენად. გამოკითხულ ახალგაზრდათა ნახევარზე მეტი (55.3%) ირჩევდა ფრაზას - „სამუშაო ჩემთვის პირველ რიგში საარსებო წყაროა“. 41.3%-ისთვის კი სამუშაო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებაა.


დიაგრამა55. დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ




სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($P_value < 0.05$) გამოვლინდა სქესისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით. კერძოდ, მამაკაცები მეტად ფიქრობენ, რომ სამუშაო პირველ რიგში საარსებო წყაროა, ხოლო ქალები კაცებზე ხშირად აფიქსირებენ პასუხს „სამუშაო ჩემთვის პირველ რიგში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციაა.“

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულები სამუშაოს მეტად აღიქვამენ საარსებო წყაროდ, ხოლო უმუშევრები საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის შესაძლებლობად.

დიაგრამა56. დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ - სქესის მიხედვით




დიაგრამა57. დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ - დასაქმების მიხედვით




მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს სურთ ჰქონდეთ სამუშაო, ჯამში რესპონდენტთა 55.7%-ს არ აქვს რეზიუმე, მათგან 2.5%-ს არ სმენია ასეთის შესახებ, ხოლო 2.3%-ს სურს ჰქონდეს, თუმცა არ იცის როგორ გააკეთოს. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით ამ შემთხვევაში არ გამოვლინდა.

დიაგრამა58. აქვთ თუ არა რესპონდენტებს რეზიუმე (CV)



იმ რესპონდენტთა შორის, ვისაც აქვს რეზიუმე/CV, მხოლოდ 11.6% აახლებს მას კვირაში ან თვეში 1-2-ჯერ. 50.3% წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო 38.2%-ს შექმნის შემდეგ არ განუახლებია ან აახლებს უფრო იშვიათად, ვიდრე წელიწადში ერთხელ.

დიაგრამა59. რამდენად ხშირად აახლებენ ინფორმაციას რეზიუმეში



კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო შერეული ტიპის ღირებულებითი სკალა, სადაც რესპონდენტები კონკრეტულ დებულებებს პასუხობდნენ 5 ბალიან სკალაზე (5-სრულიად ვეთანხმები, 1 - სრულიად არ ვეთანხმები). მთლიანობაში, გამოკითხულ ახალგაზრდათა შედეგები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი24. ღირებულებები

დებულება	საშუალო
ვთვლი, რომ ხალისიანი და სიცოცხლის მოყვარული ვარ	4.1
ოჯახი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის	4.1
ფინანსური უსაფრთხოება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია	4.0
ჩემი ყველა მიღწევა წინ არის, მომავალში	4.0
მთლიანობაში შემომლი ავთქვა, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ	3.9
ქალი მხოლოდ მაშინ არის შემდგარი, როცა ბედნიერი ოჯახი ქვს	3.7
ვთვლი, რომ ქალმა შესაძლებელია იმუშაოს, მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი ბავშვები და დარჩეს კარგ დედად	3.7
დღეს ყველაფერი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ადრე	3.6
ჩემი სოციალური სტატუსი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის	3.4
ზოგადად ამიანების უმეტესობა იმსახურებს ნდობას	3.4
ვთვლი, რომ მეუფრო დარწმუნებული ვარს აკუთარ თავში, ვიდრე უმეტესობა ადამიანებისა	3.4
ზოგადად, უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი შინაგანი სამყაროს შეცნობა, ვიდრე იყო ცნობილი, ძლიერი და მდიდარი	3.4
მე ვმოქმედებ ჩემი ინტუიციის შესაბამისად	3.3
ტელევიზია/ინტერნეტი ჩემი მთავარი გართობაა	3.3
მე მომწონს ახალი დასხვადასხვა რადაცის გასინჯვა	3.2
მე არ ვარ ექსპერიმენტების მოყვარული	3.0
მე უფრო მხარჯველი ვარ. ვიდრე დანაზოგის გამკეთებელი	2.9

ჩემთვის მნიშვნელოვანია, თავი ვიგრძნო რაიმე ჯგუფის წევრად	2.7
მე მორჩევნია სახლში დავრჩე, ვიდრე სტუმრად წავიდე	2.7
ვთვლი, რომ წარმოების მასშტაბი უნდა შეიზღუდოს	2.5
ვიტყობდი, რომ მე ვეწინააღმდეგები იმას, როგორც აღმზარდეს	2.2

აღნიშნული დებულებების ანალიზმა საინტერესო ტენდენციები გამოავლინა, კერძოდ:


1. ზოგადად, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები პოზიტიურად არიან განწყობილნი მომავლის მიმართ;
2. საშუალოდ მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ფინანსური უსაფრთხოება, ვიდრე ქალებისთვის - განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P_value < 0.05$). გარდა ამისა, ქალები მეტად თვლიან, რომ ქალმა შესაძლებელია იმუშაოს, მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი ბავშვები და დარჩეს კარგ დედად, ვიდრე მამაკაცები ($P_value < 0.05$);
3. განსხვავება დასაქმებულ და უმუშევარ რესპონდენტებს შორის გამოვლინდა შემდეგში: დასაქმებული რესპონდენტები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ფინანსურ უსაფრთხოებას, ვიდრე უმუშევრები ($P_value < 0.05$). ასევე უმუშევარი რესპონდენტები მეტად აღნიშნავენ, რომ არიან ექსპერიმენტების მოყვარულნი, ვიდრე დასაქმებულები, რაც შესაძლოა ასახავდეს მათ შორის სამუშაოს ძიების პროცესისადმი მიდგომასაც;
4. ფინანსური უსაფრთხოების მნიშვნელოვნება მეტად ფასდება თბილისში გამოკითხული რესპონდენტების მიერ, ვიდრე რეგიონებში. ($P_value < 0.05$).

ზოგადი დამოკიდებულებები დასაქმების საკითხის მიმართ

კვლევის ფარგლებში რესპონდენტები აფასებდნენ 5 ბალიან სკალაზე, თუ რამდენად რთულია ან მარტივია დასაქმება მათ ქალაქში (1- ძალიან რთული, 5 - ძალიან მარტივი). მნიშვნელოვანია, რომ ზოგადად, ყველა შეფასება საშუალოზე დაბალია, თუმცა, დასაქმების სიმარტივე ყველაზე მაღალი ქულით შეფასდა ზუგდიდში (განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P_value < 0.05$)). სხვა ქალაქების შემთხვევაში განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი, თუმცა გორში გამოკითხული რესპონდენტების შეფასებით, მათ ქალაქში დასაქმება შეფასდა, როგორც ძალიან რთული. ამ შემთხვევაშიც განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სხვა ქალაქებთან შედარებით.

მთლიანობაში ქვეყანაში დასაქმების სიმარტივეც ასევე საშუალოზე დაბალი, 2.07 ქულით, შეფასდა.


დიაგრამა 60. დასაქმების შესაძლებლობები - ქალაქების მიხედვით



ქვეყანაში უმუშევრობის ძირითად მიზეზად უმეტეს შემთხვევაში სამუშაო ძალაზე შეზღუდული მოთხოვნა (27.7%) დასახელდა. ახალგაზრდები ასევე თვლიან, რომ დასაქმებას ხელს უშლის დამსაქმებლის მიერ ვაკანტური პოზიციისთვის გამოცხადებული არაადეკვატური მოთხოვნები (მაგ. იმაზე დიდი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, ვიდრე გამოცხადებული პოზიციისთვის შესაბამისი ასაკის ადამიანს შეიძლება ჰქონდეს) (21.9%).


უმუშევრობის ძირითად მიზეზად თბილისში რეგიონებთან შედარებით ორჯერ ხშირად სახელდება შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, ხოლო რეგიონებში თბილისთან შედარებით უმუშევრობის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ დაბალ ანაზღაურებას, სამუშაოს მამიებელთა პასიურობას, სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობასა და დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა / ხელმიუწვდომლობას.

დიაგრამა 61. უმუშევრობის მიზეზები - რესპონდენტთა პასუხები



როდესაც რესპონდენტები აფასებდნენ, თუ სად არის დასაქმების ყველაზე მაღალი შესაძლებლობა და ვინ არის ყველაზე კარგი დამსაქმებელი, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები კარგ დამსაქმებლად მიიჩნევენ სახელმწიფო ორგანიზაციას (44.5%) მეტად, ვიდრე კერძო ორგანიზაციას (38%), ხოლო დასაქმების შესაძლებლობის შეფასებისას პირიქით, რესპონდენტები თვლიან, რომ კერძო ორგანიზაციაში მეტია დასაქმების შესაძლებლობა (45.1%), ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციაში (32.7%).

დიაგრამა62. დასაქმების შესაძლებლობების შეფასება



გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია დასახელდა ყველაზე კარგ დამსაქმებლად, საინტერესოა ის მახასიათებლები, რის გამოც რესპონდენტებმა ასეთი შეფასება გააკეთეს.

სახელმწიფო ორგანიზაცია ყველაზე კარგ დამსაქმებლად დაასახელეს სტაბილურობისა და პროფესიული/კარიერული ზრდის შესაძლებლობის გამო(47.5%).

ვინც ყველაზე კარგ დამსაქმებლად კერძო ორგანიზაცია მიიჩნია, ამის მიზეზად მაღალი ანაზღაურება დასახელდა, სტაბილურობა ამ შემთხვევაში სიხშირით მეორე ადგილზეა დასახელებულ პასუხებს შორის.

არასამთავრობო ორგანიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაცია კარგ დამსაქმებლად რესპონდენტთა ძალიან მცირე რაოდენობამ დაასახელა (9 და 12 რესპონდენტი შესაბამისად), არასამთავრობო სექტორს მეტწილად სტაბილურობის, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციას მაღალი ანაზღაურების გამო ასახელებენ.


ცხრილი25. დამსაქმებლების დახასიათება

ვინ არის ყველაზე კარგი დამსაქმებელი?	ყველაზე სტაბილურია	სანდოა	პროფესიული და კარიერული ზრდის საშუალება გაქვს	მაღალი ანაზღაურება	სამუშაო პირობები	მ.პ.გ
სახელმწიფო ორგანიზაცია	47.5%	15.8%	38.4%	1.7%	2.8%	0.0%
კერძო ორგანიზაცია	28.0%	18.7%	8.7%	48.0%	5.3%	2.7%
არასამთავრობო ორგანიზაცია	44.4%	33.3%	11.1%	33.3%	0.0%	0.0%
საერთაშორისო ორგანიზაცია	33.3%	0%	16.7%	50.0%	8.3%	0.0%
მ.პ.გ	7.4%	0%	18.5%	11.1%	55.6%	18.5%

რესპონდენტების 45.1% ემხრობა მოსაზრებას, რომ კერძო ორგანიზაციებში ყველაზე მაღალია დასაქმების შანსები. კიდევ უფრო მაღალია რიცხვი, როდესაც საკუთარი დასაქმების ალბათობის


შეფასებას აკეთებენ. 68.7% პასუხობს, რომ კერძო ორგანიზაციაში პირადად მას დასაქმების მეტი შესაძლებლობა აქვს.

დიაგრამა 63. ორგანიზაციების შედარება დასაქმების შესაძლებლობის მიხედვით



თბილისში, გორსა და ბათუმში პასუხობენ, რომ კერძო ორგანიზაციაშია დასაქმების მაღალი შესაძლებლობები. ასევე საინტერესოა, რომ ზუგდიდში გამოკითხული რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა პასუხობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმების შესაძლებლობები მაღალია, ვიდრე სხვა ქალაქებში.

დიაგრამა 64. ორგანიზაციების შედარება დასაქმების შესაძლებლობების მიხედვით -ქალაქების ჭრილი




განათლების ჭრილში, მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტები ფიქრობენ, რომ დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო(50,5%), ისე სახელმწიფო ორგანიზაციაში (44,2%). საშუალო და პროფესიული განათლების მქონე პირები უფრო ხშირად კერძო ორგანიზაციას

ასახელებენ, იგივეა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების შემთხვევაშიც (სახელმწიფო ორგანიზაცია - 30.2%, კერძო ორგანიზაცია - 67.7%).


რესპონდენტების უმეტესი ნაწილის მოსაზრებით, სასურველი სამსახურის საშოვნელად საჭიროა უმაღლესი განათლება (41.5%). 18.3% მიიჩნევს, რომ მაგისტრის ხარისხია აუცილებელი, ხოლო 3.5% ასახელებს დოქტორანტურას. 19.3% მიიჩნევს რომ დასაქმებისთვის სასკოლო განათლებაც საკმარისია, ხოლო 17.5% პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას ასახელებს.

დიაგრამა65. განათლების რა საფეხურია საჭირო სამუშაოს დასაწყებად



თუკი შევადარებთ თბილისში და რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებებს, თბილისში მეტი თვლის, რომ სამსახურის დასაწყებად მაგისტრის განათლებაა საჭირო.


დიაგრამა66. განათლების რა საფეხურია საჭირო სამუშაოს დასაწყებად - თბილისი-რეგიონები



კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს მახასიათებლები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მათი კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამისი სამუშაო ადგილი. აღნიშნული მახასიათებლები რამდენიმე ტიპის იყო: ახალგაზრდები ასახელებდნენ სასურველ სამუშაო გრაფიკს, მინიმალურ ხელფასს, სფეროსა და სექტორს, სადაც იმუშაებდნენ.

რესპონდენტების 70.4% ამჯობინებს სრულ სამუშაო განაკვეთს, 22.8%-ისათვის კი არასრული სამუშაო გრაფიკია უფრო მისაღები; სტუდენტები მეტად აღნიშნავენ, რომ სურთ არასრული ან თავისუფალი სამუშაო გრაფიკი ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით. მამაკაცი რესპონდენტების მხოლოდ 14.6%-ს სურს არასრული სამუშაო გრაფიკი, ხოლო სრული - 78.8%. ქალების 27.7% სურს არასრული სამუშაო გრაფიკი, ხოლო სრული 65.3%.

დიაგრამა67. სასურველი სამუშაო გრაფიკი




რაც შეეხება სასურველ მინიმალურ ანაზღაურებას, რომელზედაც რესპონდენტები დათანხმდებოდნენ, საშუალოდ 625ლარს შეადგენს.

საინტერესოა, რომ მამაკაცები საშუალოდ უფრო მაღალ ხელფასს ასახელებენ (დაახლ. 750 ლარი), ვიდრე ქალები (დაახლ. 530), განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P_value < 0.05$).

დასაქმებული რესპონდენტები ასახელებენ საშუალოდ უფრო მაღალ მინიმალურ ანაზღაურებას (დაახლ. 810 ლარი), ვიდრე უმუშევრები (დაახლ. 545 ლარი) ($P_value < 0.05$).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($P_value < 0.05$) გამოვლინდა ასევე თბილისში და რეგიონებში სასურველ საშუალო მინიმალურ ანაზღაურებას შორის.

დიაგრამა68. სასურველი ხელფასი - ქალაქების მიხედვით



სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს(733 ლარი) და სახელობო სასწავლებლის/კურსდამთავრებულის მიერ დასახელებულ მისაღებ საშუალო მინიმალურ ანაზღაურებას შორის (602 ლარი) (P_value<0.05).

გამოკითხულმა ახალგაზრდებმა დაასახელეს სფეროები, სადაც იმუშავენდნენ. შედეგები მრავალფეროვანია, თუმცა სიხშირით პირველ ადგილზეა ბანკების საქმიანობა (9.8%) და ზოგადი ხასიათის სახელმწიფო სამსახური (6.4%).

ცხრილი26. სასურველი სფერო

სფერო, სადაც იმუშავენდნენ	კოდი NACE კლასიფიკაციისმიხედვით	%
მ.პ.გ	99	2.7
საკვები პროდუქტების წარმოება, სასმელების ჩათვლით	15	0.5
პურისწარმოება, არახანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	1581	0.5
ტანსაცმლის წარმოება; ბეწვის გამოყვანა და ღებვა	18	0.3
ზედა ტანსაცმლის წარმოება	1822	0.3
ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება	36	0.3
სხვა სახის ავეჯის წარმოება	3614	0.3
მშენებლობა	45	4.8
სამშენებლო სამუშაოები	4521	4.2
ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	4531	0.3
საბათქაშე სამუშაოები	4541	0.3
ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი	50	0.3
ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	5020	0.3
საბითუმო ვაჭრობა დავაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილე- ბითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	51	2.6
საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით	5134	0.3
საბითუმო ვაჭრობა შაქრით, შოკოლადითა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით	5136	0.3
საბითუმო ვაჭრობა ტექსტილის საქონლით	5141	0.3
საბითუმო ვაჭრობა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით	5142	1.1
საბითუმო ვაჭრობა სათბობით	5151	0.3
საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებითა და პერიფერიული მოწყობილობებით	5184	0.3
საცალო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	52	16
საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, ძირითადად დსაკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით	5211	3.7
საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში, საკვები პროდუქტებით, სასმელის ჩათვლით, დათამბაქოს ნაწარმით	5220	0.3
საცალო ვაჭრობა პურფუნთუშეულით ცომეული და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით	5224	0.3
საცალო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით	5225	1.9
სხვა საცალო ვაჭრობასა და საკვები პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში	5227	1.3
საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით	5231	2.7
საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით	5242	2.1
საცალო ვაჭრობა წიგნებით, გაზეთებითა და საკანცელარიო საკუთნოებით	5247	0.3
საცალო ვაჭრობა სავაჭრო ფარდულებში, ბაზრებსა და ბაზრობებზე	5262	3.4
სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება	55	4.3
სასტუმროები რესტორნებით	5511	0.8
რესტორნების მომსახურება	5530	3.2


ბარები	5540	0.3
სახმელეთო ტრანსპორტი	60	2.6
მგზავრთა რეგულარული გადაყვანა	6021	1.3
ტრანსპორტირება მილსადენებით	6030	0.3
წყლის ტრანსპორტი	61	0.3
საზღვაო და საკაბოტაჟო ტრანსპორტი	6110	0.3
დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	63	4.7
დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	6330	0.5
ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	6330	4.2
კავშირგაბმულობა	64	0.8
ეროვნული ფოსტის საქმიანობა	6411	0.3
ელექტროკავშირი	6420	0.5
საფინანსო შუამავლობა	65	12
ფულად-საკრედიტო შუამავლობა	6510	0.3
ცენტრალური ბანკების საქმიანობა	6511	9.8
სხვა ფულადი შუამავლობა	6512	1.9
კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობა	72	2.4
პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და კონსულტირება ამ სფეროში	7220	0.3
პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა	7221	0.5
პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და კონსულტირება ამ სფეროში	7222	1.3
საოფისე მანქანებისა და გამოთვლითი ტექნიკის ტექნიკური მომსახურება და რემონტი	7250	0.3
მონაცემთა დამუშავება	73	1.1
კვლევები და დამუშავებებისა ბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში	7310	1.1
მომხმარებელზე გაწეული მომსახურების სხვა სახეები	74	3.2
საქმიანობა არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში და ტექნიკური კონსულტაციების გაწევა ამ სფეროებში	7420	0.3
რეკლამა	7440	0.3
გამომცემის ჩატარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა	7460	1.3
საწარმოო სადგომების, საცხოვრებელი სახლების, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და დალაგება	7470	0.5
სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა	7485	0.3
სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მომსახურების გაწევა მომხმარებლებისათვის	7487	0.5
სახელმწიფო მმართველობა	75	15.2
ზოგადი ხასიათის სახელმწიფო მმართველობა	7511	6.4
სოციალური პროგრამების მართვა	7512	0.5
ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურად წარმართვის რეგულირება და ხელშეწყობა	7513	0.8
საერთაშორისო საქმიანობა	7521	1.6
თავდაცვა	7522	0.5
იუსტიცია	7523	0.3
საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა	7524	4.8
საქმიანობა სამოქალაქო თავდაცვის დარგში	7525	0.3
განათლება	80	9.8
დაწყებითი განათლება	8010	2.7
ზოგადი საშუალო განათლება	8021	5.0
უმაღლესი განათლება	8030	2.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	85	9.8
საავადმყოფოების საქმიანობა	8511	3.4
საექიმო პრაქტიკა	8512	5.3

სტომატოლოგიური პრაქტიკა	8513	0.3
ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა	8514	0.5
სოციალური დახმარება საცხოვრებელი უზრუნველყოფის გარეშე	8532	0.3
საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა	91	0.3
რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა	9131	0.3
საქმიანობა დასვენების, გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზების დარგში	92	2.5
საქმიანობა რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის სფეროში	9220	0.3
საქმიანობა ხელოვნების დარგში	9231	1.1
ბოტანიკური ბაღების, ზოოპარკებისა და ნაკრძალების დაცვა	9253	0.3
აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობა	9271	0.8
ინდივიდუალური მომსახურება	93	5.3
საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება	9302	4.2
შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება	95	0.3
შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება	9500	0.3
ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	99	0.8
ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	9900	0.8

რესპონდენტების მიერ სასურველ სექტორად უმეტესად კერძო სექტორი (65.2%) დასახელდა, რესპონდენტთა 34% სახელმწიფო სექტორში ისურვებდა მუშაობას და მხოლოდ 0.8% - საერთაშორისო ორგანიზაციაში/NGO-ში.


მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების 44% ზოგადად, ყველაზე კარგ დამსაქმებლად სახელმწიფო სექტორს მიიჩნევს, მეტი რესპონდენტი ამბობს (65%) რომ იმუშავენდა კერძო სექტორში.

დიაგრამა 69. დასაქმების სასურველი სექტორი



რესპონდენტების ნახევარზე მეტი (53.8%) აღნიშნავს, რომ დედაქალაქის გარდა, სხვა ქალაქში არ წავიდოდნენ სამუშაოდ.


დიაგრამა 70. შრომითი მობილობა



ზუგდიდსა და ახალციხეში გამოკითხული ახალგაზრდები მეტად განიხილავენ დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქში სამუშაოდ წასვლის შესაძლებლობას, ვიდრე სხვები.

ასევე საინტერესოა, რომ თბილისზე მეტად, ბათუმში მცხოვრები რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სხვა ქალაქში სამუშაოდ არ წავიდოდნენ. დადებით პასუხს გამოკითხულთა მხოლოდ 3.1% სცემს, მაშინ როდესაც თბილისში ეს პასუხი გამოკითხულთა 12.7%-მა დაასახელა.

დიაგრამა 71. შრომითი მობილობა - ქალაქების ჭრილი




კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასება

რესპონდენტთა 5% (20 რესპონდენტი) აღნიშნავს, რომ მათ სასწავლებელში ფუნქციონირებდა კარიერული განვითარების ცენტრი, 0.5% ამბობს, რომ ცენტრი გაიხსნა მას შემდეგ, რაც სწავლა დაასრულეს. აღსანიშნავია, რომ იმ 20 რესპონდენტიდან, ვინც იცის, რომ მათ სასწავლებელში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, 15 არის სტუდენტი (13 უმუშევარი, 2 დასაქმებული).

უმრავლეს შემთხვევაში, რესპონდენტებმა არ იციან იყო თუ არა მათ სასწავლებელში კარიერული განვითარების ცენტრი (81%).


ქალაქების მიხედვით, კარიერული ცენტრის ფუნქციონირებაზე დადებითი პასუხი ყველაზე ხშირად გორის შემთხვევაში გაეცა (7 რესპონდენტი), ასევე ზუგდიდი - 5, ახალციხე - 4, თბილისი - 3 და ბათუმი - 1.

დიაგრამა72. ინფორმაცია კარიერული ცენტრების შესახებ




იმ რესპონდენტთა უმეტესობა(16 რესპონდენტი 20-დან), ვინც აღნიშნავს რომ მათ სასწავლებელში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, არ მიუღია არანაირი მხარდაჭერა მისგან. 3 რესპონდენტმა უფასოდ გაიარა ტრენინგი, ხოლო 1 რესპონდენტმა(გორი) - მიიღო მონაწილეობა პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრაში.

დიაგრამა73. დახმარება კარიერული ცენტრისგან



მთლიანობაში, კარიერული განვითარების ცენტრის მუშაობა იმ რესპონდენტების მიერ, რომელთა სასწავლებელშიც ფუნქციონირება ასეთი ცენტრი არის შემდეგი: 3 რესპონდენტი თვლის, რომ იგი ეფექტურია, 1 რესპონდენტი თვლის, რომ არ არის ეფექტური, ხოლო 12-ს უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა74. კარიერული ცენტრის ეფექტურობის შეფასება




საინფორმაციო არხები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპონდენტთა 39.2%-მა იცის www.worknet.gov.ge-ს არსებობის შესახებ.


აღსანიშნავია, რომ თბილისში უფრო მეტად აქვთ ინფორმაცია www.worknet.gov.ge-ს შესახებ, ვიდრე რეგიონებში.

დიაგრამა75. ინფორმაცია www.worknet.gov.ge-ს შესახებ



შემთხვევების 90.3%-ში რესპონდენტებმა ინფორმაციის წყაროდ ინტერნეტი/სოციალური ქსელები დაასახელეს, 18.8%-მა მეგობრების მეშვეობით შეიტყო www.worknet.gov.ge-ს შესახებ.²⁹


დიაგრამა76. ინფორმაციის წყარო www.worknet.gov.ge-ს შესახებ



²⁹რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა ერთდროულად ინფორმაციის რამოდენიმე წყარო


www.myprofession.gov.ge-ს შესახებ იცის რესპონდენტთა 36.9%-მა. www.myprofession.gov.ge-ს შესახებ ბათუმში გამოკითხული რესპონდენტები მეტად არიან ინფორმირებულები, ვიდრე სხვა ქალაქში გამოკითხული რესპონდენტები.

დიაგრამა77. ინფორმირებულობა www.myprofession.gov.ge-ს შესახებ.




რესპონდენტებმა შემთხვევების 91%-ში ინფორმაციის წყაროდ კვლავ ინტერნეტი/სოციალური ქსელები დაასახელეს.22.8%-მა მეგობრების მეშვეობით შეიტყო www.myprofession.gov.ge-ს შესახებ.

დიაგრამა78. ინფორმაციის წყარო www.myprofession.gov.ge-ს შესახებ




ინტერნეტი და სოციალური ქსელები ის წყაროა, საიდანაც ახალგაზრდები ყველაზე მეტად იღებენ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ (89.4%).

დიაგრამა79. დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის წყარო




ზოგადად საქართველოში მიმდინარე მოვლენების/ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის წყაროდ ასევე უმეტესად ინტერნეტი სახელდება 96.5%, მეორე წყაროდ კი - მეზობლები/მეგობრები (39,9%) და ტელევიზია (37.8%).

დიაგრამა80. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის წყაროები



რესპონდენტები ასახელებდნენ ქართულ ტელეარხს, რომელსაც ყველაზე ხშირად უყურებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად:

დიაგრამა81. რომელ ტელეარხებს უყურებენ ახალგაზრდები



თვისებრივი კვლევის შედეგები

დასაქმების მოტივაციები ახალგაზრდებში - დასაქმების სურვილები და არსებული ბარიერები

დასაქმების მოტივაციებზე საუბრისას ჯგუფური დისკუსიები კონცენტრირებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორცაა დასაქმების სურვილები და ამ სურვილებთან დაკავშირებული სირთულეები - გამოწვევები, რომელთაც ახალგაზრდები აწყდებიან სამუშაოს ძიებისას. ამ კუთხით, საინტერესო იყო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ან/და კერძო სექტორში სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ არსებული გამოცდილებები და დამოკიდებულებები.

უმუშევარი კურსდამთავრებულები

უმუშევარი კურსდამთავრებულების ერთი ნაწილის მოსაზრებით, დასაქმების მოტივაცია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და ანაზღაურების მიღებაა. სამსახურთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები წარსულში უკვე მიღებულ სამუშაო გამოცდილებას უკავშირდება და ახალგაზრდები იმ კუთხით აპირებენ ძებნის გაგრძელებას. მათი დასაქმების სტრატეგიაც სწორედ ამაზეა აგებული და არა სამუშაოს ძიებაზე პროფესიის მიხედვით. მართალია მათ არ მოსწონთ ასეთი მიდგომა, მაგრამ როგორც ამბობენ, სხვაგვარად გაუჭირდებათ ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნა. ვებ გვერდებზე, სადაც გამოცხადებულია ვაკანსიები, უმუშევრები ანაზღაურების მიხედვით ეძებენ სამუშაოს და არა პროფესიის მიხედვით. მათთვის სასურველი ანაზღაურება, 600-900ლარს შეადგენს.

ჯგუფური დისკუსიის მონაწილე უმუშევარი კურსდამთავრებულების მეორე ნაწილის პასუხების მიხედვით, მნიშვნელოვანია საკუთარი პროფესიით დასაქმება და კვალიფიკაციის შეძენა. მიიჩნევენ, რომ სხვაგვარად სამუდამოდ ჩამოშორდებიან თავიანთ სფეროს და ანაზღაურების გამო თავისი კომპეტენციის შეუსაბამო საქმიანობით დაკავდებიან. რამდენიმე მათგანი ამბობს, რომ მინიმალური ანაზღაურებაც მისაღები იქნება, თუ პროფესიული ზრდის კარგი შესაძლებლობა მიეცემათ. მათ სურთ, მომავალში საკუთარი თავი დაინახონ კონკურენტუნარიან კადრებად, რომელთაც უკვე შეძენილ უნარებსა და ცოდნაზე დაყრდნობით არ გაუჭირდებათ დასაქმება სასურველ პოზიციაზე. მონაწილეთა ეს ჯგუფიც სამუშაოს ძირითადად ინტერნეტით ეძებს.

უმუშევარი კურსდამთავრებული ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ სამუშაოს ძიებისას ისინი მიმართავენ ინფორმაციის ერთგვარი გაფილტვრის ხერხს საკუთარი ან/და მათი მეგობრების მიერ მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

"სადაც დავინახავ სიტყვა ბონუსს, არ ვაგზავნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბონუსს ვერასდროს მივიღებ, ისეთი პირობები აქვთ შექმნილი, მამუშავებენ და ანაზღაურების გარეშე გამომიშვებენ."

"სულ ვცდილობ იქ გავაგზავნო მონაცემები, სადაც არ ფიგურირებს ქართული კომპანია. ქართული კომპანიები არ არიან კარგი დამსაქმებლები"

"ჩემმა წინა სამსახურმა ისეთი დალი დამიტოვა, ახლა რომ ვთქვა ვეძებ სამსახურს-თქო, მოვიტყუები. თუ გამოჩნდება, შეიძლება არ ვთქვა უარი, მაგრამ დასვენება მჭირდება, ძალიან დამძაბა წინა სამსახურმა და არც ახლა მაქვს გარანტია, რომ იგივე არ მელოდება. ახლა ცოტა დრო მჭირდება, რომ ახალი სამუშაოს ძებნა დავიწყო."

უმუშევარი კურსდამთავრებულები სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების, როგორც პოტენციური დამსაქმებლების შედარებისას, აღნიშნავენ რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმება მეტ სტაბილურობასთან, პროფესიულ განვითარებასა და შრომითი ექსპლუატაციის საშიშროებისგან დაცვასთან არის დაკავშირებული. ამას განსაკუთრებით ის მონაწილეები აღნიშნავენ, ვისაც კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილება აქვს. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებს არ აქვთ იმის შიში, რომ ანაზღაურებას ვერ აიღებენ ფიქსირებულ დროს. თუმცა მაინც თვლიან, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმება გარკვეულ ბარიერებთანაა დაკავშირებული და

არც სახელმწიფოა იდეალური დამსაქმებელი. ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებში კონკურსები არაგამჭვირვალედ და არაობიექტურად ტარდება.

„ერთ-ერთ სამინისტროში ვიყავი ტესტირებაზე და მითხრეს, რომ ვერ გაიარე ტესტირებაო. ძალიან მეჭვვება, რეალურად, უფრო რთული ტესტებიც ჩამიბარებია, ყოველთვის კარგად ვაკეთებ იმ ტიპის ტესტებს, რაც გასაუბრებაზე იყო. ძალიან ვნანობ, რომ არ გამოვითხოვე ჩემი პასუხები“.

უმუშევარი ახალგაზრდების დასაქმების სტრატეგიები გავს ერთმანეთს, თუმცა განსხვავდებიან ვაკანსიის შერჩევის კრიტერიუმებით. ნაწილი ყველა პოზიციაზე აგზავნის საკუთარ მონაცემებს და მხოლოდ ანაზღაურებას ითვალისწინებს, ნაწილი კი ირჩევს ვაკანსიას და პროფესიის შესაბამისად ცდილობს სამუშაო ადგილის ძიებას.

უმუშევარი კურსდამთავრებულების სამუშაოს ძიების ინტენსივობა არ არის მაღალი. ერთგვარი პერიოდულობით ხასიათდება. ძიების ინტენსივობის მომატება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული: მაგალითად ოჯახს, ან მას პირადად შეექმნა ფინანსური პრობლემები და იძულებულია გააქტიურდეს სამუშაოს ძიების მიმართულებით, მეგობარი დასაქმდა და მაგალითის ძალით ისიც გააქტიურდა, რომელიმე ორგანიზაციის მიერ გავრცელდა ინფორმაციასამუშაო ადგილების დამატების შესახებ დაახალგაზრდას გაუჩნდა დასაქმების იმედი ახალ სამუშაო ადგილზე ა.შ.

უმუშევარი კურსდამთავრებულები მეტად სენსიტიურები არიან უარყოფითი სამუშაო გამოცდილების მიმართ. ხშირია უარყოფითი სამუშაო გამოცდილების შემდეგ სამუშაოს ხელახლა დაწყების შიში.

დასაქმებული კურსდამთავრებულები

დასაქმებული კურსდამთავრებულები ჯგუფური დისკუსიისას მეტად იყვნენ ორიენტირებული სამუშაო გამოცდილებისა და საკუთარი სამუშაო პირობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე. უმეტესობა კერძო კომპანიაში იყო დასაქმებული და აღნიშნავენ, რომ ხშირად დამსაქმებელი ისე ადგენს შრომით ხელშეკრულებას, როგორც მას აწყობს და ახალგაზრდებიც საკუთარი ნებით თანხმდებიან ამ პირობებზე. უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ კითხულობენ რა წერია ხელშეკრულებაში, ხოლო ვინც კითხულობს, სერიოზული კონსულტაციის გარეშე მათთვის რთულია გაიგოს რა საფრთხეებს შეიცავს იგი. ჯგუფური დისკუსიის მონაწილეები განიხილავენ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულება ისეა შედგენილი, რომ ამით სარგებელს დამსაქმებელი იღებს - მას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს კადრი დაკავებული თანამდებობიდან. დამსაქმებელი არ იღებს ვალდებულებას დასაქმებულის მიმართ, მაგრამ თუ დასაქმებულმა გადაწყვიტა სამსახურის დატოვება, მას ეკისრება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმა - მას არ იცავს არანაირი მექანიზმი. უმეტესად ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ დასაქმებულთან და მაგრამ ის თავისი ხასიათით დისკრიმინაციულია დასაქმებულის მიმართ.

სამუშაოს დაწყების ისტორია ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლებს განსხვავებული ჰქონდათ. უმეტესად ნაცობების, ახლობლების რეკომენდაციით ჰქონდათ დაწყებული სამსახური და არა კონკურსის გზით. დისკუსიის ამ ჯგუფშიც გამოვლინდა ტენდენცია, რომ დასაქმების არჩეული სტრატეგია უმუშევარ კურსდამთავრებულებში, უფრო დასაქმების ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებაა, გადაწყვეტილება, რომელიც მათ სურვილებსა და შრომით პერსპექტივას ეხმიანება.

სტუდენტები

სტუდენტები, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებულები მეტწილად გამოთქვამენ სურვილს, რომ დასაქმდნენ ნახევარ განაკვეთზე. ისინი აღნიშნავენ, რომ სტუდენტები მუდმივად აწყდებიან დილემას, საით მიმართონ თავიანთი დრო და ენერჯია: სწავლაზე, თუ სამუშაოზე. მათ დიდ ნაწილს ესაჭიროება ანაზღაურება, რომ დაფარონ სწავლის გადასახადი და გაწიონ სხვა საარსებო ხარჯები, ამასთანავე სურთ, რომ ის წლები, რაც უმაღლესი განათლების მიღებას ეთმობა, მაქსიმალურად გამოიყენონ პროფესიის დაუფლებისთვის.

"არიან სტუდენტები სამედიცინოზე, რომლებიც მუშაობენ კლინიკებში ექთნებად და ხან 48 საათი უწევთ გადაბმულად მუშაობა. ეს ცუდია იმ კუთხითაც, რომ პრაქტიკა შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ თეორიულ ცოდნას ახალს ვერ უმატებენ და ეს ძალიან ცუდია მომავალი ექიმისთვის"

უმუშევარი სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ დასაქმდებოდნენ ისეთ სამუშაოზეც, რომელიც არ იქნებოდა პროფესიასთან კავშირში, თუმცა მათ დაუტოვებდა შესაძლებლობას, სწავლისთვისაც გამოეყოთ დრო. მათ მაგალითად მოჰყავთ ევროპულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა, როდესაც სტუდენტს არ აქვს შესაძლებლობა განსაზღვრულ დროზე მეტი დაუთმონ ანაზღაურებად სამუშაოს. მათი თქმით, მსგავსი რეგულაციები აუცილებელია მოქმედებდეს საქართველოშიც. ეს დაიცავდა სტუდენტს ექსპლუატაციისგან და სწავლისთვისაც დაუტოვებდა დროსა და ენერჯიას.

სტუდენტების აზრით, დამსაქმებლებმაც კარგად იციან რომ სტუდენტისთვის პრიორიტეტი არის ანაზღაურება, შესაბამისად, ანაზღაურების სანაცვლოდ მძიმე სამუშაო პირობებს სთავაზობენ.

"ერთი წლის განმავლობაში მეტს არაფერს ვაკეთებდი და სულ ვეძებდი ვაკანსიებს, მაგრამ ისეთი სამსახური ვერ ვნახე, რომელიც არ მთავაზობდა ფაქტობრივად სწავლის მიტოვებას"

უმუშევარი სტუდენტების დასაქმების მოტივაცია ძირითადად სწავლის ფულის გადახდა და ჯიბის ფულია. ფოკუს-ჯგუფზე საუბარი შეეხო იმასაც, რომ სტუდენტების ნაწილს საკუთარი შემოსავლები ოჯახისთვის დახმარების გასაწევადაც სჭირდება. მეორე ნაწილისთვის დასაქმება საკუთარ პროფესიაში ძალების მოსინჯვა და პრაქტიკული უნარების გაძლიერებაა. მონაწილეები თვლიან, რომ ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა ყველასთვის, მაგრამ „საქართველოშიამის ფუფუნება არ არსებობს“. დასაქმების მოტივაცია სტუდენტებთან საშუალოა, თვლიან, რომ მათ დრო კიდევ აქვთ და სწავლის პერიოდში სამუშაოს ძებნაში არ არიან პროაქტიურები.

დასაქმების სტარტეგიას რაც შეეხება, უმუშევარ კურსდამთავრებულებთან შედარებით, სტუდენტები კიდევ უფრო მეტად არიან დამოკიდებული გარე შესაძლებლობებზე, ვიდრე უმუშევარი კურსდამთავრებულები - ნაცნობების, მშობლების, მეგობრების და ზოგჯერ დამსაქმებლების შეთავაზებაზე. უმუშევარი სტუდენტები მეტად თვლიან, რომ ერთჯერადი სამუშაოს შესრულება მათთვის ხელსაყრელია, ვიდრე უმუშევარი კურსდამთავრებულები. სტუდენტური სამუშაოების უკიდურესად შეზღუდული რაოდენობა ქვეყანაში მათთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს.

სკოლადამთავრებული უმუშევარი ახალგაზრდები

სკოლადამთავრებული ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული სურვილები მინიმალურია. მონაწილეთა ამ ჯგუფს დაბალი თვითშეფასება აქვს და უკმაყოფილება საკუთარ კომპეტენციებისკენაა მიმართული და არა დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებულ პირობებისკენ. ჯგუფური დისკუსიის მონაწილეების უმეტესობა ნებისმიერ სამუშაოს შეასრულებდა, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული ფიზიკური ძალა (გოგონების შემთხვევაში) და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მათ ჯერ კიდევ არ აქვთ განსაზღვრული თუ რა არის/შეიძლება იყოს მათი საქმიანობის სფერო. დასაქმების სურვილის მიუხედავად, ახალგაზრდებს არ აქვთ განსაზღვრული მიზნები დასაქმებასთან დაკავშირებით. მათი ნაწილი საუბრობს, რომ მათი პასიურობის მიზეზი ის იყო, რომ დაგეგმილი ჰქონდათ სწავლის გაგრძელება და ამიტომაც იკავებდნენ თავს სამუშაოს ძიებისგან.

მათი უმეტესობა საუბრობს სწავლის გაგრძელებაზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს უფრო მეტად სურვილია მათი, ვიდრე რეალური შესაძლებლობა. როდესაც სწავლაზე საუბრობენ, ძირითადად უმაღლეს განათლებაზე აკეთებენ აქცენტს. პროფესიულ განათლებაზე საუბარს იწყებენ მაშინ, როდესაც ჯგუფური დისკუსიის მოდერატორი წამოჭრის საკითხს.

სკოლადამთავრებული უმუშევრების დასაქმების დაბალი მოტივაცია განათლებას უკავშირდება. ისინი არ მოიაზრებენ საკუთარ თავს კონკურენტუნარიან პირებად და მომავალშიც ვერ ხედავენ საკუთარ თავს რაიმე პოზიციაზე, რადგან არ აქვთ უმაღლესი განათლება. ამ ახალგაზრდების დასაქმების დაბალი მოტივაცია იმითაც არის განპირობებული, რომ ისეთ სამუშაოებზეც კი, რომელთაც არ უნდა სჭირდებოდეს უმაღლესი განათლება, ხშირად მოთხოვნებში მითითებულია ბაკალავრის დიპლომის ფლობა, რაც მათ ართმევს კონკურში მონაწილეობის შესაძლებლობასაც კი. ახალგაზრდების აზრით, საგანმანათლებლო ხარისხთან ერთად სამუშაო გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონა შეუძლებელს ხდის მათ დასაქმებას.

სკოლადამთავრებული უმუშევარი ახალგაზრდების მოთხოვნებიც უფრო დაბალია, ვიდრე აკადემური ან პროფესიული განათლების მქონე, ან განათლების მიღების პროცესში მყოფი ახალგაზრდებისა. გოგონები აღნიშნავენ, რომ 300-400 ლარი ნორმალური ანაზღაურება იქნებოდა მათთვის, ხოლო ბიჭები ასეთად 700 ლარს მიიჩნევენ. ჯგუფური დისკუსიის მონაწილე რამდენიმე გოგონამ საკუთარი უმუშევრობა დაუკავშირა საოჯახო საქმეებს - შვილებისა თუ უმცროსი დების მოვლას.

"მქონია სურვილი, მაგრამ ოჯახში პატარა დები მყავდა და მაგათი მოვლის გამო ვერ შევძელი".

დასაქმების სურვილის მიუხედავად, ასევე უმუშევრობის მიზეზებზე საუბრობენ ბიჭები და ამბობენ, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური მათთვის ბარიერია ამ კუთხით.

„სკოლის დასრულების მერე თუ უმაღლეს სასწავლებელში არ ჩააბარე, ჯარში უნდა წახვიდე, ამიტომ სკოლის დასრულებიდან გაწვევამდე საერთოდ არ ვეძებთ სამსახურს.“

სკოლადამთავრებული ახალგაზრდების დასაქმების მოტივაცია შემოიფარგლება ოჯახის წევრების მატერიალური მხარდაჭერის სურვილით. ისინი არ საუბრობენ, რომ დასაქმება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და წინსვლაში. ჯგუფური დისკუსიის მხოლოდ ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დასაქმება ხელს შეუწყობს მას მომავალში თავად უზრუნველყოფს საკუთარი სწავლის დაფინანსებას.

შესაძლო დასაქმების ადგილად სკოლადამთავრებული უმუშევარი გოგონების ნაწილი სასურსათო მაღაზიას ან კვების ობიექტსასახელებს, იმუშავებდნენ კონსულტანტად, დამლაგებლად ან მცხობელად. ბიჭები კი მშენებლობაზე ან მძღოლად ან ნებისმიერ პოზიციაზე, რომელსაც გარემოებები უნდათ.

შრომით მიგრაციაში წასვლა განიხილება, როგორც დასაქმების ადეკვატური შესაძლებლობა. ჯგუფური დისკუსიის მონაწილეები ასევე განიხილავენ ზემოთ ხსენებულ პოზიციებზე ქვეყნის გარეთ დასაქმების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში თვლიან, რომ ინფორმაციას მიიღებენ შრომით მიგრაციაში წასული ახლობლებისა და მეგობრებისგან და წასვლის პროცესი საკმაოდ გაუმარტივდებათ.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სკოლადამთავრებული უმუშევარი ახალგაზრდების ჯგუფური დისკუსია რეგიონში მიმდინარეობდა, დასაქმების დამატებით გამოწვევად დასახელდა მათ ქალაქში არსებული სამუშაო ადგილების სიმცირე. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მათ ქალაქში არ არის მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე კადრებზეც კი. საგულისხმოა ის ფაქტი, ისინი ნაკლებად სვამდნენ აქცენტს პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე - არ საუბრობდნენ უმაღლესი განათლების ალტერნატივებზე.

დამოკიდებულება სტაჟირების მიმართ

რაც შეეხება სტაჟირების პროგრამებს, ახალგაზრდები მას აღიქვამენ კარგ შესაძლებლობად თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, თუმცა თვლიან, რომ სიტყვა "სტაჟირება" მხოლოდ ფორმალური სახელწოდებაა და დამსაქმებელი მასში ლატენტურად მოიაზრებს უფასო მუშახელის გამოყენებას.

მიუხედავად ამ საერთო განწყობისა, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ სტაჟირების მნიშვნელობას თავიანთი კარიერული წინსვლისთვის.

უმუშევარი კურსდამთავრებულები საუბრობენ, რომ ანაზღაურებადი სამუშაოს შემდეგ უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში რთულია ისევ სტაჟირებაზე დათანხმება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ იცი დასაქმების შესაძლებლობა გაქვს თუ არა სტაჟირების გავლის შემდეგ.

რაც მეტი დრო გადის, სწავლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებს დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობა ესაჭიროებათ, ვიდრე სტაჟირებაა. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო სტაჟირების პროგრამები განკუთვნილი უნდა იყოს პირველი და მეორე კურსელი სტუდენტებისთვის და არა კურსდამთავრებულებისთვის. მესამე კურსიდან სტუდენტებს უნდა შეეძლოს უკვე არსებულ სტაჟირების გამოცდილებაზე დაყრდნობით ეძიონ სამსახური. მათივე თქმით, ასეთი სტაჟირებები თავსებადი უნდა იყოს უნივერსიტეტში მიღებულ გამოცდილებასთან და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური 6 თვიანი „სტაჟირებით“, როდესაც სტუდენტები მხოლოდ CV-ში ჩასაწერ „გამოცდილებას“ იძენენ და დასაქმების ადგილებზე ტექნიკურ სამუშაოს ასრულებენ, არ ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც მცირე უნარებს ან პროფესიულ ჩვევებს შესძენდა მათ. კურსდამთავრებულების ინფორმაციით ძალიან ცოტაა ისეთი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც კადრების გაზრდაზე ზრუნავს და სამომავლო დასაქმებისთვის ამზადებს მათ. ასეთ შემთხვევაში კონკურსიც ძალიან მაღალია და პროფესიაც კონკრეტული. უმეტეს შემთხვევაში სტაჟირირი სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ იგივე უნარებით მოდის სტაჟირებიდან რითაც დაიწყო.

დასაქმებული კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ სტაჟირება ანაზღაურებადი უნდა იყოს და მისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ოპტიმალური დრო, რათა სტუდენტებმა შეძლონ ლექციებზე დასწრება. ისინი ასევე გამოყოფენ შემთხვევებს, როდესაც კომპანიები ახალგაზრდებს ასაქმებენ გამოსაცდელი ვადით (რომელიც, მათივე თქმით 2 კვირამდე გრძელდება) ისეთ პოზიციებზე, როგორცაა მაღაზიის კონსულტანტი, მოლარე-ოპერატორი და ა.შ. ახალგაზრდები ვერ უძლებენ რთულ სამუშაო გრაფიკს და ხშირად 2 კვირასაც ვერ ჩერდებიან აღნიშნულ პოზიციაზე და ანაზღაურების გარეშე ტოვებენ კომპანიას. დასაქმებული ახალგაზრდების თქმით, ამ პრაქტიკას მიმართავს ბევრი მსხვილი კომპანია და სარგებლად იღებს აუნაზღაურებელ შრომას და მეტ მოგებას. დამსაქმებლებმა კარგად იციან, რომ მსგავს პოზიციაზე დასაქმების მაძიებელი მრავლად არიან.

სტუდენტები

სტუდენტები, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებულები, საუბრობენ სტაჟირების წარმატებულ გამოცდილებებზეც. სტაჟირების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარ პროფესიაში აქმალივინათ კომპეტენცია. ასეთ შემთხვევებზე უმეტესად საუბრობდნენ იურისტები და ჟურნალისტები, რომლებიც იურიდიული დახმარების ცენტრებში, რადიოში, საინფორმაციო სააგენტოში და ტელევიზიაში გადიოდნენ სტაჟირებას. თუმცა ამ ჯგუფშიც აღმოჩნდნენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ მიერ გავლილი სტაჟირება მხოლოდ დაკარგული დრო იყო. ისინი განმარტავდნენ, რომ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც მხოლოდ მარტივი პროცედურების შესრულებას მოიცავს არ ესაჭიროება დრო შესწავლისთვის და მის შესრულებაში დამსაქმებელი ანაზღაურებას უნდა გასცემდეს.

"თუ სტაჟირებას გადიხარ, ისეთ საქმეს უნდა აკეთებდე, რომ მუდმივად სწავლობდე, მაგრამ როცა, მაგალითად, დამკვირვებლად გამუშავებენ და ფულს არ გიხდიან, აქ ისევ სამუშაო ძალის ბოროტად გამოყენებასთან გვაქვს საქმე, რადგან ამას გადამზადება არ სჭირდება."

სტაჟირებისადმი სკეპტიციზმი დასაქმებულ კურსდამთავრებულებშიც გამოვლინდა. ისინი მიიჩნევენ, რომ როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმების მაძიებელი სტაჟირებას არქმევს რაიმე დოკუმენტზე დაწერილ სამუშაო გამოცდილებას, რომელიც თავისთავად გულისხმობს განსაზღვრულ სტრუქტურაში ყოფნის დროს და არა ცოდნის გაღრმავებას და დამატებითი უნარების გამომუშავებას, რაც კარიერულ წინსვლაში დაეხმარებოდა ახალგაზრდას.

"სტაჟიორებს უკლავენ დასაქმების ყოველგვარ სურვილს, რადგან მხოლოდ სკანერზე და ქსეროქსზე მუშაობენ. ეს არის დროის ფლანგვა, ეს არ არის პროფესიის პრაქტიკული უნარების დაუფლება სამუშაო ადგილზე".

ისინი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობენ, რომ მხოლოდ რეკომენდაციის წერილისა თუ სტაჟირების სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის გამო გადიოდნენ სტაჟირებას. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ძალიან ხშირად ამ დოკუმენტს ძალა აქვს და დამსაქმებელიც აქცევს ყურადღებას.

სტუდენტების აზრით, მოხალისეობრივი სამუშაო მისაღებია მაშინ, როდესაც ის ხანმოკლეა და სტუდენტს შეუძლია დროითი თუ სხვა რესურსი გამოყოს მის შესასრულებლად. სხვა მხრივ, მოხალისეობრივ სამუშაოში ჩართვის მოტივაცია ძალიან დაბალია, განსაკუთრებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის.

დასაქმების გამოცდილებები და სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებული სტრატეგიები

მნიშვნელოვანი იყო იმ სტრატეგიების იდენტიფიცირება, რომელსაც იყენებენ/იყენებდნენ ახალგაზრდები სამუშაოს ძიებისას. ამ ბლოგში შევხებით, როგორც უკვე მიღებულ გამოცდილებებს, ასევე აწყმობი არსებულ მექანიზმებს, რომელთაც მიმართავენ ახალგაზრდები დასაქმებისთვის.

უმუშევარი კურსდამთავრებულების ნაწილი, ვინც ყოფილა ადრე დასაქმებული აღნიშნავს, რომ მათ საკუთარი ნებით დატოვეს სამსახური. ამის მიზეზად კი ასახელებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: 1) პროფესიული განვითარების შესაძლებლობის არქონა, 2) დისკრიმინაციული გარემოს არსებობა, დამატებითი, შეუთანხმებელი პასუხისმგებლობების დაკისრება და 3) დასაქმების შემდგომ პერიოდში დამსაქმებლის მიერ სამუშაო პირობების თვითნებური შეცვლა.

პროფესიული განვითარების შესაძლებლობების არქონა უკავშირდება დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს. ახალგაზრდების თქმით, სწორედ მათი კვალიფიკაციისთვის შეუსაბამო დავალებების შესრულება განაპირობებს იმას, რომ ისინი ვერ ავითარებენ დამატებით უნარებს, რაც მათ კარიერულ წინსვლას შეუწყობდა ხელს. დისკრიმინაციულ გარემოში ისინი გულისხმობენ, როგორც მათდამი ზემდგომი პირების დამოკიდებულებას, ასევე უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლების დარღვევას. ახალგაზრდები საუბრობენ პირად გამოცდილებებზე, როდესაც დამსაქმებელმა მათ შესთავაზა სტანდარტული სამუშაო გრაფიკი (8 საათი) და გარკვეული ანაზღაურება, რაც არ ემთხვეოდა დასაქმების შემდგომ პირობებს. ჯგუფური დისკუსიის მონაწილეები ასევე ხაზს უსვამდნენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მათ უწევდათ სამუშაო პასუხისმგებლობებისგან სრულიად განსხვავებული დავალებების შესრულება, როგორცაა ზემდგომი პირის პირადი საკითხების მოგვარება და ა.შ. ახალგაზრდების მიხედვით, ხშირად ხდებოდა მათი უნარების არამიზნობრივად გამოყენება - მათ არ ჰქონდათ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობა, რის გამოც ისინი უფრო მოწყვლადები ხდებოდნენ დამსაქმებლის წინაშე.

"წესით, ვმუშაობდი ათი საათიდან 7-ის ნახევრამდე, მაგრამ ხშირად ვრჩებოდი 9-მდე და 10-მდე... გვეტყოდნენ, რომ აბა რა გგონიათ სამსახური გაქვთ და წუწუნის ზედმეტია ასეთ შემთხვევაში. ერთდროულად ბევრ რამეს ვითავსებდი და ვიყავი გაყიდვების მენეჯერი, ოფის მენეჯერი, იურისტი და hr. რომ წამოვედი სამსახურიდან, ყველა გაცემული იყო, ასეთ სამსახურიდან როგორ მოდიხარო. მაგრამ იქ თავს ძალიან დამცირებულად ვგრძნობდი და უფროსიც ისე მექცეოდა, არ მინდა ამის გახსენება."

უმუშევარი კურსდამთავრებულები თვლიან, რომ საქართველოში დასაქმებულის უფლებები არასათანადოდაა დაცული. მიიჩნევენ, რომ თავად კანონში არის საჭირო ცვლილებების შეტანა, რათა ადამიანები შრომითი ექსპლუატაციისგან იყვნენ დაცულნი და ჰქონდეთ ნორმირებული სამუშაო გრაფიკი. ასევე საჭიროდ მიიჩნევენ სამუშაო ცვლების დარეგულირებას. ცვლილებების განხორციელებისას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ბიზნეს სექტორის ჩართულობას, მისი მხრიდან

გარკვეულ დათმობებზე წასვლას, გონივრულ ქმედებას იმგვარად, რომ ბიზნესი არ დაზარალდეს და ამავე დროს, დაცული იყოს დასაქმებულთა უფლებებიც.

უმუშევარი კურსდამთავრებულების მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ კი არ დაუტოვებიათ სამსახური, არამედ ამოიწურა მათთვის განსაზღვრული სამუშაო ვადები. ისინი აზუსტებენ, რომ ეს კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა. კერძოდ თუ გარკვეული პროექტი სრულდება, მათ აღარ სჭირდებათ შესაბამისი კადრი და არც აქვთ დაფინანსება, რომ უზრუნველყონ ორგანიზაციაში ამ კადრების შენარჩუნება. სწორედ ამ მიზეზის გამო ისინი მიიჩნევენ, რომ კერძო სექტორში დასაქმება მუდმივად არასტაბილურობასთანაა დაკავშირებული - არანაირი მექანიზმი არ გიცავს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისგან.

"ძირითადად ჩვენს სფეროში (გულისხმობს სოციალურ მეცნიერებებს) და ზოგადადაც მუშაობს ასეთი პროექტები, გაქვს საქმე, მორჩა პროექტი და მერე მიდიხარ და აღარავინ აღარ ფიქრობს შენს პროფესიულ ზრდაზე...იკარგება ჩემი დრო და სტაბილური სამსახური კი არაა."

უმუშევარი კურსდამთავრებულების ნაწილის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ საზღვარგარეთ განათლების მიღების შესაძლებლობას განიხილავენ დასაქმების წინაპირობად. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ ერთი წლის განმავლობაში ვერ იპოვეს სამსახური, ეცდებიან დაფინანსება მოიპოვონ ქვეყნის გარეთ განათლების მისაღებად. მათთვის ეს ერთგვარი სტრატეგიაა, ერთ ადგილას არ გაჩერდნენ და თუ დასაქმების შესაძლებლობა არ ექნებათ, უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ საზღვარგარეთ მიღებული განათლების დახმარებით.

უმუშევარი კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ დამსაქმებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არა პროფესიას, არამედ ისეთ კომპეტენციებს, როგორებიცაა უცხო ენების, საოფისე პროგრამების ცოდნა და ა.შ. მათი თქმით, კომპანიებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა უწერია პოტენციურ კადრს CV-ში - დამსაქმებელი სამუშაო გამოცდილებასთან ერთად მნიშვნელობას ანიჭებს გავლილ ტრენინგებსა და კურსებს, საზღვარგარეთ სწავლების თუ სემინარებზე დასწრების გამოცდილებას და ა.შ.

მიუხედავად იმის, რომ მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის მოტივაცია დაბალი აქვთ, ახალგაზრდები მოხალისეობრივი მუშაობის გამოცდილებას მაინც დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ. მათი აზრით, მსგავს აქტივობებში ჩაბმა დღეს უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობასა და ღირებულებას იძენს.

უმუშევარი ახალგაზრდების აზრით, დამსაქმებლების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ხშირად მოთხოვნებში არა კონკრეტული სპეციალიზაციის პირს ეძებენ, არამედ ამა თუ იმ სფეროში უკვე გამოცდილების მქონე პირს. სამუშაო გამოცდილება არის ხშირად ის ბარიერი, რაც დასაქმების მაძიებლებს ეღობება წინ. უმუშევარი კურსდამთავრებულები თვლიან, რომ ახალგაზრდების მიმართ რამდენიმეწლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა არაადეკვატურია.

სკოლადამთავრებული უმუშევარი ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ დამსაქმებელთა მოთხოვნები იმდენად არარელევანტურია, რომ ისეთ პოზიციებზეც კი, სადაც მხოლოდ ფიზიკური მუშაობის გიწევს, ხშირად უნარების ტესტის ჩაბარებას ითხოვენ, რაც მათ დასაქმების შანსს არ უტოვებს.

"ჩემი მეგობარი რუსეთში იყო და რომ ჩამოვიდა, აქ ერთ კომპანიაში უნდოდა ხორცის დამჭრელად მუშაობა და უნარების ტესტის ჩაბარება მოთხოვეს".

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებას მეტ სტაბილურობასა და შრომითი უფლებების დაცვასთან აკავშირებენ, სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ მაინც გამოითქვა უნდობლობა და აღნიშნა, რომ ზოგჯერ ვაკანსიები ფორმალობის დაცვის მიზნით ქვეყნდება, სამუშაო პოზიციაზე კი წინასწარ ხდება კონკრეტული კადრის დანიშვნა კონკურსის გარეშე.

პროფესიის/ხელობის შექმნის მოტივაციები - დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების განწყობებს შორის არსებული განსხვავებები

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები საუბრობენ რამ განაპირობა მათი პროფესიის არჩევანი: კონკრეტული არჩევანის მიზეზად ხშირად სახელდება მშობლის/ნათესავის/ახლობლის პროფესია (ელექტრიკოსის, ინჟინრის და ა.შ. პროფესიები). ახალგაზრდები აკვირდებოდნენ, რომ ამა თუ იმ პროფესიის ადამიანები მუშაობდნენ, ჰქონდათ მუდმივი ანაზღაურება და გადაწყვიტეს, რომ საკუთარი ძალები მოესინჯათ იმავე სფეროში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მშობლებისგან მითითების ტენდენციასთან, არამედ დასაქმების რეალურ პერსპექტივებზე ფიქრთან.

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები პროფესიული სასწავლებლების შესახებ მიღებული ინფორმაციის წყაროდ პირად კონტაქტებს ასახელებენ. ამბობენ, რომ სასწავლებლის შესახებ თანატოლებისგანაც მიიღეს ინფორმაცია ან იმ პირებისგან, რომელთაც უკვე ისწავლეს და წარმატებულად დასაქმდნენ სწავლის პერიოდშივე. მათივე თქმით, სწორედ დასაქმების წარმატებული მაგალითები სძენს მათ დამატებით მოტივაციას პროფესიის შექმნის კუთხით.

პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები მუდმივად ცდილობდნენ პარალელი გაეცლოთ უმაღლეს სასწავლებელთან და იქ მიღებულ ცოდნასთან. აღნიშნავენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების აუცილებლობა თავსმოხვეული ვალდებულებაა, რომელიც მათ ვერ აძლევს დასაქმების რეალურ შესაძლებლობას.

"პრაქტიკები გვაქვს, გასვლები გვაქვს ლაბორატორიებში და ყველას ვურჩევ... არ არის აუცილებელი, რომ უმაღლესში ჩააბარო, ეს არის სტერეოტიპი, რომ უნდა გქონდეს დიპლომი, ჩააბარო უმაღლესში".

ისინი ასევე ადარებენ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას ერთმანეთს და აღნიშნავენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებს არ აქვთ პირდაპირი კავშირი დასაქმებასთან, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნით.

"მე ვსწავლობ სურსათის ეკოლოგიური კონტროლის მიმართულებით. თან ვსწავლობ, მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ უმაღლეს სასწავლებელში, ბიზნესის ადმინისტრირებაზე. აქ იმიტომ ჩავაბარე, რომ რეალურად ეს მაინტერესებდა და პრაქტიკულ ცოდნასაც ვიღებ ახლა. ძალიან დიდი განსხვავებაა კოლეჯსა და უნივერსიტეტს შორის. უნივერსიტეტში მეოთხე კურსზე ვარ და ჯერ პრაქტიკა არ მქონია, სულ თეორიაა."

ჯგუფური დისკუსიის მონაწილე პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების მიერ შერჩეული პროფესიები გენდერული ნიშნით შემდეგნაირად გადანაწილდა - ელექტრიკოს-ინჟინერის, IT სპეციალისტის ხელობებს ირჩევენ ბიჭები, ხოლო სტილისტის, საექთნო საქმის სპეციალისტის ხელობებს - გოგონები. სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის პროფესიას ასახელებდნენ როგორც ბიჭები, ასევე გოგონები.

პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები თავიანთ პროფესიებზე მსჯელობის დროს მუდმივად საუბრობდნენ დასაქმების შესაძლებლობაზე. კითხვაზე, თუ სად შეიძლება დასაქმდნენ, ნაწილი აღნიშნავდა, რომ უკვე დასაქმებულია, ნაწილი კი ამბობდა, რომ გარკვეული პრაქტიკის გავლის შემდეგ მას უკვე ექნება დასაქმების რეალური შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობას ისინი კონკრეტული მაგალითების მოყვანით ამყარებენ:

"მე საექთნოზე ვსწავლობ "პანაცეაში", ახლა პრაქტიკას გავდივართ და მალე მუშაობასაც დავიწყებ, ხელფასიც მექნება, რადგან ასე მოხდა ჩვენზე უფროსი სტუდენტების შემთხვევაში".

სტუდენტები ხშირად უსვამენ ხაზს პროფესიის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღების აუცილებლობაზე. ისინი არ ახსენებენ პროფესიულ ორიენტაციას, თუმცა აღნიშნავენ, რომ ძალიან ბევრმა უბრალოდ არ იცის იმის შესახებ, თუ რა პროფესია რას გულისხმობს. მათი თქმით, თუ ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება, უფრო მეტად დაინტერესდებიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და საკუთარ ინტერესებს სწორი მიმართულებით განავითარებენ.

"მთავარია, რომ ბრმად არ ჩააბარო რამე პროფესიაზე, ისწავლო და მერე და დაჯდე სახლში, რაც საქართველოში ხშირია. მნიშვნელოვანია, რომ ჯერ გაეცნო პროფესიას, აწონ-დაწონო დაიწყებ თუ არა მუშაობას."

15-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეების შემთხვევაში აქცენტი იმ სამომავლო გეგმებზე იყო, რაც პროფესიის არჩევას უკავშირდება. მოსწავლეები საუბრობდნენ თუ როდის დაიწყეს ფიქრი მომავალ პროფესიაზე და რა პროცესებს უკავშირებდნენ ამას.

მოსწავლეები პროფესიის არჩევას განიხილავენ როგორც პროცესს, რომელიც მათი აზრით იწყება დამამთავრებელი კლასებიდან (მე-8, მე-9 კლასი). ისინი მიიჩნევენ, რომ პროფესიული არჩევანის გაკეთება რთულია იმ მიზეზის გამო, რომ შემდგომ გიწვეს სწორედ იმ საქმიანობას მიჰყვებ მთელი ცხოვრების მანძილზე. აქ იკვეთება შემდეგი დამოკიდებულება - პროფესიის არჩევა ერთჯერადია და გარკვეული დროითი ლიმიტი გააჩნია იმას, თუ როდის მიიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას. მოსწავლეები გამოყოფენ ფაქტორებს, რომლებიც, მათი აზრით, მოქმედებენ ახალგაზრდების მიერ პროფესიის არჩევაზე: მოსწავლეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესიების შესახებ ოჯახში არსებული განწყობები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საბოლოო არჩევანის გაკეთებისთვის. მოსწავლეების აზრით, სკოლის მოსწავლე არ არის ინფორმირებული პროფესიების შესახებ და ოჯახი არის ის სივრცე, საიდანაც იგი პირდაპირ თუ ირიბად ისრუტავს ინფორმაციას არსებული და მისთვის შესაბამისი პროფესიების შესახებ, აღნიშნავენ ოჯახის ფაქტორის მნიშვნელობას პროფესიის არჩევის დროს. თვლიან, რომ დღეს უკვე არ არის ტენდენცია, რომ მშობლებმა აიძულონ შვილები მიჰყვნენ კონკრეტულ პროფესიას. მათი აზრით, საბოლოო არჩევანი მაინც მოსწავლეზეა. თუმცა, მეორე მხრივ თვლიან, რომ გადაწყვეტილების თავისუფლება თავის მნიშვნელობას კარგავს, როცა მათ უწევთ არა სასურველი, არამედ დასაქმების თვალსაზრისით პერსპექტიული პროფესიის არჩევა. მიიჩნევენ, რომ დღეს ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვისიმე ზეგავლენის საშიშროება.

რამდენიმე მოსწავლემ ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობისას ისაუბრა იმაზე, რომ თავდაპირველი პროფესიული არჩევანი შეცვალა იმ მიზეზის გამო, რომ იგი დაბალანაზღაურებად და უპერსპექტივოდ ჩათვალა. მეორე მიზეზი, რაც პირვანდელი არჩევანის გადაფიქრებას უკავშირდება, არის მოსაზრება, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ის დარგი არ შეისწავლება შესაბამისად.

"არქიტექტორობაზე უარი ვთქვი იმის გამო, რომ არ მომეწონა საქართველოს უნივერსიტეტები. სულ ერთი-ორი უნივერსიტეტია, სადაც ისწავლება და ეჭვი მაქვს, რომ ვერ მივიღებდი კარგ ცოდნას."

რამდენადაც მოსწავლეები პროფესიულ არჩევანს მხოლოდ ერთჯერად და გარკვეულ ასაკამდე დასრულებად პროცესად აღიქვამენ, მიიჩნევენ რომ დრო არ უნდა დაკარგონ და უნდა კონცენტრირდნენ მაქსიმალურად მოთხოვნად პროფესიებზე. მოსწავლეებს "მოთხოვნად პროფესიებზე" ინფორმაცია მიღებული აქვთ ნაცნობებისგან, ახლობლებისგან და სხვა არაოფიციალური წყაროებიდან.

ჯგუფური დისკუსიის მსვლელობისას გამოვლინდა, რომ უკვე შერჩეულ პროფესიებზეც კი მოსწავლეებს არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია.

"მინდა, რომ ჩავაბარო იურიდიულზე, გამიგია, რომ ისეთი პროფესიაა, რომლითაც ადვილად დასაქმდები. გავრცელებული პროფესიაა და მსმენია ამის შესახებ. ჩემს ირგვლივ არავინაა ამ პროფესიის, მაგრამ"

ნაცნობებიდან და ახლობლებიდანაც რაღაც ინფორმაცია მაქვს მიღებული.“

მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ ჰუმანიტარული საგნებისკენ ორიენტირებული ბავშვების წილი უფრო მაღალია, ვიდრე ტექნიკური საგნებისკენ. ეს დებულება იმასაც ადასტურებს, რომ, რეალურად ისინი მუდმივად აწყდებიან მსგავს დაყოფას. მათი თქმით, თუ ტექნიკური საგანი დაგაინტერესებს, უნდა გაგიმართლოს და უნდა შეგხვდეს კვალიფიციური მასწავლებელი. ამ შემთხვევაში ისინი ხაზს უსვამენ პრაქტიკის მნიშვნელობას, რაც მათ დაეხმარებოდათ საკუთარი ინტერესების იდენტიფიცირებაში.

რამდენიმე მოსწავლემ ასევე აღნიშნა, რომ მათ სკოლას აქვს შესაძლებლობა, რომ აღჭურვილი იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა სხვა სკოლებში ამის შესაძლებლობა ნაკლებად არის.

"ჩვენთან კარგი მასწავლებლები არიან, მაგრამ ექსკურსიებზე რომ დავდიოდი მაგალითად ქიმიის ან ფიზიკის, სადაც ვიყავით ლაბორატორიებში შემემინდა ისეთი სიტუაცია იყო. მაინტერესებდა ფიზიკა, მაგრამ არ მინდა ასეთ პირობებში მუშაობა. საქართველოში ვცხოვრობ და აქ მინდა მუშაობა, ხოდა, ასაწევია ტექნიკური საგნების ეს დონე."

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ არცერთი მოსწავლე არ საუბრობდა პროფესიულ განათლებაზე მანამ, სანამ ჯგუფური დისკუსიის წამყვანი ამ საკითხს არ შეეხო. ყველა მათგანის შემთხვევაში პროფესიული გადაწყვეტილებები და/ან სამომავლო პროფესიული გეგმები მიმართული იყო უმაღლესი განათლების მიღებისკენ. ისინი პროფესიულ განათლებას არ მიიჩნევენ საკუთარი პროფესიული ცხოვრების წარმართვის ალტერნატივად.

მოსწავლეები საუბრობენ ინფორმაციის ნაკლებობასა და ხელმისაწვდომობაზე. მიიჩნევენ, რომ ეს პრობლემა გარკვეულწილად დაძლეულია იმათთვის, ვისაც აქვს ინტერესი კონკრეტული პროფესიის მიმართ და შემდგომში თავად ეძებს ინფორმაციის მიღების გზებს (მაგ: ინტერნეტი, მედია საშუალებები, საინფორმაციო ბროშურები, კომპეტენტურ პირებთან გასაუბრება და ა.შ), მაგრამ ხშირად, მათივე თქმით, ახალგაზრდებს არ მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე და/ან ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი თუ რა მიმართულებით სურთ მიმართონ საკუთარი ინტერესები.

მოსწავლეები პროფესიის არჩევაზე ზეგავლენის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ თავად ახალგაზრდის აკადემიურ მოსწრებას სკოლაში. მათ აზრით, თუ მოსწავლე ავლენს განსაკუთრებულ უნარებს კონკრეტული მიმართულებით, მან თავადვე უნდა შეარჩიოს ის სფერო, რომელიც მის შესაძლებლობებს შეეფერება. რამდენიმე მათგანი აღნიშნავს, რომ ამ არჩევანის გაკეთებაში მათ მასწავლებლებიც ეხმარებიან. თუმცა ამ მიმართულებით დისკუსიის მონაწილეების აზრები გაიყო. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ ხშირად მასწავლებლები არასწორ ორიენტირს აძლევენ მოსწავლეებს, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოსწავლის მიერ საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ კონკრეტული უნარებით შემოფარგვლა.

პროფესიის არჩევა და კარიერული წარმატების მიღწევის ადეკვატური შესაძლებლობების აღქმა - პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროება, მნიშვნელობა და განხორციელების გზები

პროფესიული არჩევანის გაკეთების გამოცდილებაზე საუბრისას კურსდამთავრებული უმუშევარი და დასაქმებული ახალგაზრდები განიხილავდნენ რა მახასიათებლებზე დაყრდნობით გააკეთეს არჩევანი დამათი აზრით, რამდენად სწორი იყო ეს არჩევანი.

კურსდამთავრებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დამამთავრებელ კლასში არ იცოდნენ თუ რა პროფესიაზე სურდათ ჩაბარება. ზოგი მათგანი აზუსტებს, რომ მათ მხოლოდ ის იცოდნენ რა ფაკულტეტზე ჩააბარებდნენ და არ ჰქონდათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას აირჩევდნენ საბოლოოდ. საუბარი შეეხო ასევე მზაობას, რომელიც მათ ჰქონდათ პროფესიის არჩევის კუთხით:

"უესტერნად ჩავაბარე, ძალით გამიყვანეს ეროვნულზე. მერე მამაჩემმა უთხრა თავის ახლობელ ლექტორს, სად ჩააბაროსო და მისი რჩევით მოვხვდი ენერგეტიკულზე - ტელეკომუნიკაციების განხრით. მაგრამ კიდევ კარგი, მე გამიმართლა ნამდვილად და პერსპექტიულ პროფესიაში მოვხვდი."

კურსდამთავრებულების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ საკუთარი პროფესიული არჩევანი არ დაუფუძნებიათ იმ წარმოდგენებზე, რომლებიც უკავშირდებოდა დასაქმების პერსპექტივებს. მათთვის იმ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენად დააინტერესებდათ ესა თუ ის სფერო და რამდენად დამლევადი იქნებოდა მათთვის სწავლა.

ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდგომ მიხვდნენ თუ რა კუთხით სურდათ სწავლის გაგრძელება - უკვე გავლილ საგნებზე დაყრდნობით გამოიკვეთა მათი ინტერესი და შემდგომი წლები სწორედ არჩეული პროფესიის შესწავლას დაუთმეს.

"უნივერსიტეტმა მომცა იმის საშუალება რომ მივმხდარიყავი რა მინდოდა. მერე დავინახე ჩემი თავი ფსიქოლოგიაში".

თუმცა, რამდენიმე სტუდენტის თქმით, უნივერსიტეტშიც კი ვერ გაარკვია თუ რას გულისხმობდა ესა თუ ის პროფესია და რა უნდა ეკეთებინა თუ კონკრეტულ პროფესიას აირჩევდა. ისინი აღნიშნავენ, რომ შემდგომში ინტერნეტის საშუალებით დააზუსტეს თუ რა კომპეტენციებს მოიცავდა მათ მიერ შერჩეული სფერო და სად დასაქმდებოდნენ, თუ ამ კუთხით გააგრძელებდნენ განათლების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებული სტუდენტების უმრავლესობამ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ გააკეთა პროფესიული არჩევანი, მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც კი უჭირთ საკუთარი თავი მოიაზრონ ამა თუ პროფესიაში. ისინი აზუსტებენ, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ ზოგად ორიენტირს აძლევს სტუდენტებს.

"უნივერსიტეტის კმაყოფილი ვარ, ბევრი რამ შემძინა, მაგრამ ზოგადი განათლება მივიღე და ცოტა ყველაფერი შემიძლია ასე მგონია, ჩემი პროფესიის კუთხით ჯერ მგონია, რომ არ მაქვს შესაბამისი ცოდნა"

დასაქმებული კურსდამთავრებულების ნაწილი მუშაობს რა საკუთარი პროფესიისგან განსხვავებულ სფეროში, მიიჩნევს, რომ მათ ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ პროფესიული მიება და შესაძლოა, სხვა პროფესიის დაუფლებაც სცადონ.

მხოლოდ ორი კურსდამთავრებული საუბრობს იმაზე, რომ აკვირდებოდნენ თუ რომელი პროფესიით იყვნენ დასაქმებული ადამიანები მათ ირგვლივ და წარმატებულ მაგალითებზე დაყრდნობით გააკეთეს არჩევანი.

პროფესიული რჩევების მისაღებად კურსდამთავრებული ახალგაზრდები მშობლებსა და სხვა ოჯახთან დაახლოებულ პირებს მიმართავდნენ. რამდენიმე შემთხვევაში ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტების ჩამონათვალის დარეგისტრირებამდე ახალგაზრდებმა მიმართეს რეპეტიტორებს და მათგანაც მიიღეს რჩევები.

"ჩვენ ვაბარებდით არა პროფესიებზე, არამედ პროფესიის დასახელებებზე. ბევრისგან მახსოვს, ჩემი უფროსი ძმისგანაც, როცა აბარებდნენ, რომ ამბობდნენ, რომ ნახე აი ეს რა კარგად ჟღერს. და მშობლებიც გაზეთში ეძებდნენ პროფესიებს, ინიშნავდნენ და რეალურად არ იცოდნენ რა რა იყო".

კურსდამთავრებული ახალგაზრდების მიხედვით, მათ შესაძლოა სხვაგვარად წარემართათ თავიანთი პროფესიული ინტერესები, თუ ექნებოდათ მეტი ინფორმაცია პროფესიების შესახებ. ისინი საუბრობენ პროფესიული ორიენტაციის აუცილებლობაზე სკოლებში, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ კუთხითაც

ძალიან დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ერთი მხრივ, ისინი საშიშროებას ხედავენ კვალიფიციური კადრების არსებობის კუთხით, რომლებიც ინფორმაციას მიაწვდიან ბავშვებს.

"მე თვითონ ვიყავი კვლევაში ჩართული, რომელიც ეხებოდა პროფორიენტაციას და ჩემს სკოლაში ჩემი ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი იყო გადამზადებული ამ პროფ. ორიენტაციის კუთხით და ვიცი, რა კომპეტენციის პირია, თავის პროფესიაში არ არის გათვითცნობიერებული და სხვას ვერ აარჩევინებს პროფესიას".

ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებენ გარკვეული პროფესიების შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების დამკვიდრების საფრთხეზე. მათი თქმით, პროფესიული ორიენტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი როგორც პროფესიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ასევე უმაღლესი განათლების ალტერნატივების შეთავაზება უნდა იყოს.

დასაქმებული კურსდამთავრებულების პასუხების მიხედვით, საუკეთესო გზა დასაქმებისთვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესწავლა და ამ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის შემუშავებაა. ისინი თანხმდებიან, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის უნდა არსებობდეს ერთგვარი ანგარიში ამა თუ იმ პროფესიის შესახებ - დასაქმების რა შესაძლებლობები არსებობს მათ მიერ შერჩეული პროფესიის კუთხით, სად შეიძლება გააგრძელოს სწავლა და ა.შ. ჯგუფური დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის მიხედვით, პროფესიების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის ერთ-ერთი დანიშნულება უნდა იყოს მათ რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რადგან ამის მნიშვნელობა ნამდვილად დგას დღის წესრიგში.

"მე მიმუშავია რეგიონებში და საცესებით შესაძლებელია, ბავშვმა არ იცოდეს, რომ თავის რაიონულ ცენტრში არის პროფ. სასწავლებელი ამა და ამ პროგრამებით."

"ზოგს აქვთ უნარი კერვის, მაგრამ არ იციან ამის შესახებ. ანუ შეიძლება კერავდეს, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რომ ეს შეიძლება პროფესიად აქციო და ძალიან წარმატებული გახდეს. თუ ირგვლივ შანსებს ვერ ხედავ, მაშინ საკუთარ თავსაც ვერ ხედავ"

ახალგაზრდების აზრით, პროფესიული სწავლების პოპულარიზაცია თუ სკოლიდანვე დაიწყება, მაშინ უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში ნაკლები იქნება. უმაღლესი განათლება საზოგადოების მხრიდან აღქმულია, როგორც პროფესიის მიღების ერთადერთი შესაძლებლობა. თუ ამ მიმართულებით არ გადაიდგა ნაბიჯები და პოზიტიური მაგალითების წარმოჩენა არ მოხდა, სკოლის მოსწავლეები თავიანთი სურვილების მიუხედავად, მუდმივად შეეცდებიან დამლიონ მინიმალური ბარიერი ეროვნულ გამოცდებში და ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში.

"ბავშვს არ ეძლევა საშუალება, რომ თუნდაც აკადემიური სფეროს გარეთ მოსინჯოს საკუთარი უნარები. ამის გამოა, რომ თუ აკადემიურ სფეროში ვერ ექნებათ მიღწევები, ფიქრობენ, რომ ვერ შედგენენ ადამიანებად."

კურსდამთავრებული ახალგაზრდები გამოსავალს ხედავენ დეცენტრალიზებაში - თუ ამ დასაქმების სახელმწიფო სერვისები რეგიონებშიც იქნება, უფრო მიზანმიმართულად და ეფექტურად იმუშავებს პროფესიული ორიენტაციის პროგრამებიც.

ახალგაზრდები ასევე საუბრობენ, რომ სკოლა და უნივერსიტეტი სრულიად იზოლირებულია ერთმანეთისგან. სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მუდმივად ხვდებიან იმ სივრცეში რომლის შესახებ მანამდე ინფორმაცია არ ჰქონიათ. მათ ამ გამოცდილებისთვის არავინ ამზადებს. ახალგაზრდები საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდნობით აზუსტებენ, რომ უნივერსიტეტიც არ

ამზადებს სტუდენტებს შრომის ბაზრისთვის. კურსდამთავრებულებს არ გააჩნიათ პრაქტიკული უნარები, რაც მათ კონკურენტუნარიანს გახდიდა დასაქმების ბაზარზე. შესაბამისად, მათ უწევთ დამატებითი კურსების გავლა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა, რომ შეძლონ სამუშაოს პოვნა.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს უფრო უკეთესი მდგომარეობა აქვთ-ცდილობენ თავიანთი სტუდენტები უზრუნველყონ პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებით. თუმცა აქვე ხსნიან, რომ მსგავს სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობაც არ არის ძალიან მაღალი და შესაბამისად, უფრო მარტივია მსგავსი აქტივობების განხორციელება - პერსონალსა და სტუდენტებს შორის უფრო ხშირია კონტაქტი და მათ რეკომენდაციის გაწევაც შეუძლიათ სტუდენტებისთვის.

"ჯიპას ადმინისტრაცია ვიცი, რომ ჟურნალისტიკის სტუდენტებს ბოლომდე მიყვება და ასაქმებენ კიდეც. ბევრისგან გამოგია, კერძოში იმიტომ აბარებს, რომ დასაქმების მაღალი შანსი აქვს".

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს შორის აუცილებელია კომუნიკაციის არსებობა. ეფექტიანი იქნება, თუკი დამსაქმებელსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციებს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომელიც სამუშაო ადგილზე სტუდენტის სამუშაო გრაფიკს დაარეგულირებდა. დამსაქმებელს მიეცემაშესაძლებლობა უნივერსიტეტს სთხოვოს დახმარება შესაბამისი კადრის მოძიებაში, ხოლო უნივერსიტეტი თავის მხრივ, რეკომენდაციას გაუწევს საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტს. სამუშაო გრაფიკვიკომპაქსიმალურადუნდა შეესაბამებოდეს სტუდენტის სალექციო განრიგს, რომ სტუდენტმა შეძლოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაც.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული და ჯერ არ არიან დასაქმებულნი, მათი მოტივაცია, პროფესიის/ხელობის შეძენის კუთხით, დაბალია. ისინი ნაკლებად განიხილავდნენ განათლების გაგრძელების საკითხს, რადგან იციან, რომ მატერიალურ მხარდაჭერას ვერ მიიღებენ. ამ ჯგუფს დაბალი თვითშეფასება აქვს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მათ ვერ შეძლეს უმაღლესი განათლების მიღება, შესაბამისად საკუთარ თავს მომავალშიც ვერ მოიაზრებენ, დასაქმებულ და რეალიზებულ პიროვნებად.

მათ გარშემო წარმატებული მაგალითები უმეტესად შემდეგია: მისი თანამოქალაქე ახალგაზრდები აბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში, ტოვებენ ქალაქს და შემდგომში საქმდებიან. ეს ჯაჭვი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ახალგაზრდებს ვერ წარმოუდგენიათ უმაღლესი განათლების მიღების გარეშე პროფესიის შეძენა, კომპეტენციის ამაღლება რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, დასაქმება. დასაქმების ნებისმიერი შესაძლებლობაამ ჯგუფისთვის უმაღლესი განათლების მიღებაზეა მიბმული.

"ვხედავ, რომ ჩემი ტოლები აბარებენ უმაღლესში, მიდიან სასწავლებლად და მერე იწყობენ ცხოვრებას. მე არ ვიცი რა შემიძლია მართო ჩემი სკოლის ატესტატით. შეიძლება სადმე დავიწყო მუშაობა? მაგრამ ძალიან გამიჭირდება. უცხო ენაც არ ვიცი."

კითხვაზე, აპირებენ თუ არა რაიმე კურსის გავლას და დამატებითი უნარ-ჩვევების შეძენას, ჯგუფის უმეტესობა ამბობს, რომ ჯერ არ უფიქრია ამაზე. მხოლოდ რამდენიმე მათგანი საუბრობს ინგლისური ენისა და საოფისე პროგრამების შესწავლის აუცილებლობაზე.

მოთხოვნადი პროფესიების შესახებ არსებული განწყობები

მოთხოვნადი პროფესიების შესახებ წარმოდგენები იცვლება სამიზნე ჯგუფების მიხედვით. მათ მიერ მოწოდებულ შეხედულებებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, სად გვხვდება ინფორმაციული ვაკუუმი, რა კუთხით იკვეთება ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე პროფესიების შესახებ, რომელ ჯგუფს და რატომ აქვს მეტი ინფორმაცია და ა.შ.

ჯგუფური დისკუსიის მონაწილე ყველა მოსწავლე აპირებს რა უმაღლესი განათლების მიღებას, მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლება აძლევს მათ შესაძლებლობას კონკურენტუნარიანები და

წარმატებულები იყვნენ. მათი განწყობებიც მოთხოვნადი პროფესიების მიმართ სწორედ ამ დამოკიდებულებას ეფუძნება - მიიჩნევენ, რომ მაღალანაზღაურებადი სამსახური მხოლოდ მაშინ გაქვს, თუ პირველ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებელში აარჩევ პერსპექტიულ სფეროს დასაქმებისთვის.

იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რაც აქვთ პროფესიების შესახებ, მოსწავლეები პროფესიებს ყოფენ პერსპექტიულ და უპერსპექტივო პროფესიებად.

"მე ძალიან მიყვარს ხატვა და მიფიქრია კიდევ, რომ ჩავაბარებდი, მაგრამ მიფიქრია იმაზე, რომ სად უნდა ვიმუშავო, რომ მქონდეს სტაბილური შემოსავალი? წარმოდგენა არ მაქვს - ახალგაზარდების უმეტესობა დღეს უფრო სტაბილურ შემოსავალზე ვფიქრობთ".

პერსპექტიულ პროფესიებად მოსწავლეები მიიჩნევენ სამართალმცოდნეობას, საერთაშორისო ურთიერთობებს, მედიცინის, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის სფეროს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ხშირად საუბრობენ პერსპექტიულ პროფესიებზე, მხოლოდ ერთმა მათგანმა ახსენა შრომის ბაზარი და მისი მოთხოვნები.

"რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მსოფლიო შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი სფერო ჩემი ინფორმაციით არის ბიოლოგია და გენური ინჟინერია, რადგან ეს სფერო დღესდღეობით ძალიან სწრაფად ვითარდება, შესაბამისი კადრების ნაკლებობაა და შესაბამისად მათზე მოთხოვნა არსებობს."

მოსწავლეების მოსაზრებების საპირისპიროდ, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები საუბრობენ რა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ე.წ. "პოპულარული" პროფესიები არ არის მოთხოვნადი და უმუშევრობის დონე გაიზრდება, თუ ეს არ გააცნობიერეს ახალგაზრდებმა.

"მედია საშუალებები, მათ შორის ინტერნეტი და ტელევიზია დიდ როლს თამაშობს იმაში, რომ გარკვეულ პროფესიებზე მიუთითოს ადამიანებს და დააინტერესოს ისინი. მაგალითად, თუ ქიმია გაინტერესებს, მედიით უნდა შემეძლოს ამ სფეროს პერსპექტივის შესახებ ინფორმაციის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ავირჩევ ისეთ პროფესიას, რომლის შესახებ მეტი ინფორმაციი მექნება."

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები ასევე საუბრობენ, რომ მთავარია კვალიფიკაცია და კონკრეტულ პროფესიაში პრაქტიკული ცოდნის ფლობა და არა საზოგადოებისთვის "პრესტიჟული" პროფესიის ქონა - შესაბამი ანაზღაურების მიღების და ცოდნის შეძენის შესაძლებლობა ადამიანს მაშინ აქვს, როდესაც იცის რისი გაკეთება უნდა და იმ კუთხით ცდილობს განვითარებას.

"თუ მე ვიქნები ძლიერი ფიზიკოსი, შეიძლება მეტი შანსი მქონდეს დასაქმების, ვიდრე იურისტს. რადგან იურისტები ბევრი გვყავს და რაც არ უნდა ძლიერი იყო, ვერავის გააკვირვებ".

"მე ვსწავლობ პედაგოგიურზე და ვფიქრობ, რომ ძალიან პერსპექტიულია, თუ მე ვიქნები სერტიფიცირებული პედაგოგი".

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები ამბობენ, რომ მოთხოვნადი პროფესიების რიგში სწორედ სახელობო პროფესიებია, რადგან ასეთ კადრებზე მოთხოვნა არის სხვადასხვა საწარმოში, მშენებლობაზე, ფაბრიკასა თუ ქარხანაში. ისინი აღნიშნავენ, რომ ისეთი პროფესიების დაუფლებისთვის, როგორცაა საექთნო საქმე, სტილისტის თუ კბილის ტექნიკოსის ხელობა, არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება და მათზე მოთხოვნა ბაზარზე ყოველთვის იარსებებს. მნიშვნელოვანი განსხვავება სკოლის მოსწავლეებთან მიმართებაში ასევე ვლინდება იმ კუთხით, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები მუდმივად აქცენტს სვამენ რომელიმე მსხვილი სფეროს

ვიწრო სპეციალიზაციაზე და შესაბამისად, დასაქმების შესაძლო ალტერნატივებთან დაკავშირებით ადეკვატური განწყობები გააჩნიათ.

სკოლადამთავრებული ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ძირითადად საქმდებიან ფარმაცევტები და ის ახალგაზრდები, ვისაც საბანკო საქმესთან დაკავშირებული პროფესია აქვს. თუმცა აღნიშნავენ, რომ ხელობის მცოდნე ახალგაზრდები უფრო იპოვიან თავს რეგიონში. ე.წ. "გაყიდვადი პროფესიებად" ისინი მიიჩნევენ პროფესიებს, რომელთა ფლობაც საშუალებას აძლევს ადამიანს, მუდმივად საჭირო იყოს სხვებისთვის (სამკერვალო საქმე, მანქანათმშენებლობა და ა.შ.).

უმუშევარი კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ მოთხოვნადი პროფესიების რიგში საფინანსო საქმე და სამართალმცოდნეობაა. ისინი ამას საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდნობით ასკვნიან და ამბობენ, რომ ის ახალგაზრდები, ვინც ამ კუთხით იღებს განათლებას, მარტივად საქმდებიან.

დასაქმებული კურსდამთავრებულები აღნიშნავენ პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობასა და საჭიროებას. ისინი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოიფხვრება ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა. რამდენიმე მათგანი გამოთქვამს სურვილს, რომ თავადაც შეისწავლოს მისთვის საინტერესო ხელობა, რადგანაც პროფესიის შექმნა არასოდესაა გვიან. შესაბამისად, ჯგუფური დისკუსიის მონაწილე ყველა დასაქმებული კურსდამთავრებული გამოთქვამს ვარაუდს, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებიც სწორედ პროფესიული განათლების მქონდე პირებისკენ უნდა იყოს მიმართული. პროფესიულ სწავლებასთან ერთად, ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ პროგრამირება - "ვებ-დეველოპმენტი", გრაფიკული დიზაინი არის იმ მიმართულებებს შორის, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს, თანდათან ვითარდება საქართველოშიც და მუდმივად მოთხოვნადია ის კადრები, რომლებიც ამ კუთხით სპეციალიზდებიან. ახალგაზრდების თქმით, ამ პროცესებისადმი ფეხის აწყობა მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი.

დასაქმების სერვისები და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საინტერესო იყო იმის გაგება თუ როგორ იღებდნენ სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდები ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებზე.

ოთხივე სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში ინფორმაციის წყაროდ სახელდება სოციალური ქსელები და დასაქმების ისეთი პორტალები, როგორცაა jobs.ge და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდი - hr.gov.ge. თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.

სკოლადამთავრებული ახალგაზრდები საუბრობენ მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირეზე. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებმა არ იციან მსგავსი ონლაინ ვებ-გვერდების შესახებ და ერთადერთ ინფორმაციის წყაროდ ასახელებენ განცხადებებს, რომელთაც საზოგადოებრივი თავმეყრის ადგილებში აწყდებიან. ისინი ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდომობის გამო სამუშაოს ძიებას საკმაოდ პასიურ პროცესად აღიქვამენ და იმედებს ამყარებენ ნაცნობებისა და ახლობლებისგან მიღებულ ინფორმაციაზე.

უმუშევარი კურსდამთავრებულები საუბრობენ იმ შესაძლებლობებზე, რაც დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებას უკავშირდება. გარდა უკვე ხსენებული დასაქმების გვერდებისა, კურსდამთავრებულები (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) ასახელებენ CSOgeorgia-ს, სადაც მუდმივად თავსდება საინტერესო სემინარების, ტრენინგებისა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია. კონკრეტული მიზნის ირგვლივ შექმნილი facebook ჯგუფებსახალგაზრდები ინფორმაციის გაზიარების და მიღების მნიშვნელოვან შესაძლებლობად განიხილავენ. როგორცუმუშევარი სტუდენტები აღნიშნავენ, არსებობს სტუდენტური ჯგუფები, სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, სემინარები, ტრენინგების, სტაჟირების პროგრამებისა თუ დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

სოციალური კაპიტალის მნიშვნელობაზე საუბრობენ დასაქმებული და უმუშევარი კურსდამთავრებულები და აღნიშნავენ, რომ მათთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო სწორედ მათ ირგვლივ არსებული ადამიანები არიან - რაც უფრო დიდია სოციალური კაპიტალი, მით უფრო მაღალია დასაქმების შანსი. ახალგაზრდები პირადი ნაცნობობით რეკომენდაციის გაწევას დამსაქმებელთან დასაქმების ყველაზე ეფექტურ გზად ასახელებენ. განმარტავენ, რომ ასეთი სახით

გაწეული რეკომენდაცია ამა თუ იმ კადრის უნარებისა და ცოდნის შესახებ უკვე არსებულ ობიექტურ ინფორმაციას ეფუძნება და საერთო არაფერი აქვს ნეპოტიზმთან

„ისეთ პირებს უწევენ რეკომენდაციას, რომელთა შესახებაც აქვთ ინფორმაცია, ამით გარკვეულწილად დამსაქმებელსაც უქმნიან კომფორტს და არიდებენ კადრების მოძიებასთან დაკავშირებულ ფინანსურდანახარჯს“.

მაგალითად რამდენიმე უმუშევარი კურსდამთავრებული უნივერსიტეტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასაქმდა დროებით პროექტში, ერთ-ერთი მონაწილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრიდან მიაწოდეს ინფორმაცია ერთთვიანი ანაზღაურებადი სამუშაო პრაქტიკის შესახებ, ზოგ შემთხვევაში სტუდენტებს ლექტორებმა გაუწიეს რეკომენდაცია კლინიკასა (თსსუ) და აუდიტორულ კომპანიაში (თსუ).

მიუხედავად ერთეული მაგალითებისა ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმეტესობას არ ჰქონდათ ინფორმაცია კარიერული განვითარების ცენტრების არსებობის შესახებ უნივერსიტეტებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში.

სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ყველა ფოკუს-ჯგუფზე გამოიკვეთა, თუმცა ყველაზე მეტად ინფორმაციული ვაკუუმის არსებობა იმ ახალგაზრდებში დაფიქსირდა, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება და ჯერ არ დასაქმებულან.

არაფორმალური განათლება და თვითგანათლების³¹ შესაძლებლობები

არაფორმალური განათლების დანერგვის საჭიროება გამოიკვეთა ყველა სამიზნე ჯგუფში. ამ კუთხით განსაკუთრებული საჭიროება გამოვლინდა სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებში. ისინი არ არიან ისეთი უნარებით აღჭურვილნი, როგორცაა მაგ. საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარი. მათ არ აქვთ რეზიუმესა (CV) და დასაქმებისთვის სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება, არ ფლობენ საოფისე პროგრამებს და ა.შ.

უმუშევარი კურსდამთავრებულები საუბრობენ იმაზე, რომ დამსაქმებელი მუდმივად ითხოვს დასაქმების მაძიებლებისგან ე.წ. „Soft skill-ებს“ (ტრანსფერულ უნარებს), რომელთაც აკადემიური, ფორმალური განათლების სფერო ვერ აწვდის მათ. შესაბამისად, ამ კუთხით მომზადება ნებისმიერი სამუშაოს მაძიებლისთვის იქნებოდა საინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხაზგასმით არ საუბრობენ არაფორმალური განათლების საჭიროებაზე, მათ მიერ ჩამოთვლილი უნარებიდან გამომდინარე (ლიდერობა, პრობლემის გადაწყვეტა, კონფლიქტის მართვა, ორგანიზება, დაგეგმვა, ჯგუფური მუშაობა, კომუნიკაციების დამყარება და ა.შ.), რომლებიც მათი თქმით, აუცილებელია დასაქმებისა და პიროვნული ზრდისთვის, გამოიკვეთა, რომ ისინი ხედავენ არაფორმალური განათლების საჭიროებას.

არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე საუბრის პარალელურად აღნიშნა, რომ არაფორმალური განათლების მიღების არასახარბიელო გამოცდილებები აქვთ და კარგი იქნება, თუ ამ კუთხით გადამზადების დონე გაიზარდება და შეიქმნება მოდულები, რომლებიც დაეხმარება ადამიანებს პროფესიულ ზრდაში.

ახალგაზრდები ასევე საუბრობენ თვითგანათლების მნიშვნელობაზე. როგორც გამოიკვეთა, ჯგუფური დისკუსიების მხოლოდ რამდენიმე მონაწილე მიმართავს თვითგანვითარების ამ მეთოდს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი აცნობიერებს თვითგანათლების მნიშვნელობას, აღნიშნავენ, რომ ამ ყველაფერს დამატებითი დრო და ენერჯია ესაჭიროება. მაშინ, როდესაც ახალგაზრდები საკუთარ თვითგანათლებაში უნდა დებდნენ თავიანთ რესურსს, უწევთ მინიმალური ანაზღაურების გამო დიდი დროისა და ენერჯიის დახარჯვა.

³¹Self Education, Self learning.

"როცა საკმარისი არ იყო ინფორმაცია თუნდაც უნივერსიტეტში, ყოველთვის ვეძებდი დამატებით ინფორმაციას. ამის საშუალებას დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიები გაძლევს, მაგრამ საქმე ისაა, თუ რამდენად გაქვს ამის ფუფუნება, რომ საკუთარ თავზე იმუშაო და განივითარო ეს უნარები".

დასაქმებული კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ უცხო-ენების შესწავლისთვის გამოუყენებიათ თვითგანათლების მეთოდი. ასევე აღნიშნავენ სხვადასხვა პროგრამის შესწავლის შემთხვევებს, რაშიც მათ ინტერნეტ სივრცეში არსებული რესურსები, კერძოდ კი ვიდეო გაკვეთილები დაეხმარათ. სტუდენტების თქმით, თვითგანვითარების უნარის ჩამოყალიბება სკოლის ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს, რადგან იგი ეხმარება ადამიანს, რომ ნებისმიერ სფეროში შეძლოს თავის დამკვიდრება და თვითგანათლების საშუალებით ახალგაზრდებიც უფრო მარტივად აღმოაჩენენ საკუთარ ინტერესებსა და მისწრაფებებს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია რამდენიმე რეკომენდაციის შემუშავება. რეკომენდაციები ეფუძნება ახალგაზრდების შესაძლებლობების ზრდასა და შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ყოველივე მიზნად ისახავს: ახალგაზრდების ეკონომიკური აქტივობის გაზრდას, მათ ჩართვას სამუშაოს ძიების პროცესში და სტრუქტურული უმუშევრობის დონის შემცირების ხელშეწყობას.

ამისათვის საჭიროა სხვადასხვა უწყებების სინქრონული მუშაობა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რათა ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილი იყოს: 1) ახალგაზრდებში ინფორმირებულობის გაზრდა; 2) კონკურენტუნარიანობის ამაღლება და 3) მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

რეკომენდაციების ადრესატები არიან:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

ადგილობრივი თვითმმართველობები;

უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები;

სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოები.

ახალგაზრდებში ინფორმირებულობის გაზრდა

საჭიროა შეიქმნას საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის ძირითადი მიზანი იქნება ახალგაზრდებში ინფორმირებულობის გაზრდა მოთხოვნადი პროფესიებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის შესახებ.

- ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება შრომის ბაზრის ტენდენციებზე:
 - მოთხოვნადი პროფესიები ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების მიხედვით;
 - სამუშაოს აღწერილობები თითოეული პროფესიისთვის;
 - ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი სასწავლო პროგრამების შესახებ;
- ინფორმირებულობის ამაღლება სასწავლო დაწესებულებების შესახებ:
 - უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამები;
 - მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები;
- ინფორმირებულობის ამაღლება დასაქმების შუამავალი ორგანიზაციებისა და პროგრამების შესახებ:
 - სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოების საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდება;
 - შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (worknet.gov.ge) ფუნქციების გაცნობა და რეგისტრაციის ხელშეწყობა;
 - უმაღლეს სასწავლებლებში არსებული კარიერული მომსახურების ცენტრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება

საჭიროა ხელი შეეწყოს ახალგაზრდების პროფორიენტაციისა და კარიერული წინსვლის საკითხებში კონსულტირებასა და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობების გაზრდას.

- პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსების მოდულების შემუშავება;
- ახალგაზრდებისთვის ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების შემუშავება დადისტანციური სასწავლო პროგრამების დანერგვა;
- ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა;
 - ბიზნეს ინკუბატორებისა და სიმულაციების მომზადება;
- ახალგაზრდებისთვის სამუშაოს ძიების უნარების გაძლიერება.

თანამშრომლობის განვითარება

საჭიროა სახელმწიფო, კომერციულ და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის განვითარება.

- ეკონომიკური განვითარების ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო სტრატეგიის შემუშავება;
- დასაქმების ხელშეწყობის საშუაშვლო სერვისის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოების მონაცემთა ბაზების ინტეგრირება;
- მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდების დასაქმებისა და მეწარმეობის განვითარების პროექტების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების კარიერული მომსახურების ცენტრებსა და დასაქმების სააგენტოებს შორის თანამშრომლობის განვითარება;
- კერძო დასაქმების სააგენტოების მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობის გაღრმავება.

წყაროები

1. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3245367>
2. შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2863057>
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 - http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
4. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა - http://gov.ge/files/439_55453_731863_167-1.pdf
5. შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა - თბილისი 2015
http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf
6. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში 2016 - ფრიდრის ებერტის ფონდი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი) ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.
7. დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ 2015 - <http://www.mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo>
8. ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში - საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი
http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf



საქართველოს ჯანმრთელობის
და სოციალური დანების
სააგენტო

Survey on Attitudes, Motivation and Employment Strategies of the Youth

Table of Contents

Preface	3
Definitions of Terms	3
Purpose and Objectives.....	4
Methodology.....	4
Situational Analysis.....	6
Findings of Expert Survey.....	9
Main Conclusions.....	13
Results of the Quantitative Survey.....	16
Employment	16
Overseas Work Experience	18
Working Online	18
Financial Position of a Household and Vision for the Future	19
Unemployed Respondents	21
Expectations of the Unemployed Youth	24
Employed Respondents	27
Hired Work	27
Self-Employment in Non Agricultural Areas	34
Education and Potential of Vocational Education	36
Trainings and Short-Term Qualification Courses	46
Employment Strategies and Values	50
General Attitudes to Employment	55
Evaluation of Career Development Center Activities.....	64
Information Channels.....	65
Qualitative Study Results.....	69
Young People’s Incentives for Employment – Employment Related Desires & Existing Barriers... 69	
Unemployed Graduates.....	69
Employed Graduates	70
Students.....	70
Unemployed High School Graduates	71
Attitude to Internship.....	72

Unemployed graduates.....	72
Young employed graduates.....	72
Students.....	72
Employment Experiences and Job Search Strategies.....	73
Incentives for Vocational Training - Difference in Approaches of High School Students and Vocation School Students	74
Career Choice and Adequate Perception of Chances for Successful Career – Need and Importance of Professional Orientation and Career Planning – Ways of Implementation	77
Approaches to In-Demand Jobs.....	80
Employment Support Media – Access to Information	81
Informal Education and Self-Employment Opportunities.....	82
Recommendations	83
Sources	85

Preface



The present survey was conducted by the Applied Research Company, within a framework of the tender SPA160016964 announced by the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia on June 14, 2016. The survey covered the period of July – December. The field works were performed during August – October.

Applied Research Company thanks the team of the Labor and Employment Policy Department of the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia and all participants of the survey for provided technical and intellectual assistance.

Definitions of Terms

UNICEF - - The United Nations Children's Fund

UNDP – The United Nations Development Programme

EUVEGE - EU Technical Assistance to VET and Employment Reforms in Georgia

NACE - The Statistical classification of economic activities in the European Community

ISCO- The International Standard Classification of Occupations

NGO-Non-governmental Organization

Purpose and Objectives

Purpose of the Survey:

The Survey aimed to research attitudes, motivation and employment strategies of the youth for the purpose of drafting recommendations for facilitating their employment on the labor market.

Survey Objectives:

- Research the attitudes and employment motivation of the youth in Tbilisi and the other cities, where universities and the other vocational educational institutions are located (Tbilisi, Batumi, Kutaisi, Zugdidi, Akhaltsikhe, Telavi, Gori);
- Identify mayor problems and challenges faced by the unemployed and employed youth on the labor market from the perspective of employment opportunities;
- Identify employment strategies of the unemployed and employed youth, which they apply or have applied for employment purposes.

Methodology

Quantitative as well as qualitative methods were applied for conducting the survey.

Face-to-face interviews were held by means of a Quantitative Research Method through a structured questionnaire.

Sample size:400 Respondents;for such sample size sampling error equals 4.88% per 95% confidence level¹.

Target Group:15-29-year-old unemployed and employed youth

Geographic Area of a Quantitative Research:Tbilisi, Batumi, Kutaisi, Zugdidi, Akhaltsikhe, Telavi, Gori

When making a sample multi-step cluster selection was used.

The whole sample size was distributed among the target cities in proportion to the square root of their population size. The number of initial selection points in cities was ascertained by dividing the interview number (defined for cities) by five. In the beginning districts were selected in cities by means of PPS method (Probability Proportion to Size). In each selected district, initial point was selected by random for observation. Interviewer selected 5 households within the area of an initial point for observation. A respondent in a selected household was found based on “the last birthday in a family” principle.

For selection of specific households the principle of “random walk” was used. Interviewers were given an instruction where the respondent selection method was detailed. Specifically, there was a screening question in a questionnaire excluding respondents who did not or would not have a willingness to work.

For comparison²descriptive, as well as explanatory statistical methods, were used and also those ratios were calculated which allow identification of a significance of statistical differences between responses of two groups (T-test, One way ANOVA).

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

²Demographic groups by attained level of education, employment status, self-assessment of an economic level and etc.

Table 1. Distribution of Respondents by Cities

City	Number	%
Tbilisi	80	20
Kutaisi	64	16
Batumi	65	16.2
Zugdidi	48	12
Akhaltzikhe	48	12
Telavi	48	12
Gori	48	12
Total :	400	100


When forming a sample, in addition to a geographic area, quotes for target groups were used:

1. Employed young graduates (who graduated from a general school, bachelor’s program, master’s program and is employed);
2. Unemployed graduates (who graduated from a general school, bachelor’s program, master’s program and is not employed yet);
3. Unemployed graduate (who graduated from a school and is not employed);
4. Unemployed student (bachelor’s program, master’s program and etc.)

Difference between the methodology of the present survey and that of the International Labor Organization should be explained³. Unemployed is a 15-year or older person who has not been working (even for a hour) during 7 days preceding the interview, has been looking for a job within the last 4 weeks and is ready to start working during the next 2 weeks. The present Survey **does not** aim to ascertain unemployment level of the economically active youth within the 18-29 year range, therefore the term “unemployed” in our survey refers to 18-29-year-old respondent who is not working at the moment but intends to get employed in the future (unemployed graduate, unemployed school graduate, unemployed student).

The youth within the age range of 18 – 29 were interviewed in 7 Georgian cities. Age groups were more or less equally allocated. 61.8% of respondents were female, while 38.2% were male.

Diagram 1. Respondent Distribution by Gender



Qualitative Survey was conducted by means of focus groups and in-depth interviews,

Focus Groups

³http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/Labour%20Force%20Statistics.pdf

Overall, 5 focus groups were held, of which 4 focus groups were held with 18 -29- year old and one focus group with 15 – 18-year old youth.

Target groups for the 18-29-year-old youth were:

- Ñ Students of universities and vocational education institutions;
- Ñ Unemployed graduates of universities and vocational education institutions;
- Ñ Employed graduates of universities and vocational education institutions;
- Ñ The youth who did not continue their education and are unemployed.

Target groups for the 15-18-year-old youth were

- Ñ School pupils
- Ñ Students of vocational college

Number of participants in each focus group: 10-12

Table 2. Focus Group Distribution

#	Target Group	Quantity
1.	Students of universities and vocational education institutions;	1
2.	Unemployed graduates of universities and vocational education institutions	1
3.	Employed graduates of universities and vocational education institution;	1
4.	The youth who did not continue their education and are unemployed	1
5.	The adolescents below 15-18, school pupils/ Students of vocational education institutions	1
	Total	5

In-depth Interviews

Target groups for in-depth interviews were consisting of: representatives of public institutions working on the youth employment issues, sector experts, representatives of the other organizations operating in the employment and education sector.

Overall,21interviews were held

Difficulties related with the data collection

The problems with respect to respondent availability in the course of the survey did not arise. The questionnaire included a filter question, which excluded participation of irrelevant respondents in the sampling. The answering percentage of respondents during field works was 86%. The reasons stated for refusal to answer the questions was lack of time (due to a questionnaire size) and the other personal reasons (e.g. I don't want to express my opinion, nothing will change anyway and etc.).

Situational Analysis

According to official statistical data for 2015 there are 2021,5thousand economically active people in Georgia, of which 1779,9 thousand are employed. Employment figure equals 59,7%, while according to GEOSTAT data, the unemployment level in Georgia equals 12%. However, according to various surveys conducted in the country, unemployment is listed among top problems.

The situation is different with respect to unemployment figures for 15 – 29-year-old youth. Official statistics states that 15 – 29-year-old work force represents 18.2% (368,821.93 people)of the country's entire labor force.

Among them the unemployment rate equals 25.6% which is more than 2.8 times higher than the unemployment level among 30-year and older population (approximately 9.1%).⁴

UNICEF Survey 2014 *National Youth Survey Analysis of the Situation and Needs of Youth in Georgia*⁵ reads: “Young people have the highest unemployment rate among the population of working age. This is understandable, as young people who have recently completed their formal education are actively seeking a job commensurate with their qualification(s) in order to achieve financial independence. However, they face a competitive labor market where, due to the lack of jobs and their professional inexperience, getting a foothold in the labor market is relatively difficult. The economic activity rate of 15-to 29-year-olds is 60 per cent. 30.7 per cent of the young labor force is unemployed; the majority of this group (33.2 per cent) has completed higher education. The unemployment rate is highest in the 20-24 age group, with 36.3 per cent of these young people unemployed. The 25-29 age group has a relatively high unemployment rate (55.6 per cent), while the majority of 15- to 19-year-old people (67.1 per cent) are economically inactive. The unemployment rate for young people is two and a half times higher in urban than in rural areas, while the employment rate for men (53.3 per cent) is much higher than that for women (30.4 per cent).⁶”

Based on these data and expert opinions it can be stated that the youth unemployment represents a problem in the country and various measures are needed for increasing employment rate.

One of the directions of the country’s strategic development is elimination of unemployment. Specific goals and activities are included in strategic development plans of ministries and various agencies, which would contribute to unemployment reduction. Even though unemployment figure according to GEOSTAT data was declining from 2007 through 2015, the year-to-year reduction did not exceed 2%.⁷

As noted earlier, the activities to be implemented in the labor and employment area, or activities facilitating employment process (e.g. implementation of infrastructural projects, facilitating investment environment and etc.) are reflected in strategic plans of various ministries and agencies (specifically, Ministry of Labor, Health and Social Affairs and its subordinated agencies, Ministry of Sports and Youth Affairs of Georgia, Ministry of Economy and the Ministry of Regional Development and Infrastructure).

The activities that are implemented for facilitating employment are the following:

- Improvement /elaboration of legislative framework;
- Development of an active policy for labor market;
 - Facilitating career planning;
 - Establishing labor market information system;
- Development of a vocational education strategy;
- Development of programs for facilitating professional orientation of pupils and the youth;

There are also international projects and programs being implemented in Georgia playing an active role in facilitating employment process.

For example: **EUVEGE** Project⁸ EU technical assistance to VET and employment reforms in Georgia. **UNDP**⁹ Project *Deepening linkages between formal/non-formal VET system and the labor market*. **UNDP**¹⁰ Extension Service in Agriculture.

⁴Source: geostat.ge

⁵http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

⁶http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

⁷http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

⁸http://www.eu-ve.ge/index_GEO.html

⁹http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/formal-non-formal-VET.html

For the purpose of improving the labor market and promoting employment, the national strategy for development of the labor market in Georgia and an action plan were developed. The strategy¹¹ and action plan are based on results of different surveys conducted in Georgia at various times, according to which main unemployment factors are:

1. Mismatch between supply and demand;
2. Limited scope of labor market;
3. Low elasticity of a labor market;
4. Low mobility of labor force;
5. Cheap work force, hard working conditions;
6. High share of people that are unemployed for a long time;
7. Underdeveloped infrastructure of a labor market.

The following determine the main reasons of unemployment:

- Limited demand for work force;
- Difficulty to find a job by specialization;
- Discriminatory working conditions;
- Low remuneration;
- Low professional level;
- Low professional mobility of work force;
- Lack of job-seeking and self-presentation skills;
- Inaction of job-seekers (so-called “frustrated people”);
- Underdevelopment/lack of intermediary service for employment.

For the purpose of facilitating employment, an internet portal www.worknet.gov.ge¹² is established where an employer can create and manage its page, find desirable human resources across the country and obtain information about the labor market.

Job seekers can get registered and make their information available for employers. Social Services Agency implements a program through which people are retrained in various demanded vocations and assistance is provided in professional orientation.

The Program - *Choose Your Occupation* for facilitating the professional orientation of students designed by the Youth’s Department of the Ministry of Sports and Youth Affairs of Georgia deserves special attention. This is a portal, which aims to assist young people in choosing profession and planning their lives. Through this project the youth will be able to demonstrate their personal – individual characteristics. Portal <http://myprofession.ge> also represents an internet resource for obtaining information about various occupations.

In addition, The Professional Orientation and Career Planning Program is initiated by the Ministry of Education.

103 professional consultants and 5 coordinators selected through contest gradually underwent retraining in the following modules:

1. Age peculiarities of adolescents
2. Effective communication
3. Management skills
4. Professional orientation

¹⁰http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/education-for-farmers.html

¹¹http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/73.pdf

¹²http://ssa.gov.ge/index.php?lang_id&sec_id=1112

Retrained professional consultants along with the supervising teacher will take part in delivery of lessons on professional orientation and career planning, ensure organizing various activities, provision of information on labor market requirements for schools, as well as linking and cooperation between schools and employers.¹³

There are career development centers in public and private higher education institutions, the function of which is exchanging information between job-seeking students and potential employers.

Findings of Expert Survey

According to experts, main reasons for the youth unemployment are deficit of jobs and mismatch between the work force qualification and skills with the labor market requirements. As majority of experts noted, there is a structural unemployment in Georgia, which implies the following: “the workforce does not fully respond to the changes in job structure. Those professional skills that job-seekers have do not meet the market requirements: their experience and skills are outdated and not needed due to changes in the technologies and consumer demand type.”¹⁴

Experts stressed that the lack of qualification and skills needed for the youth employment are determined by several factors, these are:

1. Low quality of education acquired by the youth in the education institutions;
2. Education stereotypes prevalent in the society;
3. Deficit of self-development skills¹⁵ ;
4. Insufficient level of job-seekers’ transfer skills (communication, self-presentation skills, team spirit and etc.);
5. Underdevelopment of professional orientation services and low availability across the country; deficit of public services promoting the employment;
6. Lack of statistical information on the labor market;
7. Lack of information on employment process and job-seeking skills;
8. Lack of information on existing services of employment;
9. Prevalent employment strategies;
10. Passive job-seeking.

Experts noted that the youth employment should be considered in a close relationship with the acquired education, whether general, vocational or higher. According to them the education system does not yet provide the labor market with the demanded candidates. 1) Higher and vocational education institutions do not educate students in specializations meeting labor market demand. 2) Their graduates do not have the qualification (professional level) that is demanded by the labor market.

They also stressed that the youth after graduation enter the labor market and have to acquire essential job-skills at work place. Employer spends time and money for training of newly hired staff, which is not financially profitable. Employer prefers to hire an experienced candidate and often in posted job announcements the longer work experience is specified than a young job-seeker could have.

Some experts think that this problem can be solved by introducing dual vocational education, which is already being piloted in several education institutions. Dual vocational education implies acquiring knowledge and skills in two parallel spaces, in a vocational education institution and at an enterprise. As experts state, currently there is a higher demand for vocational school graduates rather than university graduates in Georgia and therefore wide implementation of a dual education will increase employment figures.

„Dual education students are engaged in activity from the very beginning at an enterprise and in education process at a college – he/she simultaneously

¹³<http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90&id=4937&lang=geo>

¹⁴<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14734>

¹⁵In the course of the survey some experts used the term self-education, which means: human skill to raise competence , acquire education and required skills and etc. independently.

is working and studying. Respectively, an employer has an opportunity train student according to the demand. Employer takes part in an education process and can offer some changes in programs.”

In parallel to development of dual education, attention needs to be paid to students' employment and internship programs. Through such programs: 1) the youth will acquire working skills; 2) they will acquire experience; 3) they will get remunerated; 4) they will try their capabilities in the profession, which they are going to acquire; 5) employer will have a direct relation with a job-seeker, which will increase the employment opportunities for the youth.

Following graduation, the youth will need a long time for finding a desirable job. If unemployment period continues for long the candidate gets disqualified, which will be negatively reflected in their employment opportunity. In order to solve this problem, the experts talk about necessity to develop employment infrastructure (retraining courses, raising qualification, strengthening transfer skills and etc.).

Experts single out two groups of the youth that require special attention:

1) The youth that abandoned education and did not complete general education level, which equals 15 per 1,000 pupils¹⁶. According to the expert opinion, this number is much higher and respectively they need professional retraining.

„Humans during of their entire lives are looking for themselves and career consulting may be necessary at any stage of life. International surveys show that a person changes his/her profession 3-4 times during his/her life. This means that a country should possess those tools that will enable people to get retrained and acquire new occupation. This will stop unemployment growth and enable an employer to hire qualified personnel.”

2) Another group according to experts is represented by those youth who completed their education but were unable to get employed for longer than a year. This part of the youth undergoes disqualification, therefore it is important for them to develop professional retraining services. As they noted positive steps were made in this direction, however 1) those instruments are not sophisticated yet and 2) target groups are not yet adequately informed about these opportunities.

Experts state that demand on labor market is more focused on professionals with vocational education, while the number of university graduates is much higher. Majority of the youth acquired higher education not with consideration of employment perspectives but for prestige. Increasing awareness about vocational education and its popularization will partly solve the problem and reduce mismatch between supply and demand.

